პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 12—20.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 24, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეებისათვის, კლუბებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებანი:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- საფრანგეთის მემაღაროების ბრძოლა ხელფასის გადიდებისათვის.
- 20 ივლისს პორტუგალიაში დაიწყო აჯანყება.
- მაქს ჰელცის წერილი გერმანიის კომპარტიის ცეკასადმი.
- კუკის განცხადება მემაღაროეთა მიტინგზე.
- უნგრეთის პრესა კელოგის წინადადების შესახებ.
- საბჭოთა ყინულის მჭრელი გემი „მალიგინი“ გამოემგზავრა არხანგელსკში.
- რუმინეთის გლეხთა - ეროვნული პარტია მთავრობის გადადგომას მოითხოვს.

ოთხშაბათი, 25 ივლისი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 170 (2231)

ხუთშაბათს, ა. წ. 26 ივლისს,
საღამოს 6 საათზე, სახელმწიფო ოპერის შენობაში
შესდგება
საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის აქტივის
გაფართოებული კრება
დღის წესრიგში სდგას
ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება
საკავშირო კომპარტ. (ბ) ცეკას ივლისის
პლენუმის შედეგების შესახებ

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის, ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას, ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და თბილისის კომიტეტის წევრები და კანდიდატები კრებაზე შედიან თავიანთი მანდატებით, დანარჩენი ამხანაგები ბილეთებს ღებულობენ კომპარტიის სათანადო რაიკომებში.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი.

ჩინეთის განთავისუფლება--მშრომელთა საქმეა

ჩვენ თავის დროზე შევეხეთ ნანკინის მთავრობის დეკლარაციას, სადაც ის აყენებდა უთანასწორო ხელშეკრულებათა გაუქმების საკითხს. აღნიშნული გვქონდა, რომ სამხრეთელ მილიტარისტების ბლოკს, რომელსაც მასების მხრით ზურგი არა აქვს გამაგრებული და რომლის ბანაკში დიდ უთანხმოებას აქვს ადგილი, არ შესწევს უნარი ქვეყნის ნამდვილი გაერთიანებისა და უცხოელ მოძალადეებისაგან მისი განთავისუფლებისათვის.

ამას ადასტურებს ის ამბები, რომლებიც ეხლა ჩინეთში ვითარდება. მანჯურია კვლავ რჩება ნანკინის მთავრობის გავლენის გარეშე. ამას წინედ ჩან-კაიშიმ ჩან-სუე-ლიანთან თითქო მიაღწია ერთგვარ შეთანხმებას, რომლის მიხედვით მანჯურიის ახალ მმართველს უნდა ეცნო ნანკინის ძალაუფლება. ამ შეთანხმების შემდეგაც მანჯურია ფაქტიურად დამოუკიდებელი იქნებოდა სამხრეთელებისაგან, რამდენადაც უკანასკნელნი მოკლებული არიან რეალურ საშუალებას მუკდენი დაიკავონ: იაპონია მათ ამის უფლებას არ აძლევს. მაგრამ ეხლა ჩაიფუშა ეს ფორმალური შეთანხმებაც, რომელიც თუ გინდ ქაღალდზე, უნდა ყოფილიყო ჩინეთის გაერთიანების დამთავრების გამოხატულება: ტოკიოს მოთხოვნით ჩან-სუე-ლიანმა უარი განაცხადა სამხრეთთან მანჯურიის გაერთიანებაზე. ჩან-ძო-ლინის მემკვიდრე ორ ძალას შუა თამაშობს: ის მოლაპარაკებას აწარმოებს ჩან-კაი-შისთან ნანკინისადმი დაქვემდებარების შესახებ, რომ შთაბეჭდილება შექმნას, თითქოს იგი ემხრობა ჩინეთის გაერთიანებას, რომ ამით დაიმსახუროს ქვეყნის ნაციონალისტურ წრეების სიმპატია: ამავე დროს ამ მოლაპარაკებით ის ცდილობს იაპონიის „დაშინებას“, რათა მანჯურიის მართვა-გამგეობის საქმეში შედარებით მეტი თავისუფლება მოიპოვოს. საბოლოო ანგარიშით კი ჩან-სუე-ლიანი იაპონიის პოლიტიკის იარაღს წარმოადგენს.

იაპონიის პრემიერი ტანაკა აცხადებს: იაპონიას არ შეუძლია მანჯურიის მართვა „მიანდოს მთავრობას, რომელიც სავაჭრო ხელშეკრულებას არღვევს და ამისათვის ძალადობის მეთოდებს მიმართავს“, ამიტომ იაპონიის მუკდენელმა გენერალურმა კონსულმა „ურჩია ჩან-სუე-ლიანს არავითარი შეთანხმება არ დასდოს სამხრეთელებთანო“. როგორც ვხედავთ, იაპონიის მთავრობა მანჯურიას თვლის თავის სამფლობელოდ, რომლის მართვას სამხრეთელებს „ვერ მიანდობს“. აქ იაპონიის იმპერიალიზმი მოსჩანს თავისი გაშიშვლებული სახით.

მაგრამ ჩვენ იაპონელ იმპერიალისტების მტაცებლობის უფრო თვალსაჩინო ფაქტები გვაქვს: იაპონიის მთავრობა დღემდე განაგრძობს შანდუნის ოკუპაციას და მას ყოველთვის შეუძლია ნანკინს თავისი ალაგი მიუჩინოს, თუ ის „შორს შეტოპავს“.

ამას ნათელყოფს არა მარტო მანჯურიის ბედი. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია იაპონიის მთავრობის დამოკიდებულება უთანასწორო ხელშეკრულებებისადმი. ნანკინმა, როგორც ვიცით აცნობა იმპერიალისტურ ქვეყნებს. რომ მას გადაწყვეტილი აქვს ამ ხელშეკრულებათა გაუქმება; ის წინადადებას იძლეოდა დაეწყოთ მოლაპარაკება ახალ, თანასწორობაზე აგებულ ხელშეკრულებათა დასადებად; წინააღმდეგ შემთხვევაში თუ ამაზე იმპერიალისტები არ დასთანხმდებოდენ, ნანკინი აფრთხილებდა მათ, რომ უთანასწორო ხელშეკრულებები დაკარგავდენ ძალას და უცხოელი მოქალაქენი უნდა დამორჩილებოდენ ახალ „დროებით წესებს“. იმპერიალისტებმა ეს განცხადება მხოლოდ „მხედველობაში მიიღეს“; არც ერთ მათგანს არ გადაუდგამს ნაბიჯი ხსენებულ მოლაპარაკების დასაწყებად.

ნანკინმა ოფიციალურად აცნობა იაპონიას, რომ იაპონია-ჩინეთის ხელშეკრულებები გაუქმებულია. ამან, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოიწვია ნანკინ-ტოკიოს დამოკიდებულების გამწვავება. მათ შორის შეწყდა დიპლომატიური ურთიერთობა. იაპონიის ელჩი ჩინეთში იოშიზავა აცხადებს: ნანკინის მთავრობა არ არის ცნობილი და საეჭვოა, აქვს თუ არა მას უფლება ხელშეკრულებები დასდოსო, ხოლო იაპონიის მთავრობა იმუქრება „ეფექტიურ ზომების“ მიღებით, თუ ხელშეკრულების პირობები დარღვეული იქნება. ასეთივე პოზიცია უკავიათ უთანასწორო ხელშეკრულებათა საკითხში დანარჩენ იმპერიალისტურ სახელმწიფოებსაც. მაგ., იტალიის მთავრობა, რომელსაც აგრეთვე ეცნობა უთანასწორო ხელშეკრულებათა გაუქმება, თავისი კონსულის პირით აღნიშნავს, რომ ნანკინის აქტი უკანონოა და რომ იტალია ინარჩუნებს უფლებას მიიღოს საჭირო ზომები ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში.

ამავე დროს საგულისხმოა იმპერიალისტების თვალთმაქცობა: მათ თურმე „კეთილი სურვილი“ არ აკლიათ ჩინეთთან ნორმალური ურთიერთობა დაამყარონ და გადასინჯონ უთანასწორო ხელშეკრულებანი, მხოლოდ შიშობენ, რომ ნანკინის მთავრობის „უკანონო“ აქტი დასცემს ნაციონალურ მთავრობის „პრესტიჟს“ (იაპონიის მთავრობის განცხადება). ეს პრესტიჟი, ალბად, იმაში მდგომარეობს, რომ ნანკინმა ისევ მორჩილება და ერთგულება გამოიჩინოს იმპერიალისტების მიმართ და მონურად უყუროს მათ თვალში მცირეოდენი მოწყალების მისაღებად.

მოულოდნელი აქ არაფერია. ვიმეორებთ, მშრომელ მასების აქტიური მონაწილეობის გარეშე ზღაპარია ლაპარაკი ჩინეთის ნამდვილ განთავისუფლებაზე იმპერიალისტების უღლისაგან. ნანკინი კი, რომელმაც სისხლში ჩაახრჩო რევოლუცია, თავის დანიშნულებას ამ მასების დევნაში ხედავს. ეხლანდელი მისი ჟესტი უფრო მიზნად ისახავს ხალხის მოტყუებას, ვინემ გადაჭრილ ბრძოლის წარმოებას იმპერიალისტების წინააღმდეგ; ასეთი ბრძოლა არ შეეგუება მის გამცემლურ ბუნებას. მოსალოდნელია, რომ დაიწყება ჩუმი მოლაპარაკება, რომლის შინაარსი იქნება იმპერიალისტების მიერ მცირეოდენ დათმობების საფასურით თავის ძირითად პოზიციების შენარჩუნება ჩინეთში. ნანკინელები ალბად მოინდომებენ ამ შესაძლებელ უმნიშვნელო დათმობების თავის დიდ გამარჯვებად გასაღებას. მაგრამ ამაოდ. მშრომელ მასებს ამით ისინი შეცდომაში ვერ შეიყვანენ. ისინი, მიუხედავად დროებითი დამარცხებისა და დაბრკოლებებისა, ძალებს იკრებენ და აუცილებლად იტყვიან თავის გადამჭრელ სიტყვას.

მსოფლიო რევოლუციის ძალთა აღრიცხვა

კომინტერნის აღმასკომის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც ამხ. ბუხარინმა მე-6 მსოფლიო კონგრესზე გააკეთა, აღძრულია მრავალი საკითხი და მრავალი საჭირბოროტო, მწვავე პრობლემა. ამ საკითხებსა და პრობლემებზე მკაფიო და გარკვეული პასუხის გაცემა დიდათ საჭიროა საერთაშორისო რევოლუციონურ პროლეტარიატისათვის.

იმისათვის, რომ წარმატებით ვიმოქმედოთ ისეთი ძლიერი, თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული, ვერაგი და ულმობელი მტრის წინააღმდეგ, როგორიც არის იმპერიალისტური კაპიტალიზმი ყველა თავისი ფილიალითა და აგენტურით, საჭიროა მკაფიო მარქსისტულ - ლენინური ანალიზი იმის, რაც არის და რაც ხდება ვეებერთელა მსოფლიო ასპარეზზე, საჭიროა ეხლანდელი პირობებისა და მოსალოდნელი პერსპექტივების დამშვიდებით გათვალისწინება.

რა არის მთავარი თავისებურება „მომენტისა“—ამ სიტყვის დიდი, პრინციპიალური, ისტორიული მნიშვნელობით? საერთაშორისო რევოლუციის პროცესის რომელ ფაზაში, რომელ პერიოდში ვიმყოფებით? რა წარმოადგენს ეხლანდელი საერთაშორისო - პოლიტიკური მდგომარეობის კარდინალურ საკითხს, ღერძს, რომლის გარშემოც ასე თუ ისე ტრიალებენ რევოლუციონური კომუნისტური პარტიების მსოფლიო პოლიტიკის საკითხები? როგორ უნდა შევაჯამოთ და შევაერთოთ ეს საკითხები, რომლებიც ვეებერთელა, მართლაც პლანეტარული რადიუსით ვრცელდებიან.

პასუხი ამ საკითხებზე მოითხოვს როგორც განვითარების განვლილი ეტაპების გულდასმით გადათვალიერებას, ისე მომავალი პერსპექტივების გაბედულად გათვალისწინებას. საჭიროა დანამდვილებით გამოირკვეს, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ამჟამად კაპიტალიზმის შედარებითი სტაბილიზაციის პრობლემა. საჭიროა სრულის გარკვეულობით გავცეთ პასუხი კითხვაზე — არის თუ არა ამჟამად კაპიტალისტური სისტემის კრიზისი. თუ არის, მაშინ საჭიროა მკაფიოდ მიუთითოთ მის განსაკუთრებულ ფორმებზე და ნიშანდობლივ თვისებებზე მსოფლიო განვითარების ეხლანდელ პერიოდში.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდნენ საწარმოო ძალები მსხვილ კაპიტალისტურ ქვეყნებში; უგუნურებაა უარვყოთ ტეხნიკური რეკონსტრუქციისა და რაციონალიზაციის სერიოზული მოვლენები, ტეხნიკური „სასწაულები“, კაპიტალისტური მონოპოლიების განვითარება დიდი მასშტაბით და სახელმწიფო კაპიტალიზმის ტენდენციები. მაგრამ ამასთანავე საჭიროა ცხადათ დავინახოთ პროცესის „მეორე მხარეც“— კოლონიალურ სტრუქტურულ წინააღმდეგობათა დაგროვება, ძლიერი კლასობრივი ბრძოლის განვითარება აღმოსავლეთსა და დასავლეთში, გამწვავებული ანტაგონიზმი კაპიტალისტურ ბანაკში, წინააღმდეგობანი, რომლებიც კაპიტალიზმს მიაქანებენ დაღუპვისაკენ, განმანადგურებელ ომებისა და რევოლუციებისაკენ.

კაპიტალიზმის შედარებითი სტაბილიზაცია ეხლანდელი ფორმით სულ უფრო და უფრო მწვავედ აყენებს მსოფლიო პოლიტიკის საკითხებს. საწარმოო ძალების განვითარების მექანიკას კაპიტალისტურ ბაზისზე სულ უფრო და უფრო მეტი წინააღმდეგობა ახასიათებს. სახელმწიფოებს შორის კინემატოგრაფიული სისწრაფით იქმნებიან და იცვლებიან კომბინაციები, კოალიციები და ბლოკები, ხდება სახელმწიფოების მუდმივი გადაჯგუფება და ამ ფრონტზე უფრო და უფრო მკაფიოდ და გარკვევით ისახება მთავარი მსოფლიო ანტაგონიზმი: წინააღმდეგობა საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის. კაპიტალისტურ ბანაკებში ყველაზე მთავარია ანტაგონიზმი დოლარის ქვეყნის — ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებულ შტატებსა და შესუსტებულ „ზღვათა მფლობელს“ — დიდ ბრიტანეთს შორის. მთავარ პრობლემებად, რომლებთანაც მოულოდნელი სახიფათო ამბებია დაკავშირებული, რჩება ჩინეთის და აღმოსავლეთის, ბალკანეთის და სხვ. პრობლემები. მეტად რთული და წინააღმდეგობებით სავსეა ეგრედწოდებული „გერმანიის პრობლემაც“.

კაპიტალისტური განვითარების სისხლიანი თანამგზავრი— ომი, უფრო და უფრო მოუთმენლად და დაჟინებით ელის თავის ჟამს. მატერიალურ - ტეხნიკური, სამეცნიერო და იდეურ - პოლიტიკური მზადება ომების მეორე ტურისათვის გამალებით სწარმოებს.

მაგრამ აზვირთებული მოგორავენ რევოლუციის მძლავრი ტალღები, ბობოქრობს დროებით და არა სამუდამოთ დამარცხებული ჩინეთი, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებებისა, წინ მიდის სოციალისტური მშენებლობის ქვეყანა, უფრო მეტად მაგრდებიან და იკაჟებიან კომუნისტური ინტერნაციონალის რიგები. პროლეტარიატი აწყობს ანტიკაპიტალისტურ თავდაცვას და გაფაციცებით ემზადება სასურველ მომენტისათვის, როცა შესაძლებელი გახდება გენერალურ კონტრ-შეტევაზე გადასვლა, როცა გაისმის უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლის ყიჟინა.

კაპიტალისტურ მტერს არ სძინავს და მუდამ დღე ცდილობს რევოლუციის ძალების ალაგმვას, დაშლას და დასუსტებას. იგი მოქმედებს მათრახითა და მოთაფლული ენით, მუქარითა და პირფერობით, ძალმომრეობითა და მოტყუებით, ტყვიებითა და საწამლავი გაზებით, ქრისტეს ძველი სახარებითა და ფორდებისა და მონდების ახალი სახარებით. იგი მანევრებს აკეთებს და ორივე ფრთით „დასცურავს“: ერთის მხრით ემყარება ფაშიზმს, ხოლო მეორე მხრით კაპიტალისტური სტაბილიზაციის მთავარ ბაზას — სოციალ - რეფორმიზმს, მე-2 ინტერნაციონალი — საქციო საზოგადოების „მაკდონალდ-კაუცკი - ბაუერი და კომპანია“-ს ეს პროსტიტუტების გენერალური შტაბი — კაპიტალიზმის ყურმოჭრილი მონაა.

კომუნისტური ინტერნაციონალი —მარქსისა და ლენინის ეს ღვიძლი შვილი—მედგრად და მრისხანედ სდგას თავის ისტორიულ სადარაჯოზე. მან ღირსეულად ჩაატარა უკანასკნელი წლების მძიმე და ძნელი გამოცდა, მას არ გაუცრუებია და არც არასოდეს გააცრუებს მილიონების იდუმალ ზრახვებსა და იმედებს. სულელური, სამარცხვინო და სასაცილო ზღაპარი გამოდგა მტრების ის იმედი, ვითომ კომინტერნი მხოლოდ „ცუდი სიზმარია“ ბურჟუაზიისათვის ომის შემდგომი „არევ-დარევის“ დროს, ვითომ „ლენინის ფანატიკურმა საქმემ“ მხოლოდ კუჭი მოუშალა ოქროს ბარონებსა და მათ „სოციალისტურ“ ხასებს. ცხოვრებამ სულ სხვა გვიჩვენა: კომუნისტური ინტერნაციონალი თანდათან უფრო უდავოდ აშკარავებს თავის თავს, როგორც უდიდეს, ყველაზე უფრო პროგრესიულ ისტორიულ ძალას, რომელიც აქტიურად იკაფავს გზას სამარცხვინო ბარბაროსობისა და ექსპლოატაციისაგან მთელი მშრომელი კაცობრიობის განთავისუფლებისაკენ.

კომინტერნის მე-6 კონგრესი, რომელიც რევოლუციონური თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ ჩატარდება, მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომელთა დახმარებითაც კომუნისტური სექციები განავითარებენ უფრო დიდ, დღემდე გაუგონარ მასიურ მუშაობას, უფრო გაუმჯობესდება მასების რევოლუციონური ხელმძღვანელობა, უფრო ენერგიულად და წარმატებით გაჩაღდება ბრძოლა სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ მთლიანი პროლეტარული ფრონტით, უფრო სწრაფად მოხდება მრავალმილიონიანი მასის მომზადება მომავალ აუცილებელ რევოლუციონურ ბრძოლებისათვის.

მხოლოდ ბრმა და „ჭკუის კოლოფი“ ვერ შენიშნავს, რომ სწორედ მთელი ქვეყნის პროლეტარებსა და მათ ხელმძღვანელ კომუნისტურ ინტერნაციონალს ეკუთვნისთ მომავალი. მსოფლიო რევოლუცია სცოცხლობს, იგი გაიმარჯვებს და დაასამარებს იმპერიალიზმის დესპოტიურ რეჟიმს.

„პრავდა“, 22 ივლისი.

ნანკინის მთავრობამ გააუქმა ჩინეთ-იაპონიის სავაჭრო ხელშეკრულება

იაპონიის მთავრობის პასუხი.--დიპლომატიური ურთიერთობა იაპონია-ჩინეთს შორის შესწყდა

არგენტინაში მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას

ჩემბერლენის განცხადება ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის შესახებ

მდგომარეობა ჩინეთში

ჩინელები უტევენ იაპონიას

შანხაი, 23 ივლისი. ტოხოს სააგენტოს ცნობით, გენერალ კუჩენის არმიის ნაწილებმა გადალახეს კიოჩაო-ცზინანის რკინის გზის ხაზი და დაიკავეს პოზიცია კაომის სამხრეთით ორი კილომეტრის მანძილზე. იაპონიის გარნიზონის სარდლობამ გაგზავნა რაზმი სამხრეთელების განსაიარაღებლად, სააგენტოს სიტყვით, ჩინეთის ჯარებმა იერიში მიიტანეს იაპონელების რაზმზე

ნანკინის მთავრობის აქტიური საგარეო პოლიტიკა

შანხაი, 23 ივლისი. როგორც ეტყობა, ნანკინის მთავრობამ გადასწყვიტა გადავიდეს უფრო აქტიურ საგარეო პოლიტიკაზე. ეგრედ წოდებული დროებითი სასამართლოს ერთერთმა წევრმა ჩინელმა მოსამართლემ ცზანმა გადასწყვიტა, ჩინეთ-იტალიის ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, არ დაუშვას სასამართლოში იტალიის წარმომადგენელი, ცზანს გადაწყვეტილებიდან სჩანს, რომ ნანკინის მთავრობას განზრახული აქვს ჩინეთსა და სახელმწიფოებს შორის დადებული უთანასწორო ხელშეკრულებების გაუქმებასთან ერთად გააუქმოს უცხოელთა პრივილეგიები ჩინეთში.

ნანკინის გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ გავიდა იტალია-ჩინეთის, დანია-ჩინეთის და პორტუგალია-ჩინეთის ხელშეკრულებათა მოქმედების ვადაო.

„სინ-ვენ-ბაოს“ ცნობით, გარეშე საქმეთა სამინისტრომ თავის რწმუნებულს შანხაიში დაავალა, აცნობოს იაპონიის კონსულს იაპონია-ჩინეთის ხელშეკრულების ვადის გასვლის და ახალი ხელშეკრულების დადების საჭიროების შესახებ

ხმების თანახმად, ნანკინის მთავრობას განზრახული აქვს, მოსთხოვოს სახელმწიფოებს უცხოეთის სამხედრო გემების გაყვანა ჩინეთის წყლებიდან. (ადს).

ჩინეთ-იაპონიის ხელშეკრულების გაუქმება

შანხაი, 23 ივლისი. მიღებულია ცნობები, რომ იაპონიის კონსულს ნანკინში გადაეცა ნოტა ჩინეთ-იაპონიის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ. ხსენებული ხელშეკრულება დადებულია 1896 წელს. (ადს).

იაპონიის მთავრობის პასუხი

ტოკიო, 23 ივლისი. სიმბუნ რენგოს სააგენტო იუწყება:

„იაპონიის მთავრობამ გაგზავნა პასუხი ჩინეთის ნაციონალური მთავრობის ნოტაზე ჩინეთ-იაპონიის ხელშეკრულების ვადის გასვლის შესახებ. პასუხში ნათქვამია: „იაპონია ჩინეთის მთავრობის განცხადებას სთვლის უკანონო აქტად და გამოსთქვამს შიშს, რომ საერთაშორისო ტრადიციების ასეთმა დარღვევამ სერიოზული ზიანი არ მიაყენოს ნაციონალური მთავრობის პრესტიჟს“. მიუხედავად ამისა,—ნათქვამია შემდეგ პასუხში,—იაპონიისათვის გასაგებია ნაციონალური მოძრაობა და იგი სიმპატიით უყურებს ამ მოძრაობას. ამიტომ იაპონია კვლავ თანახმაა გადათვალიერებულ იქნეს ხელშეკრულება. ამავე დროს იაპონია აცხადებს, რომ მას გადაწყვეტილი აქვს მიიღოს ეფექტიური ზომები თავისი უფლებების და ინტერესების დასაცავად ჩინეთში, თუ ნაციონალური მთავრობა დაარღვევს ხელშეკრულების პირობებს და იაპონელი მოქალაქეების მიმართ გამოიყენებს ჩინეთში შემოღებულ დროებით წესებს.

პრესის წარმომადგენლებთან საუბარში იაპონიის პრემიერმა ტანაკამ, სხვათა შორის, განაცხადა:

„თუ ნაციონალური მთავრობა მართლაც საფრთხეში ჩააგდებს იაპონიის უფლებებს, რომლებიც განსაზღვრულია ჩინეთ-იაპონიის ხელშეკრულებით. იაპონიის მთავრობა იძულებული იქნება მიიღოს საჭირო ზომები“. (ადს).

იოსიზავას ინტერვიუ

პეკინი, 23 ივლისი. იაპონიის ელჩმა ჩინეთში იოსიზავამ პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა:

„ნანკინის მთავრობის მიერ იაპონია-ჩინეთის ხელშეკრულების გაუქმება წარმოადგენს უკანონო აქტს. მიუხედავად ამისა, იაპონია მზადაა გადაათვალიეროს იაპონია-ჩინეთის ხელშეკრულება. ნანკინის მთავრობის გამოსვლა უნდა ჩაითვალოს არა მეგობრულ აქტად იაპონიის მიმართ. იაპონია გააკეთებს ყველაფერს, რათა უზრუნველჰყოს თავისი მოქალაქეების კეთილდღეობა ჩინეთში. თუ ნანკინის მთავრობა შეეცდება შემოიღოს დროებითი წესები იაპონელ მოქალაქეთათვის ჩინეთში, ამას შეუძლია სამწუხარო შედეგები მოჰყვეს“. (ადს).

ჩჟან-სუე-ლიანი ცდილობს დაუახლოვდეს სამხრეთელებს

ტოკიო, 23 ივლისი. მინისტრთა კაბინეტს წარუდგინეს მოხსენება იაპონიის გენერალური კონსულებისა მუკდენში, ცინდაოში და პეკინში. მოხსენებაში ნათქვამია, რომ ჩჟან-სუე-ლიანი (ჩან-ძო-ლინის შვილი, მანჯურიის ახალი მმართველი) იმყოფება მუკდენის ჯარების შტაბის უფროსის იან-იუ-ტინის გავლენის ქვეშ და ცდილობს დაუახლოვდეს სამხრეთელებს, ამასთან გაურბის იაპონიასთან მეგობრობასო. (ადს).

იაპონია-ჩინეთის ურთიერთობა შეწყვეტილია

შანხაი, 23 ივლისი. „ნიპონ დემპოს“ პეკინელ კორესპონდენტის ცნობით, იაპონიის ელჩმა ჩინეთში იოსიზავამ და იაპონიის მისიის სხვა წევრებმა შესწყვიტეს ყოველგვარი ოფიციალური ურთიერთობა ჩინეთის ხელისუფლებასთან.

„ამგვარად,—აღნიშნავს სააგენტო,—ურთიერთობა იაპონიასთან და ჩინეთს შორის დროებით შეწყვეტილია“.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, ყველა პოლიტიკურმა წრემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ დიპლომატიური კორპუსის წევრების დარბაზობას, რომელიც პეკინში გამართა ჩან-კაი-შის ცოლმა, იოსიზავა არ დაესწრო. (ადს).

შიადას განცხადება

შანხაი, 23 ივლისი. იაპონიის გენერალურმა კონსულმა შანხაიში იადამ ჩინეთის პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ იგი არ აპირებს ნანკინის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრთან ვან-ჩჟენ-ტინთან შეხვედრას და მოლაპარაკებას დაწყებას ცზინანის ინციდენტის მოგვარების შესახებ, „როგორც ეს წინად იყო განზრახულიო“.

გაზეთი შუნბაო, კომენტარიებს უკეთებს რა იადის განცხადებას, სთვლის, რომ განცხადება გამოიწვია დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტამ ჩინეთსა და იაპონიას შორისო.

რეიტერის ცნობით, დადასტურდა ხმები იმის შესახებ, რომ იაპონიის მთავრობის წინადადებას მისცა ჩჟან-სუე-ლიანს—არ დაუმორჩილოს მანჯურია ნანკინის მთავრობას. (ადს).

იოსიზავას განცხადება

ტოკიო, 23 ივლისი. როგორც ტოხოს სააგენტო იუწყება, იოსიზავამ ნანკინის მთავრობას მიმართა განცხადებით, რომელშიაც დეტალურად განმარტავს იაპონიასთან ხელშეკრულების გაუქმების უკანონობას საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით. ამ განცხადებაში იოსიზავა, სხვათა შორის სწერს:

„ნანკინის მთავრობა ჯერ არ უცვნიათ სახელმწიფოებს და ამიტომ საკითხია—აქვს თუ არა ნანკინის მთავრობას ხელშეკრულებების დადების უფლება“.

იოსიზავა გამოსთქვამს რა შიშს, რომ ექსტერიტორიალობის პრივილეგიების გაუქმებით იაპონელების ინტერესები ჩინეთში შეილახება, სწერს:

„რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა დავსძლიოთ ნანკინის მთავრობის ეხლანდელი შემცდარი თვალსაზრისი ამ საკითხში. ჩვენ არ შეგვიძლია დავიწყოთ მოლაპარაკება ახალი ხელშეკრულების დადების შესახებ ისეთ პირობებში, როცა არსებობს შემცდარი წინასწარი აზრი, თითქოს ხელშეკრულება გაუქმებულია. იაპონიის მთავრობა არასოდეს არ იტყვის უარს ამ თვალსაზრისზე, სანამ არ დარწმუნდება, რომ თავიდან აცილებულია ხელშეკრულების უკანონოთ გაუქმების ყოველგვარი შესაძლებლობა. მე ჯერ არ შემიძლია ვსთქვა, თუ რა პრაქტიკული ზომები იქნება მიღებული. მაგრამ მოსალოდნელია ყველაზე უფრო ცუდი შედეგი“. (ადს).

ჩინეთ-იაპონიის კონფლიქტი

შანხაი, 23 ივლისი. უცხოელთა პრესის და შანხაის საზოგადოებრივი აზრის ყურადღების ცენტრს ამჟამად იაპონია-ჩინეთის კონფლიქტი შეადგენს. რეიტერი ადასტურებს, რომ იაპონიის მთავრობამ იაპონიის ელჩს პეკინში იოსიზავას წინადადება მისცა—გადასცეს ნანკინის მთავრობას ნოტა პასუხად ნანკინის მთავრობის განცხადებაზე იაპონია-ჩინეთის სავაჭრო ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შესახებ. სააგენტო ადასტურებს აგრეთვე, რომ ცზინანის ინციდენტის მოგვარების მიზნით დანიშნული მოლაპარაკება გადადებულია. (ადს).

შანდუნის შეტაკების მსხვერპლი

შანხაი, 23 ივლისი. ჩინეთის გაზეთების ცნობით, შანდუნში მომხდარი უკანასკნელი შეტაკების დროს მოჰკლეს 601 ჩინელი ჯარისკაცი, განიარაღეს 2.000.

იაპონელები მოითხოვენ, რომ გენერალმა გუ-ჩენმა პირადად მოიხადოს ბოდიში, მოითხოვენ აგრეთვე ჩინელი ჯარისკაცები საჯაროდ დასაჯონ სიკვდილით იაპონიის ჯარის თანდასწრებით და რომ ჯარისკაცებს აეკრძალოს ნეიტრალურ ზონაში შესვლა.

გომინის სააგენტოს ცნობით იაპონელთა ყუმბარებით განადგურებულია 10 სოფელი გაომის რაიონში. (ადს).

შეტაკება ჩიფუში

შანხაი, 23 ივლისი. ჩიფუდან მიღებული ცნობით, იქ მოხდა შეტაკება სამხრეთის ჯარებსა და ჩჟან-ცზუნ-ჩანის ჯარებს შორის.

სროლის დროს დაიჭრა ამერიკელი მეზღვაური, ამერიკის კონსული მოითხოვს დამნაშავეთა დასჯას. (ადს).

იაპონია ჩჟან-სუე-ლიანის სამხრეთელებთან დაახლოვების წინააღმდეგ

ტოკიო, 23 ივლისი. იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტრომ პრესის წარმომადგენლებს გამოსაქვეყნებლად გადასცა შემდეგი ცნობა:

„იაპონიის ინტერესები მანჯურიაში და შუა მონღოლეთში აუცილებლად შეილახება, თუ აღმოსავლეთის სამი პროვინცია ნაციონალისტების ხელში გადავიდა. ამიტომ იაპონიის მთავრობამ ურჩია ჩჟან-სუე-ლიანს, თავი შეიკავოს ნაციონალურ მთავრობასთან დაახლოებისაგან და განამტკიცოს თავისი მდგომარეობა მანჯურიაში და მონღოლეთში წესრიგის შენარჩუნების მიზნით“ .(ადს).

მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას

ნიუ-იორკი, 23 ივლისი. ბუენოს-აირესიდან (არგენტინა) მიღებული ცნობით, პარლამენტის სხდომაზე დეპუტატმა მუციომ (დამოუკიდებელი სოციალისტი) მოითხოვა რომ არგენტინის მთავრობამ იცნოს საბჭოთა კავშირი. (ადს).

შეკითხვა ჩემბერლენს

ლონდონი, 23 ივლისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„მუშათა პარტიის დეპუტატმა დემინიკომ შემდეგი შეკითხვა მისცა გარეშე საქმეთა მინისტრს: ვინაიდან გერმანია, შეერთებული შტატები და იაპონია ანვითარებენ და ადიდებენ ვაჭრობას რუსეთთან და **ვინაიდან რუსეთთან ვაჭრობის შეწყვეტამ შესამჩნევად შეაფერხა ინგლისის სამრეწველო ცხოვრება**, ხომ არ აპირებს იგი მიიღოს ისეთი ზომები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდებოდეს ინგლის-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობის განახლება.

ამ შეკითხვაზე ჩემბერლენმა უპასუხა, რომ იმდენად, რამდენადაც ინგლის - რუსეთს შორის უკვე არსებობს სავაჭრო ურთიერთობა, ზედმეტია ამ ურთიერთობის აღდგენაზე ლაპარაკი. შეერთებული შტატების მაგალითი ნათელჰყოფს იმ გარემოებას, რომ საბჭოთა მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობების უქონლობა ხელს ვერ უშლის სავაჭრო ურთიერთობას“ (ადს).

კელოგის წინადადება და საბჭოთა კავშირი

ბერლინი, 23 ივლისი. გერმანიის პრესაში გამოქვეყნებულია ვაშინგტონიდან მიღებული ცნობა, რომლის თანახმად ვაშინგტონის პოლიტიკურ წრეებში გავრცელებულია ის თვალსაზრისი, რომ საბჭოთა კავშირს შეუძლია შეუერთდეს ომის ამკრძალავ ხელშეკრულებას დამოუკიდებლად იმის, თუ როგორ იქნება გადაჭრილი საკითხი შეერთებული შტატების მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

„კელნიშე ცეიტუნგ“ აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ უნდა გაეგზავნოს წინადადება—შეუერთდეს და ხელი მოაწეროს კელოგის პაქტს.

„თუ,—სწერს გაზეთი,—კელოგს აქამდის გაუბედავი პოზიცია ეჭირა ამ საკითხში, ეს ალბად, აიხსნება იმით. რომ მას არ უნდოდა უსიამოვნება მიეყენებია ჩემბერლენისათვის“. (ადს).

ნიუ-იორკი, 23 ივლისი. „ივნინგ უორლდი“ სწერს:

„კელოგის პაქტის განსახილველად საბჭოთა კავშირის არ მიწვევა ეჭვებს აღძრავს მისი ინიციატორების გულწრფელობაში. იმ ქვეყნების რიცხვიდან, რომლებიც ხელს აწერენ ხელშეკრულებას, **საბჭოთა კავშირის გამორიცხვა ომის გამოცხადებას უდრის**“.

კუკის განცხადება

ლონდონი, 23 ივლისი. 21 ივლისს მუშათა პარტიის ლონდონის ორგანიზაციამ გამართა მიტინგი. სამთა-მადნო მუშების მიტინგზე გამოსვლის დროს კუკმა განაცხადა, რომ მან უარი სთქვა სამთა-მადნო მუშების ფედერაციის მდივნის მოვალეობის შესრულებაზე, სანამ კავშირის უბრალო წევრთა მასა არ გამოუცხადებს მას თავის ნდობას.

„თუ თქვენ მონდიზმი გსურთ, განაცხადა კუკმა,—ამოირჩიეთ სხვა მდივანი“.

შემდეგ კუკმა, სთქვა, რომ სამთა-მადნო მუშების ფედერაციის თავმჯდომარე, სპიტი მხარს უჭერს მონდიზმს, რომელიც ფაშიზმს უდრის.

ბრძოლა ხელფასის გადიდებისათვის

პარიზი, 23 ივლისი. ჩრდილოეთის, ანზენის და პა-დე-კალეს მემაღაროეთა რეფორმისტული პროფკავშირების საგანგებო ყრილობამ დაადგინა მოითხოვოს ხელფასის გადიდება, ხოლო თუ მოლაპარაკებამ ნაყოფი არ გამოიღო, მოაწყოს ერთი დღის საპროტესტო გაფიცვა.

მიუხედავად რეფორმისტების მიერ წამოყენებული მოთხოვნილებათა გაურკვევლობისა, მემაღაროეთა უნიტარულმა პროფკავშირების აღმასრულებელმა კომიტეტმა წინადადება მისცა რეფორმისტებს—შექმნან მთლიანი ფრონტი. (ადს).

მაქს ჰელცის წერილი

ბერლინი, 23 ივლისი. მაქს ჰელცმა წერილით მიმართა გერმანიის კომპარტიის ცეკას განთავისუფლებულ პოლიტიკურ პატიმართა სახელით. წერილში იგი აღნიშნავს, რომ განთავისუფლებული პოლიტიკური პატიმარნი იმყოფებიან გერმანიის კომპარტიის სრულ განკარგულებაში და მოუწოდებენ მუშებს ჩაეწერონ კომუნისტურ პარტიაში. (ადს).

—:—

საპყრობილეებში დარჩენილი პროლეტარი პატიმრები

ბერლინი, 23 ივლისი. ჰელცის და მთელ რიგ სხვა პროლეტარ პატიმართა განთავისუფლების შემდეგ, საპატიმროებში კიდევ არიან, სხვათა შორის, შემდეგი პროლეტარი პოლიტპატიმრები: მიულერი, რომელსაც მისჯილი აქვს საკატორღო საპყრობილეში პატიმრობა 15 წლით პოლიციელის მოკვლისათვის, მარგისი—მსჯავრდადებულია ეგრედწოდებულ „გერმანიის ჩეკას“ საქმეზე, ბეკელერი —მისჯილი აქვს საკატორღო საპყრობილეში პატიმრობა 13 წლით. ბეკელერს სასჯელის ვადა შეუმცირეს 6 ნახ. წლამდე; აქედან მას ციხეში უნდა დაჰყოს კიდევ სამი წელი. პოლიტიკური პატიმრები მელცორნი და ბურგარდტი აქამდის არ არიან განთავისუფლებული ზონენბურგის საპატიმროდან, მიუხედავად იმისა, რომ ამნისტია მათზე ვრცელდება. ზონენბურგის საპატიმროდან პირველი ჯგუფის განთავისუფლების დროს ადმინისტრაციამ მელცორნს და ბურგარდტს უკვე მისცა სამოქალაქო ტანსაცმელი და მხოლოდ [illegible] განთავისუფლების მომენტში გამოუცხადა მათ, რომ ისინი საპყრობილეში უნდა დარჩნენ. (ადს).

ლოიდ-ჯორჯის გამოსვლა

ლონდონი, 23 ივლისი. სტოკფილდში გამოსვლის დროს ლოიდ - ჯორჯი დაწვრილებით შეჩერდა კელლოგის პროექტზე: „როდესაც ეს წინადადება პირველად მოვიდა ამერიკიდან, — განაცხადა ლოიდ - ჯორჯმა, —მას იჭვით ათვალიერებდენ ყოველ მხრივ, თითქოს იგი შხამიანი გველი ყოფილიყოს. მაგრამ გველი უვნებელი გახადეს მრავალი შენიშვნის საშუალებით. პროექტიდან ამოშალეს ყოველივე ის, რაც კი შხამიანად იქნა მიჩნეული. დღეს ეს წინადადება ჩადებულია შუშის ქილაში და ევროპის სახელმწიფო მოღვაწეებმა თაროზე შემოსდეს იგი მათი სიმამაცის სხვა დამამტკიცებელ საბუთებთან ერთად ხელშეკრულებათა დადების საქმეში“.

ლოიდ - ჯორჯი შეეხო მექსტონისა და უიტლის იმ გამოსვლას, როცა ისინი მუშათა პარტიის ოფიციალურ პოლიტიკას აკრიტიკებდენ. მან განაცხადა:

„მექსტონი და უიტლი მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციას ბალიშებით ებრძოდენ. ამ ბრძოლიდან მუშათა ლიდერები გამოვიდნენ ბუმბულით თეთრად გადაპენტილი, მექსტონს და უიტლის კი არც ერთი ბუმბული არ მიეკარა“

შემდეგ ლოიდ - ჯორჯი შეეხო სამთამადნო მუშათა ფედერაციის ყრილობას და განაცხადა:

„უმრავლესობის მისამხრობად სამთამადნო მუშათა ლიდერებმა მიმართეს მეტად მოხერხებულ საშუალებას: კინწის კვრით გამჭყარეს ყველა, ვინც მათ არ დაეთანხმა“.

კომინტერნის VI მსოფლიო კონგრესი

ინტერნაციონალურ საკონტროლო კომისიის ანგარიში

ამხ. სტუჩკას მოხსენება

მოსკოვი, 23 ივლისი. „ინტერნაციონალური საკონტროლო კომისია,—სთქვა ამხ. სტუჩკამ,—დაარსებულ იქნა მეხუთე კონგრესზე. ვინაიდან იმ დროს სავსებით არ იყო გარკვეული, როგორი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამ კომისიას, ამიტომ მისი ამოცანები მაშინ უფრო შეზღუდულათ და გაურკვევლად იქნა ჩამოყალიბებული. ვფიქრობდით, რომ კომისიამ უნდა განიხილოს საჩივრები კომინტერნის აღმასკომის განყოფილებათა მოქმედების შესახებ და აგრეთვე პარტიის ცალკე წევრების და მთელი ორგანიზაციების საჩივრები მათი პარტიიდან გამორიცხვის შესახებ. ამ საკითხების განხილვას ინტერნაციონალური საკონტროლო კომისიის მიერ უნდა ჰქონოდა მხოლოდ სათათბირო ხასიათი, ვინაიდან გადაწყვეტილებები უნდა მიეღო კომინტერნის აღმასკომს. ბოლოს, ინტერნაციონალური საკონტროლო კომისიის წინაშე დაისვა საკითხი იმის შესახებაც, რომ მას კონტროლი გაეწია აღმასკომის და აგრეთვე ცალკე პარტიების ფინანსიური მოქმედებისათვის. ინტერნაციონალური საკონტროლო კომისია პირველსავე სხდომებზე დარწმუნდა, რომ მეორე ამოცანა მეტად ფართე იყო, ვინაიდან თუ კომისია განიხილავდა პარტიიდან გამორიცხვის თვითეულ შემთხვევას, მაშინ ინტერნაციონალურ საკონტროლო კომისიაში თავს მოიყრიდა უამრავი საქმე, განსაკუთრებით, საკავშირო კომპარტიიდან. ამიტომ გადასწყდა, რომ ინტერნაციონალური საკონტროლო კომისია ამიერიდან განიხილავს მხოლოდ იმ საქმეების პარტიიდან გამორიცხვის შესახებ, რომელთაც პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ. ინტერნაციონალური საკონტროლო კომისიის მიერ განხილული საქმეების უმრავლესობა ეკუთვნოდა სხვადასხვა ოპოზიციონურ მიმდინარეობათა პერიოდს, კერძოთ გერმანიის კომპარტიაში პირველი მემარჯვენე ოპოზიციის წარმოშობის პერიოდს. ცნობილია, რომ გერმანიის კომპარტია ხშირად მიმართავდა პარტიიდან გამორიცხვას. როგორც სასჯელის ერთ-ერთ ზომას, პარტიიდან რიცხავდენ ძველ პარტიულ ამხანაგებს და მუშებს, საერთოდ მათდამი დამოკიდებულება ისეთი იყო, თითქოს პარტიის განკარგულებაში არ არის ზეგავლენის არავითარი სხვა ზომა, თუ არა პარტიიდან გამორიცხვა. ინტერნაციონალურ საკონტროლო კომისიაში ბევრი საკითხი აღიძრა აგრეთვე ულტრა მემარცხენე ოპოზიციასთან დაკავშირებით, მაგალითად, რუტ ფიშერ-მასლოვის საქმის გამო. მასლოვის საქმე მეტად დამახასიათებელია ინტერნაციონალური საკონტროლო კომისიის მუშაობისათვის. მან დაგვანახვა, რომ ამხანაგებმა ჯერ კიდევ არ იციან, თუ როგორ უნდა დაიჭირონ თავი ბურჟუაზიულ სასამართლოს წინაშე. მასლოვის მოქმედება სასამართლოში დასაგმობი იყო კომუნისტური თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით ინტერნაციონალურმა საკონტროლო კომისიამ წამოაყენა წინადადება, რათა საკავშირო კომპარტიის რევოლუციონური ტრადიციების მიხედვით გამომუშავებულიყო წესები დაპატიმრებისა და გასამართლების შემთხვევებისათვის. ინტერნაციონალურმა საკონტროლო კომისიამ განიხილა ბევრი ისეთი შემთხვევა, რომლებიც ეხებოდნენ ემიგრაციას. ყველამ ვიცით, რომ ემიგრაცია მძიმე ავადმყოფობაა, რომლის დროსაც უთანხმოება ხშირად არაჩვეულებრივად მწვავდება და პირადი კინკლაობის ხასიათსაც ღებულობს. კმაყოფილებით შეიძლება აღინიშნოს, რომ თუმცა ასეთი საქმეები არის, მაგრამ მაინც გაცილებით უფრო ნაკლები, ვიდრე წინად იყო, ყველა ეს მომენტები მოწმობს, რომ ინტერნაციონალური საკონტროლო კომისია, როგორც განსაკუთრებული ინსტანცია, აუცილებლად საჭიროა.

ინტერნაციონალური საკონტროლო კომისიის მუშაობის მეორე ძირითადი დარგი—არის სარევიზიო საქმიანობა. კომინტერნს არა ჰყავს განსაკუთრებული სარევიზიო კომისია და ჩვენ ვფიქრობთ, რომ რახან არსებობს ინტერნაციონალური საკონტროლო კომისია, განსაკუთრებული სარევიზიო კომისიის დაარსება მიზანშეუწონელი იქნებოდა. ცალკე პარტიების ფინანსებს კონტროლს უნდა უწევდეს ინტერნაციონალური საკონტროლო კომისია. ინტერნაციონალურმა საკონტროლო კომისიამ შეამოწმა აგრეთვე კომინტერნის აღმასკომის სალაროს მდგომარეობა და ფინანსიური საქმიანობა, როგორც ეს გათვალისწინებულია წესდებით. კომინტერნის აღმასკომის მუშაობა ამ სფეროში. კომისიამ სწორედ ჩასთვალა და დაამტკიცა იგი. ამავე დროს მისცა ზოგიერთი მითითება მომავლისათვის. ამასთან საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენი არალეგალური პარტიები ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევდენ საფინანსო ანგარიშგებას. საჭიროა ამას ბოლო მოეღოს. ამ საკითხის მოწესრიგება არალეგალურ პარტიებში უფრო საჭიროა, ვიდრე ლეგალურ პარტიებში. საერთოდ, ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ განიხილა 200 საქმე“. (ადს).

კონგრესის კომისიების შემადგენლობა

კომინტერნის პროგრამის შემმუშავებელი კომისია

იმ კომისიაში, რომელმაც კომინტერნის პროგრამა უნდა შეიმუშაოს, არჩეულ იქნენ: ს. კ. პ. (ბ)-დან — ამხ-ები ბუხარინი, სტალინი, რიკოვი, მოლოტოვი, მანუილსკი, სკრიპნიკი და ოსინსკი; გერმანიის კომპარტიიდან— დენგელი და შრეტერი, იტალიის კომპარტიიდან — ერკოლი და სერრა, პოლონეთის კომპარტიიდან — ბრანდი და ლენსკი, შეერთებული შტატების კომპარტიიდან — ვეინსტონი და კენონი, ჩინეთის კომპარტიიდან—სტრახოვი, ლი-კუ-ანგი და ჯან-ბი-ანი, ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალიდან— შიულერი და ხითაროვი, სამხრეთ - სლავიის კომპარტიიდან — ლიდინი, იაპონიის კომპარტიიდან — კატაიამა და კატო, ავსტრიის კომპარტიიდან — კოპლენიგი, უნგრეთის კომპარტიიდან — კემენი.

ამათ გარდა საპროგრამო კომისიაში შედიან შემდეგი ქვეყნების წარმომადგენელნი: შვეიცარიის, შვეციის, ნორვეგიის, ესტონეთის, ბულგარეთის, ფინეთის, ინდონეზიის, მექსიკის, ლატვიის, ლიტვის, დანიის, ჰოლანდიის, სპარსეთის, ურუგვაის, ბრაზილიის, კოლუმბიის, ეკვადორის, ბელგიის, კანადის, რუმინეთის, საბერძნეთის, სამხრეთ აფრიკის, ოსმალეთის, პალესტინის, სირიის, ეგვიპტეს, ჩეხო - სლოვაკიის და ინდოეთისა. გარდა ამისა, კომისიაში პერსონალურად შევლენ კუუსინენი, ცეტკინი, ვარგა, ემბერ დრო.

სამანდატო კომისიის შემადგენლობა

სამანდატო კომისიაში შედიან შემდეგი ამხანაგები: არისტი, ბენეტი, ბერნარი, ბირშარტი, სელორი, ენგედალი, ფირიტი, გორლანდი, გრჟეგოშევსკი, გრიუნბაუმი, გაკენი, ჯონსტონი, მანერი, მუნხპეტერსენი, ოპიტცი, ოსიპოვი, პოტნიცკი, რემელე, სალა, სარკისისი, შმერალი, ჩანჩენი, ჩენ-ხუ-ანი, ვასილიევი და ვეირაუხი.

სამდივნოს შემადგენლობა

სამდივნოში შევიდნენ: ბარბე, ენგდალი, ერკოლი, გორკი, მიკოლოსი, როტშტეინი, შნელერი, შმერალი.

23 ივლისის დილის სხდომა

კამათი ამხ. ბუხარინის მოხსენების გამო

მოსკოვი, 23 ივლისი. 23 ივლისის დილის სხდომა გაიხსნა **კარლისტონის** (ჩრდ. ამერიკის ზანგების დელეგატი) თავმჯდომარეობით.

სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. ბუხარინის მოხსენების გამო.

ამხ. სემარის სიტყვა

პირველად გამოვიდა **სემარი** (საფრანგეთი).

„საფრანგეთის დელეგაცია,—სთქვა მან—სავსებით ეთანხმება ამხ. ბუხარინის თეზისებს და გამოსთქვამს მხოლოდ სურვილს, რომ კონგრესმა უფრო ზედმიწევნით ჩამოაყალიბოს თეზისების ის მუხლები, რომლებშიაც ლაპარაკია კელოგის წინადადებისა და საფრანგეთის იმპერიალიზმის როლის შესახებ. ჩვენის აზრით, კელოგის პროექტი მიზნად ისახავს იმას, რომ პაციფისტური ლაყბობით ნიღაბი აეფაროს შეერთებული შტატების იმპერიალიზმის აგრესივობის ზრდას და მის ენერგიულ მზადებას ომისათვის. თეზისებში საკმაოდ არ არის აღნიშნული საფრანგეთის იმპერიალიზმის როლი, როგორც უდიდესი კოლონიალური სახელმწიფოსი დიდი ბრიტანეთის შემდეგ. უკანასკნელ ხანებში საფრანგეთის იმპერიალიზმი განსაკუთრებულ აქტივობას იჩენს კოლონიებში. საფრანგეთის იმპერიალიზმი ცდილობს შექმნას კოლონიალური ჯარები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი იქნება არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყებისა ან იმპერიალისტური ომის დროს, არამედ საფრანგეთის მუშათა კლასთან ბრძოლის დროსაც. ეს კოლონიალური ექსპანსია ამწვავებს კონფლიქტს საფრანგეთსა და სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის.

ამ პოლიტიკაში საფრანგეთის ბურჟუაზიას აქტიურად ეხმარება სოციალ-დემოკრატია, რომელმაც ამჟამად პროლეტარიატის მორალურად მომზადება იკისრა. სამხედრო სამზადისის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს მოღვაწეობა პოლ ბონკურისა, რომელიც, როგორც საფრანგეთის წარმომადგენელი ერთა ლიგაში, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოვიდა განიარაღების კონფერენციაზე, ხოლო როგორც პარლამენტის დეპუტატი, მხარს უჭერდა საფრანგეთის გენერალური შტაბის მილიტარისტულ პროექტებს. პოლ ბონკური აშკარად ამბობდა პოლონეთის შესახებ, რომ იგი „ცივილიზაციას იცავს“ საბჭოთა კავშირის საფრთხისაგან.

ამასთან დაკავშირებით, გადაჭრით უნდა აღინიშნოს, რომ კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავების წყალობით, უფრო და უფრო აქტუალური ხდება ომის საფრთხე კაპიტალისტურ სახელმწიფოებსა და საბჭოთა კავშირს შორის. ეს საგანგებოდ უნდა ითქვას თეზისებში, ვინაიდან კომინტერნში არიან ისეთი ამხანაგები, რომლებსაც საკმაოდ არა აქვთ შეგნებული ამ საფრთხის მნიშვნელობა. ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ჩვენ უნდა მივიჩნიოთ მუშათა მასების იდეოლოგიური მომზადება ომისათვის და ამ სამზადისის ლოზუნგი უნდა იყოს იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად.

უნდა ვსთქვათ, რომ საფრანგეთის კომპარტიამ მნიშვნელოვანი ანტიმილიტარისტული მუშაობა გასწია არმიისა და ფლოტის რიგებში; იგი განსაკუთრებული წარმატებით ეწეოდა აგიტაციას სამარქაფო ჯარებში. კოლონიების ადგილობრივ მოსახლეობასთან საფრანგეთის ჯარის დაძმობილების კამპანიამაც განსაზღვრული ნაყოფი გამოიღო. ახლა ჩვენს ამოცანას შეადგენს საბჭოთა კავშირის მეგობართა კომიტეტების შექმნა ფაბრიკებსა და ქარხნებში. ჩვენის ფიქრით, ომის წინააღმდეგ მიმართული მოქმედების მოწესრიგება ჩვენი მუშაობის ცენტრში უნდა მოვაქციოთ, რომ, თუ ვინიცობაა იმპერიალისტები თავს დაესხენ საბჭოთა კავშირს, მუშათა მასებმა უნდა დაამხონ კაპიტალისტთა ხელისუფლება და დაიწყონ პროლეტარული რევოლუცია“. (ტაში).

ამხ. დევისერის სიტყვა

სემარის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ჰოლანდიელმა **დევისერმა**. დევისერმა აღნიშნა ამხ. ბუხარინის სწორი შეხედულება სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტური ტენდენციების ზრდაზე და სთქვა, რომ ჰოლანდიაში წინააღმდეგ ტენდენციებსაც ვხედავთ—იქ ადგილი აქვს კომუნალურ საწარმოთა გადასვლის პროცესს კერძო მფლობელობის ხელში.

ამხ. როგიჩის სიტყვა

სამხრეთ-სლავიის კომპარტიის სახელით გამოვიდა **როგიჩი**.

„სამხრეთ-სლავიის დელეგაცია,—სთქვა მან, —მთლიანად ეთანხმება ამხ. ბუხარინის მოხსენებას და განსაკუთრებულ მადლობას უძღვნის კომინტერნს, რომ მან სამხრეთ-სლავიის კომპარტიაში ფრაქციული ბრძოლის ლიკვიდაცია მოახდინა.

როგიჩმა აღნიშნა ის მნიშვნელოვანი როლი, რომელიც შეასრულა კომინტერნის აღმასკომის ღია წერილმა სამხრეთ-სლავიის კომპარტიაში არსებული ფრაქციული ბრძოლის ლიკვიდაციისათვის და ღრმა იმედი გამოსთქვა, რომ სამხრეთ-სლავიის გამოცდილების მიხედვით კომინტერნი მოახერხებს ფრაქციულობის ლიკვიდაციას პოლონეთის კომპარტიაშიც.

ამხ. ფორდის სიტყვა

შემდეგ გამოვიდა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების ნეგრების დელეგატი **ფორდი**, რომელმაც აღნიშნა, რომ ამერიკული კომპარტია ნაკლებ ყურადღებას აქცევს მუშაობას ნეგრებს შორისო.

„სოციალ-დემოკრატები,—სთქვა მან,—მიხვდნენ, თუ რა მნიშვნელობა აქვთ ნეგრებს და ამიტომ მოაწყეს ნეგრების რეაქციონური გაერთიანებანი, სადაც ჩვენ არავითარი გავლენა არა გვაქვს. ბოლო დროის მოვლენები კი გვიჩვენებენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაობას დაჩაგრულ ხალხებს შორისო“.

შემდგომი ორატორი ამხ. **ვასილიევი** თავის სიტყვაში შეეხო იმ შეუსაბამობას, რომელიც არსებობს კომინტერნის სექციების პოლიტიკურ გავლენასა და მათ ორგანიზაციულ მიღწევებს შორის.

ამხ. სიკანდერის სიტყვა

ინდოელთა დელეგაციის სახელით გამოვიდა **სიკანდერი**, რომელსაც მხურვალე ტაშით შეეგებნენ.

„ინგლისის გაძლიერებული კაპიტალის გავლენით ინდოელ მშრომელთა მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა, მით უმეტეს, რომ ინგლისის კაპიტალთან შეკავშირებით მოქმედებს ინდოეთის კაპიტალიც. ამას შედეგად მოჰყვა მუშათა კლასის წინააღმდეგობის

გაგრძელება იხ. მეორე გვერდზე

ზრდა, როგორც ეს უკანასკნელი დიდი გაფიცვების დროს გამოაშკარავდა. ინდოელების ბრძოლას იმპერიალიზმის და ომის საშიშროების წინააღმდეგ უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ კომინტერნმა უნდა გამოიმუშაოს მუშაობის სავსებით გარკვეული პროგრამა, რომლის საფუძველზედაც შესაძლებელი უნდა გახდეს ინდოეთის კომპარტიის გადაქცევა მძლავრ მასიურ ორგანიზაციად“.

ამხ. ბოდემანის სიტყვა

შემდეგ გამოვიდა შვეიცარიის წარმომადგენელი ბოდემანი.

„შვეიცარიის დელეგატების აზრით,—სთქვა მან,—კომინტერნის აღმასკომმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს უფრო სუსტ სექციებს, რომელნიც მძიმე პირობებში სუსტად მუშაობენო“.

ბოდემანმა ამასთან ყურადღება მიაქცია კომინტერნის საინფორმაციო აპარატის არადამაკმაყოფილებელ მუშაობას. ეს მუშაობა საგრძნობლად უნდა გაუმჯობესდესო. რათა პარტიის წევრ-მუშებს შეეძლოთ მონაწილეობის მიღება კონგრესის მუშაობაში. საჭიროა მოწვევის ვადების გარკვევით და დანამდვილებით აღნიშვნა.

ამხ ვოპლენიგის სიტყვა

შემდეგ გამოვიდა ამხ. კოპლენიგი (ავსტრია).

„ჩვენ,—სთქვა მან,—სასურველად მიგვაჩნია, უფრო დაწვრილებით გაირკვეს ამხ. ბუხარინის თეზისების ის ნაწილი, რომელიც შეეხება ივლისის აჯანყებას ვენაში და ავსტრომარქსიზმის როლს. ჩვენის აზრით, ივლისის აჯანყება წარმოადგენს ავსტრომარქსიზმის კრახის პერიოდის დასაწყისს. თუ ამ აჯანყების შემდეგ სოციალ-დემოკრატები ავსტრიაში მაინც გამაგრდნენ, ეს უნდა მიეწეროს არა ავსტრომარქსიზმს, არამედ იმას, რომ იგი წმინდა რეფორმისტულ პარტიად გადაიქცა. რაც შეეხება ავსტრიის კომპარტიას, მისი მარცხი ივლისის აჯანყების შემდეგ აიხსნება, იმ დიდი შეცდომებით, რომლების შესწორებასაც ჩვენ შევეცდებით“-ო.

ამხ. მერფის სიტყვა

ინგლისის დელეგაციის სახელით გამოვიდა ამხ. მერფი.

„როდესაც ბუხარინმა,—სთქვა ორატორმა,—აღწერა ომის შემდგომი ხანის პირველი პერიოდი, მან იგი დაახასიათა ისეთ პერიოდად, როცა მუშათა კლასი მზად იყო გადამწყვეტი ბრძოლისათვის, მაგრამ როდესაც კომინტერნი და კომპარტიები იმდენად ძლიერნი არ იყვნენ, რომ ხელმძღვანელობა გაეწიათ ამ ბრძოლისათვის. მეორე პერიოდიც ხასიათდება კაპიტალიზმის სტაბილიზაციით და კოლონიებში რევოლიუციონური მოძრაობის განვითარებით. ტენდენცია განვითარება თავის თავად ვერ ჩაითვლება მესამე პერიოდის ამომწურავ დახასიათებად. კაპიტალიზმის გადასვლა მეორე პერიოდიდან მესამეში სრულებითაც არ მომხდარა ასე მარტივად და უბრალოთ. მაგალითად, ინგლისში მრეწველობის ძირითადი დარგები—ქვა-ნახშირის და ფოლადის მრეწველობა—დაქვეითების გზაზე დგანან და მათი რაციონალიზაცია გამოიხატება წარმოების შეზღუდვაში და არა საწარმოო ძალების ზრდაში. შემდეგ ინგლისის დელეგაცია ფიქრობს, რომ ინგლისში საკმაოდ არ არის გაშუქებული როლი ერთა ლიგისა, რომლის გარშემოც სწარმოებს მზადება იმპერიალისტური ომისთვის და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ ომისთვის. ამას გარდა, თეზისები გვერდს უქცევენ მუშაობას კოოპერატივებში და საკმაოდ არ აშუქებენ პროფკავშირულ მუშაობას. ინგლისის დელეგაციას სურს ცალკე აღნიშნოს თავისი კმაყოფილება ამხ. ბუხარინის იმ სიტყვების გამო, რომლებითაც მან სამარცხვინო ბოძზე გააკრა ფრაქციული მოქმედება და მოგვიწოდებს—მიღებულ იქნას ენერგიული ზომები ამერიკის კომპარტიაში ფრაქციული მუშაობის ლიკვიდაციისათვის. საკითხი კომინტერნის მხრივ ხელმძღვანელობის შესახებ უნდა დაუკავშირდეს მძლავრი ხელმძღვანელი აპარატის საკითხს. ამ აპარატმა ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს კომინტერნის ყველა სექციას“.

ამხ. მაკდონალდის სიტყვა

კანადის დელეგაციის სახელით გამოვიდა მაკდონალდი.

„კანადის დელეგაციას,—სთქვა მან,—საჭიროდ მიაჩნია, რომ კომინტერნმა სათანადო ყურადღება მიაქციოს კანადის საკითხს. ეს საჭიროა იმიტომაც, რომ პროპაგანდა, რომელსაც ბრიტანეთის იმპერიალისტები აწარმოებენ და რომლის ლოზუნგსაც შეადგენს ის, რომ კანადის გაბატონებულმა კლასებმა მხარი დაუჭირონ ბრიტანეთის იმპერიალიზმს,—ეს პროპაგანდა თვალსაჩინო როლს ითამაშებს იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. კანადის კომპარტია ყველაფერს აკეთებს საბჭოთა კავშირის დასაცავად. მას საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე ამ მუშაობასთან ერთად მუშათა დელეგაციების გამოგზავნა და საბჭოთა კავშირის მეგობართა კომიტეტების მოწყობა“.

ამხ. ბუნტინგის სიტყვა

სამხრეთ აფრიკის კომპარტიის სახელით გამოვიდა ამხ. ბუნტინგი.

„ჩვენი დელეგაცია,—განაცხადა მან,—გამოსთქვამს სურვილს, რომ კომინტერნმა სერიოზული ყურადღება მიაქციოს საქმის მდგომარეობას სამხრეთ აფრიკაში, ბოლო დრომდე მეტად სუსტი კავშირი იყო გაბმული ჩვენთან“.

ბუნტინგის სიტყვით დამთავრდა დილის სხდომა და შემდგომი კამათი გადადებულ იქნა 24 ივლისის საღამოსთვის.

მისალმებანი

23 ივლისის განმავლობაში კონგრესის პრეზიდიუმმა მიიღო ასზე მეტი მისასალმებელი დეპეშა საზღვარგარეთიდან და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან.

რემედასის აღმასკომის მიერ გამოგზავნილ მისალმებაში, სხვათა შორის ნათქვამია: „რემედასის აღმასკომი ესალმება კომინტერნის მსოფლიო კონგრესს, მშრომელთა მებრძოლი რაზმების ხელმძღვანელს, — იმ მებრძოლი რაზმების ხელმძღვანელს, რომლებსაც ბურჟუაზია ებრძვის ყოველგვარი უხეში, დაუნდობელი და უწყალო მეთოდებით. რემედასი კომინტერნის მსოფლიო კონგრესს ესალმება თავისი 8.900.000 წევრის სახელით და იმედს გამოსთქვამს, რომ კაპიტალისტური ქვეყნებიდან ჩამოსული დელეგატები თავიანთ ორგანიზაციებში დაბრუნების შემდეგ დაუღალავი ენერგიით იბრძოლებენ რევოლიუციონურ მებრძოლთა საყოველთაო ამნისტიისათვის, რევოლიუციონურ მებრძოლთა თავშესაფარის უფლებისთვის, ბურჟუაზიული კლასობრივი იუსტიციის წინააღმდეგ და თეთრი ტერორის წინააღმდეგ“.

კონგრესის დღიური

მოსკოვი, 23 ივლისი. 23 ივლისს, ნაშუადღევის დასვენების შემდეგ მოხდა დელეგაციების ცალკე სხდომები, რომლებზედაც დელეგაციებმა დაწვრილებით გაიცნეს და განიხილეს ამხ. ბუხარინის მოხსენების თეზისები. ამავე დროს მოხდა კონგრესის სხვადასხვა კომისიების სხდომები.

24 ივლისის დილით მოხდა დელეგაციების და კომისიების სხდომების გაგრძელება.

კონგრესის შემდეგი — მეშვიდე — პლენარული სხდომა მოხდება 24 ივლისს საღამოთი. დღის წესრიგში სდგას კამათი ამხ. ბუხარინის მოხსენების გამო.

23 ივლისის დილის სხდომაზე ილაპარაკა 12 კაცმა.

22 ივლისს დელეგატები ცენტრალურ აეროდრომზე იყვნენ და დაესწრნენ წითელი ფლოტისთვის თვითმფრინავების გადაცემას.

ნობილეს ექსპედიციის გარშემო

„ჩიტა-დი-მილანომ“ გადასწყვიტა მონაწილეობა მიიღოს „კრასინ“-ის ახალ ექსპედიციაში

„იტალიის“ დამხმარე კომიტეტი „კრასინის“ მდგომარეობის შესახებ

მოსკოვი, 23 ივლისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს „იტალიის“ დამხმარე კომიტეტში შემდეგი აცნობეს „კრასინის“ მდგომარეობის შესახებ:

— „კრასინი“ გაშლილ ზღვაში გავიდა და გეზი ბერგენისაკენ აიღო. კომიტეტი არკვევს, თუ სკანდინავიის რომელ ნავთსადგურში შეუძლია „კრასინს“ სწრაფად შეკეთება და ნახშირითა და სურსათით მომარაგება, რათა ხელახლა შეუდგეს ამუნდსენისა და ალესანდრის ძებნას. კომიტეტის ვარაუდით, „კრასინი“ მომარაგებასა და შეკეთებას 12 დღეზე მეტს არ მოუნდება.

ჩუხნოვსკი კინგსბეიში დარჩება, სადაც შეაკეთებს თავის თვითმფრინავს. „კრასინის“ დაბრუნებამდე საოპერაციო ფრენა არ მოხდება.

კომიტეტში მიღებულია ცნობები, რომ „ჩიტა და მილანო“ კინგსბეიში დაბრუნებას აპირებს „კრასინთან“ ერთად სამუშაოდ. მიღებულია აგრეთვე ცნობები იმის შესახებ, რომ შვეციის ავიატორებს სურთ ძებნაში მონაწილეობა მიიღონ და ბაზისად „კრასინი“ გაიხადონ.

სხვა ქვეყნების ექსპედიციების გადაწყვეტილება საბჭოთა ექსპედიციისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ თუმცა ჯერ საბოლოოდ არ არის გამორკვეული, მაგრამ იმას კი ადასტურებს, რომ ძალ-ღონე და საშუალება დაქსაქსული არ იქნება ამუნდსენისა და ალესანდრის გადარჩენის საქმეში. (ადს)

ჩუხნოვსკი მალმგრენის ჯგუფის აღმოჩენის შესახებ

ყინულის მჭრელი „კრასინი“, 23 ივლისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს სპეციალურ კორესპონდენტს მფრინავმა ჩუხნოვსკიმ შემდეგი დაწვრილებითი ცნობები მიაწოდა თავისი ფრენის შესახებ, რომლის დროსაც მან აღმოაჩინა მალმგრენის, ცაპის და მარიანოს ჯგუფი.

„ჩემი თანამგზავრები ადასტურებენ, რომ მათაც, როგორც მე, დაინახეს ორი კაცი რომელთაგან ერთი ჩვარს იქნევდა, რამდენიმე მეტრის მოშორებით გაშოტილი იყო მესამე კაცი. თუმცა მე მაღლა არ ვიყავი აფრენილი, მაგრამ ამ ჯგუფის მაშინდელი მდგომარეობის შესახებ დანამდვილებით, სხვას ვერაფერს ვიტყვი, მით უმეტეს, რომ ნისლი იდგა და თვალი კარგად ვერ მიჭრიდა. ჯგუფის აღმოჩენის შემდეგ გავემართე „კრასინ“-ისაკენ. ნისლის გამო ყინულის მჭრელი ვერ ვიპოვეთ და ვერც აეროდრომს მივაგენით. ვრედეს კონცხის მახლობლად დავეშვი ყინულიან ნაპირზე. თვითმფრინავი დაეჯახა ყინულის ბორცვს, რომელიც დაფარული იყო დაქანებული თოვლით. თვითმფრინავის შასი სწორედ ამ ბორცვმა დააზიანა. მაგრამ თვითმფრინავმა ინერციით კიდევ გაირა პატარა მანძილი ყინულზე. დაზიანებული გამოდგა მხოლოდ გვერდის მოტორები და ზოგიერთი სხვა ნაწილების ხრახნილები“. (ადს)

„იტალიის“ დამხმარე კომიტეტი უარჰყოფს

მოსკოვი, 24 ივლისი. „იტალიის“ დამხმარე კომიტეტი კატეგორიულად უარჰყოფს ნორვეგიის დეპეშათა სააგენტოს ცნობას კინგსბეიდან იმის შესახებ, რომ „კრასინი“ ეცდება დაზიანებული ხრახნილის შეკეთებას კინგსბეიში „ჩიტა დი მილანოს“ კომანდის დახმარებით.

22 ივლისს კომიტეტმა უბრძანა „კრასინს“, ბერგენისაკენ გაემგზავროს. (ადს)

სამოილოვიჩის შეხვედრა ნობილესთან

მოსკოვი, 24 ივლისი. „იტალიის“ დამხმარე კომიტეტმა სამოილოვიჩისაგან მიიღო მოხსენება ნობილესთან შეხვედრის შესახებ.

„რადგან ნობილემ დაბეჯითებით მთხოვა, მივსულიყავ მასთან (მას ფეხი მოტეხილი აქვს და კაიუტიდან ვერ გამოდის), მე წაველ ვილიერისთან ერთად „ჩიტა და მილანოზე“,— იუწყება სამოილოვიჩი. ნობილე ცუდ გუნებაზეა და ნერვები აქვს აშლილი. მან ნებართვა ითხოვა, რომ მონაწილეობა მიეღო „კრასინის“ შემდგომ მუშაობაში. მე ვაუწყე, რომ ნებართვა მაქვს წავიყვანო გემზე. „ჩიტა დი მილანოზე“ საუზმე გამართა „კრასინის“ პატივსაცემლად. სიტყვები არ ყოფილა, ნობილეს მონაწილეობა არ მიუღია. ჰიდროპლანი წყალზე უნდა დაეშვათ. ჩუხნოვსკი კინგსბეიში რჩება“. (ადს)

„მალიგინი“ არხანგელსკისაკენ მიდის

ყინულის მჭრელი „მალიგინი“, 23 ივლისი. ყინულის მჭრელმა დასტოვა ყინულიანი ადგილები და არხანგელსკისკენ მიდის.

ამუნდსენის მოსაძებნად

მოსკოვი, 24 ივლისი. მცურავმა საზღვაო სამეცნიერო ინსტიტუტმა „იტალიის“ დამხმარე კომიტეტს მიმართა წინადადებით, რომ ამუნდსენისათვის დახმარების აღმოსაჩენად გამოყენებულ იქნას ინსტიტუტის სპეციალური გემი „პერსეი“. ინსტიტუტის აზრით ამუნდსენი უნდა იყოს ფრანცს იოსების მიწაზე, შპიცბერგენის აღმოსავლეთით. ექსპედიციის მოსაწყობად საუკეთესო დროა აგვისტო. (ადს)

იტალიის მთავრობის მიმართვა „იტალია“-ს დამხმარე კომიტეტისადმი

მოსკოვი, 24 ივლისი; იტალიის მთავრობამ სთხოვა „იტალია“-ს დამხმარე კომიტეტს აწარმოოს დირიჟაბლის ძებნა. ამასთანავე მთავრობამ განკარგულება გასცა, რომ „კრასინ“-ზე გაიგზავნოს ორი აეროპლანი. და უბრძანა თავის ორგანოებს მიაწოდონ „კრასინ“-ს ნახშირი და სურსათი და შეაკეთონ იგი. „კრასინს“-ს შეაკეთებენ გოტებორგში (შვეცია). (ადს)

პროფესორ სამოილოვიჩის და ჩუხნოვსკის მიწვევა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში

მოსკოვი, 24 ივლისი. ამხ. ჩიჩერინმა რუსეთ-ამერიკის სავაჭრო პალატის თავმჯდომარის მოადგილეს სმიტს მიმართა წერილით, რომელშიაც სთხოვს მას გადასცეს პალატის თავმჯდომარე შლის, რომ „კრასინ“-ის ექსპედიციის უფროსი სამოილოვიჩი და მფრინავი ჩუხნოვსკი გულწრფელ მადლობას უძღვნიან პალატას მათთვის გაგზავნილ მისალმებისა და შეერთებულ შტატებში მიწვევისათვის. შეერთებულ შტატებს ისინი ეწვევიან მუშაობის დამთავრების შემდეგ.

მუსოლინი ნობილეს შესახებ

რომი, 23 ივლისი. სტეფანის სააგენტო იუწყება:

„მინისტრთა საბჭოს სხდომაზე მუსოლინი გამოვიდა შინაური მდგომარეობის მიმოხილვით და შეეხო ნობილეს ექსპედიციას და მის მიერ გამოწვეულ გამოძახილს.

„სანამ საბოლოო მსჯავრს გამოვიტანდეთ, — სთქვა მან, — უნდა დაველოდოთ ამ დრამის ეპილოგს, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ პროტესტი განვაცხადოთ იმ ცილისწამების კამპანიის წინააღმდეგ, რომელსაც ნიშანში იტალიელები ჰყავს ამოღებული და რომელიც თავს დაატყდა ამ უიღბლო საქმის ინიციატორებს. მხოლოდ მაშინ, როდესაც დამთავრდება შესაძლებელი ძებნა და ყველაფერი გაკეთდება მეორე ჯგუფის მოსაძებნად და ნორმალურად იქნება გამოძიებული, თუ როგორ მიმდინარეობდენ ექსპედიცია და დამხმარე ოპერაციები, თავის თავად ცხადია, რომ გამოძიება მოხდება იტალიაში და იტალიელების მიერ. ყოველი სხვა ჰიპოთეზა აბსურდული და შეურაცხმყოფელია. (ადს)

„ჩიტა დი მილანო“ ნარვიკში მიდის

ოსლო, 23 ივლისი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ნობილეს ექსპედიციის მცურავი ბაზა „ჩიტა დი მილანო“ ნარვიკში (ნორვეგია) მიდის „იტალიის“ ექსპედიციის გადარჩენილი წევრებით. იტალიელი მფრინავები კინგსბეიში რჩებიან. (ადს)

„საერთაშორისო სოლიდარობის მკაცრი გაკვეთილი

პარიზი, 23 ივლისი. მემარცხენე ბურჟუაზიული „ვოლონტე“, უკეთებს რა კომენტარიებს „კრასინი“-ს წარმატებებს სწერს:

„საბჭოთა რუსეთმა განათლებულ კაცობრიობას მისცა საერთაშორისო სოლიდარობის მკაცრი და მშვენიერი გაკვეთილი. „კრასინი“-ს გამარჯვება წარმოადგენს წითელი რუსეთის მეცნიერებისა და ორგანიზაციის ტრიუმფს, საბჭოების სოლიდარობის ჟესტმა უკვე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრზე. „კრასინის“ წყალობით. ახალ რუსეთსა და დანარჩენ ქვეყნებს შორის განახლდა ფსიქოლოგიური კონტაქტი, საფრანგეთი ვერ დაივიწყებს ამ უძვირფასეს გაკვეთილს“.

პოლონეთი „მწუხარებას გამოსთქვამს

ვარშავა, 23 ივლისი. კომენტარიებს უკეთებს რა „კრასინის“ ექსპედიციის გამარჯვებას, „გაზეტა ვარშავსკა“ სწერს:

„იმან, რაც გააკეთა რუსმა მფრინავმა ჩუხნოვსკიმ, სამწუხაროდ, უეცრად ასწია რუსეთის ავიაციის პრესტიჟი, განსაკუთრებით ინგლის-საქსონურ ქვეყნებში. ეს გარემოება არ უნდა იქნეს დაფარული“. (ადს)

მადლობა პროფ. სამოილოვიჩს

პრაღა, 23 ივლისი. კომფრაქციის წინადადებით პრაღის მუნიციპალურმა საბჭომ ერთხმად დაადგინა, გამოუცხადოს პროფ. სამოილოვიჩის და „კრასინის“ ეკიპაჟს მადლობა ჩვენი პროფესორის ბეგოუნეკის გადარჩენისთვის. ბეგოუნეკი ვილერის ჯგუფში იმყოფებოდა. (ადს)

ღამის ცნობები

არ უშვებენ სპარტაკიადაზე

ბერლინი, 24 ივლისი. შტასფურტის ქალაქის საბჭოს კომფრაქციამ მოითხოვა 300 მარკის გადადება ადგილობრივ მუშათა სპორტო კავშირის დელეგაციის გასაგზავნად მოსკოვის სპარტაკიადაზე, სოციალ-დემოკრატების ხმებით წინადადება უარყოფილ იქნა.

ბოლდუინი რომ ხიქსის ადგილზე იყოს

ლონდონი, 24 ივლისი. ბოლდუინი თემთა პალატაში შეეხო ჯოინსონ ხიქსის გამოსვლას კელოგის პროექტის შესახებ. ჯოინსონ ხიქსმა, როგორც ვიცით მკაცრი ტონით უსაყვედურებდა ჩრ.-ამერ. შეერთებულ შტატებს იმის გამო, რომ იგი „ომის აკრძალვის“ ხელშეკრულების პროექტის წარმოდგენასთან ერთად ადიდებს თავის სამხედრო ფლოტს. ბოლდუინმა განაცხადა: „მე რომ ხიქსის ადგილზე ვიყო, სხვანაირად ვილაპარაკებდი“-ო (ადს).

საბჭ. კავშირის ვაჭრობა ჩრ.-ამერ. შეერთებულ შტატებთან

ნიუ-იორკი, 24 ივლისი. ვაჭრობის სამინისტროს ცნობით, 1922 წ. ჩრ.-ამერ. შეერთებულ შტატებიდან საბჭოთა კავშირში გატანილ იქნა 640.000 დოლარის მანქანები. 1927 წ. ეს ციფრი ათჯერ გაიზარდა (ადს).

მთავრობის კრიზისი სამხრეთ-სლავიაში

ვენა, 23 ივლისი. როგორც ბელგრადიდან იუწყებიან, გენერალ ხაჯიჩის ცდა, შეედგინა ნეიტრალური საქმიანი მთავრობა, მარცხით დამთავრდა. ხაჯიჩმა განუცხადა მეფეს, რომ იგი უარს ამბობს მთავრობის შედგენაზე. ხაჯიჩის სიტყვით, მან კაბინეტის შედგენაზე უარი განაცხადა იმიტომ, რომ ხორვატიის ნეიტრალური პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებთანაც ის აწარმოებდა მოლაპარაკებას, შეურიგდენ ხორვატიის პარტიების თვალსაზრისს და მთავრობაში მონაწილეობის მიღების პირობად მათ წამოაყენეს პარლამენტის დათხოვნა და ახალი არჩევნების დანიშვნა.

მთავრობის კრიზისთან დაკავშირებით, სამხრეთ-სლავიის ელჩების უმრავლესობა ევროპის ქვეყნებიდან დაბრუნდნენ ბელგრადში მოხსენების გასაკეთებლად იმ შთაბეჭდილების შესახებ, რომელიც გამოიწვია უცხოეთში სამხრეთ - სლავიის ამბებმა. სამხრეთ-სლავიის მეფე წინანდებურად ცდილობს მთავრობის კრიზისის გადაჭრას პარლამენტარული გზით და დღეს კვლავ მიიღო სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების გამოჩენილი წარმომადგენლები. (ადს)

მოითხოვენ რუმინეთის მთავრობის გადადგომას

ვენა, 23 ივლისი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით ოპოზიციონურმა ნაციონალურ-გლეხურმა პარტიამ გამოაქვეყნა ცნობა იმ წინასწარი შეთანხმების შესახებ, რომლის თანახმადაც რუმინეთმა საზღვ. გარეთ უნდა მიიღოს სესხი რუმინეთის ვალიუტის სტაბილიზაციისთვის. ცნობაში ნათქვამია, რომ შეთანხმების პირობები არაჩვეულებრივად სამძიმოა რუმინეთისთვისო. პარტია მოითხოვს მთავრობის გადადგომას,—მთავრობის, „რომელმაც ვერ შესძლო რუმინეთის ინტერესების დაცვა ბანკირებთან მოლაპარაკების დროს. (ადს).

ამხ. მიქოიანი პურის საკითხის შესახებ

მოსკოვი, 24 ივლისი. „ცენტროსოიუზის“ რწმუნებულთა კრებაზე მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარმა ამხ. მიქოიანმა.

„პურის საკითხი,—სთქვა ამხ. მიქოიანმა,—წელს ჩვენი მუშაობის თითქმის ყველაზე უფრო ძნელი დარგია. აქ სიძნელენი წარმოიშვა ჯერ ერთი, იმიტომ, რომ პურის დამზადების პირველ პერიოდში იმედი გვქონდა პურის ბუნებრივი დენისა დანიშნულებისამებრ, ამიტომ ჩვენი მეურნეობის ამ დარგს ჯეროვანი ყურადღება ვერ მივაქციეთ და სოფელი ვერ მოვამარაგეთ სამრეწველო საქონლით; მეორე —ჩვენი პარტიული და საზოგადოებრივი ძალების საჭირო მობილიზაცია არ მოვახდინეთ მუშაობის გასაძლიერებლად ამ დარგში, მესამე: სოფლის მაღალი ფენებისათვის, მეტადრე კულაკური ნაწილისათვის შედარებით მცირე გადასახადი დავტოვეთ, თუმცა მათი შემოსავალი გაიზარდა. ამას შედეგად მოჰყვა თვალსაჩინო კრიზისი პურის დამზადებისა და პურით მომარაგების საქმეში, რის გამო შუა კამპანიაში იძულებული გავხდით სხვადასხვა საგანგებო ზომა მიგვეღო კრიზისის თავიდან ასაშორებლად. ჩვენ სოფელში გადვისროლეთ სრულიად საკმაო საქონელი და სოფლის თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი სოციალისტური დაგროვების კალაპოტში ჩავაყენეთ.

შემდგომი უარყოფითი მომენტი იყო ჩვენი აპარატის მოუმზადებლობა პურის დამზადების საქმეში.

მან (აპარატმა) დროისად ვერ შეამჩნია სიძნელენი, იგი ბიუროკრატიული და პასიური იყო. ჩვენ გადავაბალისეთ აპარატი, შევავსეთ ახალი ძალებით, საშუალება მივეცით მას ებრძოლა სიძნელეთა წინააღმდეგ. პურის დარგში.

ამ მიზეზების გარდა, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ პურის დამზადების გეგმა მთლიანად ვერ განხორციელდებოდა, რადგან გეგმით გათვალისწინებული სასოფლო-მეურნეობის ზედმეტი საქონელი არ შეეფერებოდა საქმის ფაქტიურ მდგომარეობას. ჩვენ იძულებულნი გავხდით გამოგვეყენებინა პურის შემონახული მარაგი.

რაც შეეხება ახალ მოსავალს, მოსალოდნელია რომ იგი საკმაოდ კარგი იქნება, მართალია, უკანასკნელ დროს უკრაინის ზოგიერთ ოლქში ერთგვარი გაუარესება ეტყობა მოსავალს მაგრამ ამ გაუარესებას ჰფარავს საქმის გაუმჯობესება სხვა ოლქებში. პირველ ივლისისათვის მოსავალი უფრო უკეთესია, ვიდრე 15 ივნისისათვის.

საერთოდ მოსალოდნელია, რომ წელს 400 მილიონი ფუთით მეტი აიკრიფება, ვიდრე შარშან.

მაგრამ პურის საქმეში ერთგვარი სიძნელენი მაინც იქნება, ვინაიდან პურის დამზადებას შეგვიანებით ვიწყებთ, საუკეთესო მოსავალი გვექნება იმ რაიონებში, სადაც პური გვიან იკრიფება, ყველა რაიონში აკრეფა კი რაოდენადმე იგვიანებს.

პურის დამზადების კამპანიის შემდეგ ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით რომ ზემოთ დასახელებული მიზეზების გარდა, პურის დამზადების კრიზისის ერთ-ერთ ღრმა მიზეზს შემდეგი წარმოადგენს: თუმცა მარცვლეული პურის მოთხოვნილება იზრდება, მაგრამ მარცვლეული მეურნეობის ნათესების სივრცემ დღევანდლამდე ვერ მიაღწია ომის წინადროინდელ დონეს.

ამიტომ პურის კრიზისის ყველა სხვა მიზეზის მოსპობასთან ერთად მთელი ჩვენი ყურადღება უნდა მივაქციოთ აგრეთვე მარცვლეული მეურნეობის მაქსიმალურად გაფართოებას. ეს გარემოება გვაიძულებს, რომ საბჭოთა მსხვილ საქონლის მეურნეობათა ორგანიზაციასთან ერთად დახმარება აღმოუჩინოთ ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობებს მით, რომ მოვამარაგოთ ისინი სასოფლო-სამეურნეო მანქანებით. მინერალური სასუქით და სათესი მასალით, აგრეთვე შევაკავშიროთ ისინი კოოპერაციაში, რადგან ეს არის მთელი სასოფლო-მეურნეობის გადაყვანის საშუალება უმაღლეს სოციალისტურ საფეხურზე.

პურის ფასების გადიდება წარმოადგენს დიდად მნიშვნელოვან გარემოებას, რომელიც შეიძლება საგრძნობ სტიმულად გადაიქცეს გლეხობისათვის, რომ ბაზარზე პური გამოიტანოს, გააფართოოს მარცვლეულის სათესი სივრცე და გააძლიეროს მისი მოსავალი.

ჩვენს ამოცანას ის შეადგენს, რომ თვალსაჩინოდ შევამციროთ მარცვლეულის დამზადებისა და გადამუშავებისათვის საჭირო ხარჯები, აგრეთვე ის ხარჯები, რომლებიც სჭირდება პურის გადატან-გადმოტანას და გამოცხობას და ამით დავფაროთ დასამზადებელი პურის თვალსაჩინოდ გადიდებული ფასები. ჩვენს ამოცანას ისიც შეადგენს, რომ სამრეწველო საქონლის ფასები საგრძნობლად არ გაიზარდოს; ეს საჭიროა იმისთვის, რომ როდესაც მოთხოვნილებასა და მოწოდებას შორის წონასწორობას მივაღწევთ, საკითხი დავსვათ სამრეწველო ფასების შემდგომი შემცირების შესახებ“.

თავისი მოხსენების დასასრულ ამხ. მიქოიანმა აღნიშნა, რომ ვაჭრობის სახ. კომისარიატისა და მთელი სახელმწიფოს [illegible] ამოცანაა. ხელი შეუწყონ კოოპერაციის ზრდას, მისი მუშაობისა და მისი ორგანიზაციულობის გაუმჯობესებას, მოსპონ სხვადასხვა დეფექტი და გადაჭრა რეგულიაციის საქმეში, რომელიც ხშირად წვრილმანი ჩარევის ხასიათს ღებულობს. ყოველნაირად უნდა გაუმჯობესდეს რეგულიაციის საქმე, მიეცეს მას უფრო მოქნილი ფორმები და ჩაბმულ იქნან კოოპერატიული ორგანოები და კოოპერაციაში გაერთიანებული მასები საქონლის ბრუნვის მოწესრიგებაში მონაწილეობის მისაღებად. ბაზრის სახელმწიფო მოწესრიგებას საფუძვლად უნდა ჰქონდეს მასიური ბაზა—კოოპერაციაში გაერთიანებული მრავალმილიონიანი მუშები და გლეხები, მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სექციები, ერთი სიტყვით მუშათა კლასის და გლეხობის მთელი აქტიური ძალა.

მაქსიმ გორკი თბილისში

გორკის შესახვედრათ

განჯიდან—თბილისამდე

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

უცბათ გავრცელდა ხმები ქალაქში. არავინ მოელოდა მას.—გაზეთებში კანტი-კუნტათ იყო ცნობა—15 აგვისტოს გვესტუმრებაო. ვადევნებდით თვალყურს მის მოგზაურობას და ვიცოდით, რომ იყო უკრაინაში, ყირიმში, შემდეგ როსტოვში.

პარასკევს კი მაქსიმ გორკი მოულოდნელად გაჩნდა ბაქოში, ჩამოვიდა მატარებლიდან, ელსმენის მილი აიღო ხელში და ამხანაგ რუმიანცევი გამოიძახა.

— ძველი მეგობარი გელაპარაკა, ხომ არ გცალია?

— ვინ ლაპარაკობს?!



— მაქსიმ გორკი...

ამხანაგი რუმიანცევი გორკის მართლაც ძველი მეგობარია. წარმოსადგენია, როგორ გაახარებდა მას ძვირფასი სტუმრის მისვლა, ისიც ასე მოულოდნელად.

ჩვენც მოულოდნელად დაგვეცა ცნობა მისი ბაქოში ჩამოსვლის შესახებ.

— როდის ჩამოვა თბილისში? ჩამოვა თუ არა?.. კითხულობდნენ. დანამდვილებით არავინ იცოდა. ხმები კი ისევ მრავალი დადიოდა.

გვიან საღამოს გამოირკვა ზუსტათ, რომ გორკი ორშაბათს გვესტუმრებოდა.

* *

განჯისაკენ დავიძარი. რედაქციის დავალება მქონდა იქ შევხვედროდი ძვირფას სტუმარს.

ღამით გავედი, განჯამდის 6 საათის სავალი გზაა და გამოძინებაც რიგიანათ შეიძლებოდა, მაგრამ თვალი არც დამიხუჭავს.

ბაქოში თუ ასე მოულოდნელად გაჩნდა, თბილისსაც ასევე არ ეწვიოს.

ბაქოდან მრავალი ორთქლმავალი მორბის თბილისისაკენ, ბევრი მატარებლები მოდიან. ვინ იცის?!.

იქნება მოაჯდა რომელიმეს და მე რომ განჯაში წამიყვანს მატარებელი, ის იქნებ უკვე თბილისში ჩამოვიდეს სადგურზე.

ამიტომ არის, გზაში ყველა მატარებლებს ვათვალიერებ, ფრთხილად ვკითხულობ:

— გორკი ხომ არ მოდის ამ მატარებლით?

— ხომ არ გინახავთ, გორკი?

ვიცი, თბილისში შეიძლება ჩამოვიდეს უცბათ, მატარებელზე კი ის არავის გამოეპარება. მგზავრებს, კონდუქტორებს უთუოდ ეცოდინება რომ ის მოდის.

გორკის ხომ ძალიან ფართოდ იცნობენ ჩვენში.

— არა, არ მოდის.

—ბაქოშია, ბაქოში, ჯერ არ გამოუშვებენ. მიპასუხებენ ჩემს შეკითხვებზე.

დილით ადრე განჯაში ვარ, მყისვე სადგურის უფროსის კაბინეტში შევიჭერი.

— ხომ არ გაუვლია გორკის?

—არა, არ გაუვლია

— როდის გამოივლის განჯაში?

— ვინ?—თავის მხრით მეკითხება ის.

— გორკი, მაქსიმ გორკი, როდის გამოივლის მეთქი.

— არ ვიცით!

— როგორ არ იცით, ამხანაგო, განა არ გაცნობეს?

— არ ვიცით.

მომიჭრა სიტყვა და ელსმენისაკენ გაექანა.

არ დავენდე:—მატყუილებს, ვიფიქრე, ალბათ ასე ამბობს თორემ როგორ არ ეცოდინებათ, რომ დღეს უნდა ჩამოიაროს?.. სადგურზე ფრთხილად გავიკითხე, გამოირკვა, მართლაც არავინ იცოდა. მაშ როგორ?.. იქნება მართლაც არ გამოიაროს დღეს... ქალაქში უთუოდ ეცოდინებათ, პარტკომს, აღმასკომს.

ეტლით ქალაქისაკენ მივეშურები, ქალაქი საკმაო დიდ მანძილზეა აქ დაცილებული სადგურიდან. სადგური ქალაქთან შეერთებულია ვიწრო ლიანდაგიანი გზით, მუშაობენ ავტობუსებიც. მაგრამ ლოდინის თავი სად არის. „კუკუშკები“ განწესრიგებით დადიან, ავტობუსი კი მხოლოდ მაშინ დაიძვრის ადგილიდან, როცა მუცელს მთლიანად გამოიტენის მგზავრებით, სადა მცალია დაყოვნება?

პარტკომში არაფერი იციან. აღმასკომი კი შორს არის კიდევ.

ისევ სადგურში უნდა მოვუსვა.

დავჯდები და ველოდები, გავლით არ გაუვლია. გამოვლით უნდა უსათოუდ გამოიაროს. მატარებელი განჯას ვერ ასცილდება და ისე როგორ გამომეპარება რომ ვერ დავინახო?!

აეროპლანით თუ გაფრინდა?...

* *

საათი საათს მისდევს კუს ნაბიჯით. ხალხი ირევა სადგურში და საშინელი სიცხით ისედაც შეხუთულ ჰაერს კიდევ უფრო ხუთავს, კიდევ მეტად ამძიმებს.

მატარებლები კი, თითქოს განზრახ, თითქოს ჯიბრზე ოთხი, ხუთი საათით იგვიანებენ.

აღარაფერს ვკითხულობ უკვე. სჩანს, რომ აქ არაფერი იციან და არც მე ვახმაურებ ამბავს.

ან კი რა უნდა გავახმაურო?

თვით მე კი ვიცი დანამდვილებით რამე?

ზანტათ, თითქოს დიდი სიცხე მასზეც გავლენას ახდენსო, ზოზინით უახლოვდებოდა საათის ისარი თერთმეტს, თორმეტს, პირველს.

მატარებლამდის რაღაც ნახევარი საათი დარჩა.

ჩვეულებრივ ირევა ხალხი სადგურში იმ განსხვავებით, რომ ეხლა ის უფრო მომრავლდა და გარდა ამისა, სალაროსთანაც დაიწყო აყალ- მაყალი:

წესრიგის დამცველი, სჩანს, არავინ არის. თავისთავად კი ვერ ახერხებენ რიგის დამყარებას. ერთი-მეორეს აჯდებიან ამ სიცხეში თითონაც ბანდდებიან და მოლარესაც უშლიან ხელს. აირიდე წუთი და დარჩა მატარებლამდე, სადღაც ქარხნის საყვირი აყვირდა. ბაქანი გაცოცხლდა. ფუსფუსი გაძლიერდა.

ყურს ფლეიტის წრიპინი მოხვდა.

გავიხედე და... ორკესტრი გაჩენილიყო სადგურზე.

გაუგიათ მაინც მუშებს, რომ გორკი მოდის. დეპოდან დაუბანელ-დაურეცხელი, ინსტრუმენტებისათვის ეტაცათ ხელი და სულ უკანასკნელ წუთში გაჩნდა სადგურზე ზეიმის აუცილებელი ატრიბუტი—მუსიკა.

საიდგანღაც ხალხიც მოაწყდა. და მატარებელმა რომ მოაკივლა, სადგურის ბაქანზე ტევა აღარ იყო.

და აქ კურიოზი მოხდა, რომელიც მთელი გზის განმავლობაში მეორდებოდა თითქმის.

ხალხი გორკის წინა ვაგონებში დაეძებდა ის კი, თითქოს განზრახ, მატარებლის კუდში მოქცეულიყო და ბაქანიდან საკმაოდ დიდ მანძილზე იყო ხოლმე დაცილებული.

მაინც პოულობენ. კონდუქტორები უთითებდენ ხოლმე უკანა ვაგონს, მათ ხომ იცოდენ უკვე, ვის შესახვედრათ იყო მოსული ამოდენა ხალხი.

ხალხმა ჩქარა იპოვა გორკის ვაგონი. კისრის ტეხით გაემართა მატარებლის კუდისაკენ.

იქედან კი, ვიღაც მაღალი, პირგაპარსული ძირს ჩამოშვებულ თხელ ულვაშიანი კაცი მირბოდა სადგურისაკენ და გრძელი ხელებით არღვევდა მის გზაზე გადაღობილ ხალხს.

ცოტა ხანს შესდგა ხალხი.

— ნუ თუ ეს არის?

— არც გავს, კიდეც გავს?

ალბათ გაიგო გრძელ ხელებიანმა რაშიაც იყო საქმე, გაიცინა:

— Я не Горький, товарищи. Горький там. Я только похож немного на него.

დაიძახა და მოუსვა სადგურისაკენ. ხელში ჟესტის ჩაინიკი ეჭირა:

— არის თუ არა? არის თუ არა?

— ჩაინიკი რომ უჭირავს ხელში? განა გორკის დაანებებდენ რომ თვით ეთრია ჩაისთვის ცხელი წყალი? ვინ იცის იქნებ ძველებურად? განა გასაკვირია, რომ ასე მოიქცეს? წუთს გრძელდებოდა ეს ამბავი, ბოლოს ვაგონის ფანჯარაში გორკის ტიპიური ფიგურა ამოიკვეთა და ხალხიც ურას ძახილით დაიძრა მისკენ.

მაღალი კაცი გორკის რომ გავდა, გრძელი ხელებით რომ მიარღვევდა ხალხს, მართლაც მხოლოდ გავდა გორკის. გორკი კი თვითონ ვაგონში აღმოჩნდა. უცბათ მიაწყდა მის ვაგონს უამრავი ხალხი.

გავკვირდი, აკი არ იციანო? საიდან გაჩნდა მაშ ამოდენა ხალხი ასე უცბათ?

ვაშა, ტაში და მუსიკა აირია ერთმანეთში.

საზეიმოთ იყო განწყობილი მასა, სიტყვების, პასუხების, მუსიკისა და ტაშის მოსასმენათ.

ის ელოდა ზეიმს ჩვეულებრივს ისეთს, როგორიც მუდამ და ყოველთვის ხდება ხოლმე ჩვენში. ისეთს,—როგორიც ახლაც დაიწყო კიდეც... მაგრამ სულ სხვა კი გამოვიდა.

საზეიმო ოფიციალური განწყობილება სადღაც შერცხვენილი გაქვრა, იმ წუთშივე, როცა მაღალმა კაცმა ფანჯრებიდან გრძელი ხელები გამოიშვირა და ყველას სალამი მისცა.

— მოვედით უნდა შეგხვდეთ, თითქოს დარცხვენით უთხრა ერთერთმა მუშამ-მოსულთაგანმა.

— რა საჭიროა ყველაფერი ეს? მუდამ შეხვედრა, ყველგან შეხვედრა. როგორ ცხოვრობთ, ამხანაგებო, მეგობრულად გადმოსძახა ფანჯრიდან.

—ჩვენს კაცს ვხვდებით მტერს ხომ არა—უპასუხეს: უთუოდ უნდა შეგვხდეთ უთუოდ, მიაძახეს.

— კარგი, მაშ, რახან ეგრეა, ჩაიქნია გორკიმ გრძელი ხელები.

— Ладно.

და დაიწყო. დაიწყო მაგრამ ვიმეორებ გაქრა სადღაც ოფიციალურ შეხვედრებზე და მიტინგებზე მიღებული კილო. მიიმალა სადღაც ჩვეულებრივი ზეიმის ელფერი და „რეჩები“ მეგობრულ საუბარის სიტყვებათ გადაიქცენ

— ძალიან სასიამოვნოა თქვენი ჩამოსვლა, კულტურულ რევოლიუციაში დაგვეხმარებით ძალიან დაგვჭირდება აქ თქვენი დახმარება —მიმართეს მუშებმა გორკის.

ისიც ფანჯარაზე გადამომდგარი უსმენდა და იღიმებოდა და, როცა მორჩა სიტყვები, კვლავ გამოიშვირა გრძელი ხელები.

— ყველგან მხვდებიან ხოლმე ტკბილად, მეგობრულად, ყველგან მესალმებიან და ყოველთვის მაღელვებს მე ეს გარემოება. მაღელვებს თქვენი მისალმება არა იმიტომ, რომ ეს მე მეხება, მაღელვებს ის იმიტომ, რომ მე ვხედავ ბევრს ახალს თქვენს ცხოვრებაში, ბევრს ისეთს, რაზედაც წინათ ოცნებაც არ შეიძლებოდა. მე ვხედავ, რომ თქვენ ისწავლეთ საკუთარ შრომის დაფასება. თქვენ დიდი საქმის მკეთებელნი ხართ და ერთმანეთსაც ისევე უნდა მოეპყრათ. ისევე უნდა მიესალმოთ, როგორც მე მესალმებით,

თქვენს ხელშია პოლიტიკური საჭე. თქვენს ხელშია ახალ ცხოვრების აღმშენებლობის საქმე. თქვენ გმართებთ ფრთხილად და თავაზიანად მოეპყრათ ერთმანეთს. აქ ერთ-ერთმა ამხანაგმა თვითკრიტიკა ახსენა. თვითკრიტიკა კარგია, მაგრამ ის ისეთ ფორმებში უნდა აწარმოოთ, რომ ერთი მეორეს ასწავლოთ, შეცდომები გაუსწოროთ ამხანაგურად, მეგობრულად. ვიმეორებ, უდიდეს საქმეს აკეთებთ თქვენ, ახალს, უჩვეულო საქმეს. შეცდომები უთუოდ გექნებათ, რადგან თქვენ—თქვენს კლასს არასოდეს უკეთებია ასეთი საქმე. აბა აიღეთ სცადეთ დაუკრათ პიანინოზე თუ არ იცით დაკვრა? ცხადია შეცდომები გექნებათ. ბევრიც გექნებათ. ქვეყნის აღმშენებლობა ხომ პიანინოზე დაკვრა არ არის. ეს უნდა გაითვალისწინოთ და მეტი პატივისცემით მოექცეთ ერთიმეორეს. ადამიანმა ჩვენში გაიხსნა გზა უდიდეს საქმის საკეთებლად. ამ ადამიანს მეტი პატივისცემით უნდა მოეპყრათ. ის ამის ღირსია.

სადგურში ორი ზარი დაკრეს. მთავარმა კონდუქტორმა „დაუსტვინა“ და მატარებელი ისე დაიძრა, რომ მაქსიმის ჯერ კიდევ არ ჰქონდა ამოლაგებული საუბრისათვის მომზადებულ სიტყვების მარაგი.

* *

მორიდებით დავაკაკუნე ვაგონის კარებზე.

— ვინ ენებავთ?

— ალექსი მაქსიმიჩის ნახვა მინდა.

— თქვენ ვინა ხართ?

— „კომუნისტი“-ს თანამშრომელი გახლავართ.

— მობრძანდით?

მაღალი, ახოვანი, ცოტა ხმელი კაცი შემომეგება ღიმილით, ხელი გამომიწოდა.

დავჯექით.

— Ну?!

— რამოდენიმე კითხვა,

— ინტერვიუ ხომ არა?

— დიახ! ორი-სამი კითხვა მინდა მოგცეთ.

— მოდი თავი გავანებოთ ამხანაგო, ამ ცერემონიებს. მე ესენი როდი მეხერხება. ვილაპარაკოთ ისე, როგორც კოლლეგებმა, თანამოკალმეებმა. განა ისე არ შეიძლება საუბარი? რაც ჩამოვედი სულ მისალმებები, შეხვედრები. ძლიერ უხერხულად ვგრძნობ თავს. არ არის ყველაფერი ეს საჭირო, მით უმეტეს ჩემთვის. არ ვარ მიჩვეული ასეთ რამეებს. ჩამოვედი იმ მიზნით, რომ გავსცნობოდი აღმშენებლობას. ხელს მიშლის ამ მხრივ ცოტა არ იყოს ეს ზეიმები.

— ბაქოში რატომ ჩადით ისე უეცრად?

— როგორ უეცრად. უეცარი არაფერი ყოფილა. მატარებელს ჩავყევი, ისევ როგორც ბევრი სხვა მოქალაქე.

— არა, რათ არ გააფრთხილეთ ბაქოს მუშები?

რა საჭირო იყო გაფრთხილება?

— თბილისში დიდხანს დარჩებით?—შევაპარე ნელ-ნელა კითხვები.

— ასე ორიოდე დღეს, იქ საქმეები გვაქვს მოსაგვარებელი. ერთი საქმე წამოვიწყე მოსკოვში. «Наши достижения» — ალბათ გაიგონებდით. ამ საქმის გარშემო მინდა მოველაპარაკო ადგილობრივ ამხანაგებს.

— ჯანმრთელათ გრძნობთ თუ არა თავს?

— ჩრდილოეთში უფრო ცუდათ ვიყავი. სამხრეთის ჰავა, ეტყობ მიხდება. უკეთ ვარ ეხლა ფიზიკურად.

— ჩვენ კურორტებზე არ აპირებთ?

— სამწუხაროდ აღარ მრჩება დრო. ხვალვე უნდა წავიდე.

— რაზე მუშაობთ ეხლა? ხომ არა გაქვთ განზრახვა მოგზაურობის მასალა გამოიყენოთ ნაწარმოებში კერძოთ ბაქოს, თბილისის, საქართველოს შესახებ ხომ არ ფიქრობთ დასწეროთ რამე?

— გატყობთ ინტერვიუთ გინდათ გადააქციოთ ჩვენი შინაურული საუბარი—ეშმაკურათ გაიღიმა მაქსიმიჩმა.

თან მქონდა მწერალთა მაღაზიის მიერ გამოცემული წიგნი: «Горький в Тифлисе» და კითხვა დაიწყო.

მატარებელი ტაუზს უახლოვდა. ორთქლმავალმა ქშენას მოუკლო, მუხრუჭები დაჭიმა და დადგა.

ხალხი აქაც დახვდა გორკის. ყვავილებით, სიტყვებით, მაგრამ როგორც განჯაში აქაც მოელოდა, რომ გორკის ვაგონი ბაქანთან გაჩერდებოდა.

როცა გაიგეს სადაც იყო, გამოექანენ, მოირბინეს. ვიღაცამ ვარდები მიართვა, ვიღაცამ მისალმება წაიკითხა, ტაში, დაუკრეს, „ურა“ შეუძახეს.

გორკი კი გორკისებურათ მოიქცა.

ერთი ხელის მოსმით მოსპო ოფიციალური ეტიკეტი შეხვედრას.

— თქვენ ორი ორდენი გაქვთ? შეეკითხა ის ხალხში მდგომ ერთ-ერთ ამხანაგს.

— დიახ ორი.

— მერე აქ რას აკეთებთ?

— რაიონის მეტყევე ვარ.

— საკვირველია, საკვირველი ამბავია. ორი ორდენი, ფრონტი და შემდეგ მეტყევე. არ გეუცხოვათ?

— არა უშავს, შევეჩვიე. ეხლა უკვე კარგათ ვერკვევი საქმეში.

— განა მარტო თქვენ ხართ ეგრე? განაგრძო გორკიმ. ჩვენი ქვეყანა სავსეა ასეთი მაგალითებით. აი მე დავდივარ ეხლა და ყველგან ვხედავ: მუშები, გლეხები ზიან გუბერნატორების —გენერლების ადგილას. გუბერნიებს მართავენ, გუბერნატორების საქმეებს მოხერხებულად აკეთებენ უბრალო მუშები. კიდევ მეტი: გუბერნატორები წინეთ მხოლოდ ადმინისტრატიულ ფუნქციებს ასრულებდენ, ეხლა კი გუბერნიის აღმასკომი მთელი მხარის ეკონომიურ-პოლიტიკური მეთაურია.

იზრდება შეგნება, მუშების შეგნება, რომ ძალა-უფლება მათია.

გუშინწინ ბაქოში ასეთი მაგალითი ვნახე: სარეწაოებს ვათვალიერებდი. უცბათ ბენზინს ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი სწრაფად მოედო ირგვლივ ყველაფერს. ახლო-მახლო ნაგებობებსაც ემუქრებოდა,—წინად მუშები გაიქცეოდნენ, დაიფანტებოდნენ, საშიშროებას დაემალებოდნენ—აქ კი, ცეცხლში გადავარდნენ. ენერგიულად ამუშავდენ და სანამ ცეცხლის ჩამქრობელი რაზმი მოვიდოდა, 12 წუთში ჩააქრეს ხანძარი.

აბა, ასეთი მაგალითის მოწმე ვყავი.

რატომ გადავარდება კაცი ცეცხლში, თუ კი გული არ ეწვის რამესთვის?

მთავარი კონდუქტორი პირდაპირ „შემოჩენილია“. ერთხელაც არ აცალა ხალხს ლაპარაკი მაქსიმიჩთან. ეხლაც, საუბარი რომ გაიშალა, „დაუსტვინა“ და ორთქლმავალი ააქშინა.

მომზადებული სიტყვები საზეიმო, ბევრს შერჩა პირზე. ვიღაცამ მაინც მიაძახა: იყავით კარგათ. სალამი, სალამი თქვენ.

—მიაყოლა მეორემ უკან.

— И от имени ячейки „Осоавиохим“-а тоже.

მიაყოლა მეორემ უკან.

თითქმის ყველა სადგურზე ხვდებოდა ხალხი მატარებელს. აგერ აქსტაფაშიაც იგივე სურათია.

— Жарко? ეკითხება მაქსიმიჩი ხალხს მისალმების საპასუხოთ.

— ცხელა, როგორ არა. ჩვენ ორს, მაინც ძალიან სიცხეს გვაყენებენ აქ. უპასუხა ერთერთმა ხალხიდან.

— როგორ...

— მუშკორები ვართ.

— მერე?

— მერე და არ მოსწონთ ჩვენი წერილები, სწერთ რაც არ ვარგა იმაზე. უვარგის საქმეს არ ასწორებენ, ჩვენი მოშორებისათვის ზრუნავენ უფრო.

— რაში გამოიხატება დევნა?

— ზრდილობიანათ გვეპყრობიან. მოიმიზეზეს, განჯაში მუშკორთა წრეები დაიშალა და ერთი მუშკორი იქ უნდა წავიდესო. მეორე კიდევ კარგი მემანქანეა და ევლახში უნდა იმუშაოსო, თითის ოდენა კოღოების კბენათო.

— რა გვარები ხართ? კითხულობს გორკი.

— არა, ჩვენ როდი ვჩივით თქვენთან. ისე. სიტყვამ მოიტანა თორემ...

— არა, არა ამხანაგებო, მე უნდა ვიცოდე ასეთი შემთხვევები. მითხარით რა გვარები ხართ?

— გერასიმოვი და ზუდერსკი.

— ჩაიწერეთ. მიმართა მაქსიმიჩმა თავის მდივანს. მე გავიგებ, რაშია საქმე. უთუოდ გავიგებ...

ისევ „ობერი“, ისევ სტვენა და მატარებელი კივილით მიდის, ისე რომ საუბარი არც კი დაწყებულა.

საშინლად ცხელა. მატარებელი დაგვიანებულია ოთხი საათით. მემანქანე დიდ სისწრაფით მიაქანებს ორთქლმავალს. სწრაფი მოძრაობა კი მტვერის კორიანტელს აყენებს და ბოლო ვაგონში მაინც, გაძლება შეუძლებელი ხდება.

გვიან საღამო იყო. ნავთლუღს რომ მივაღწიეთ, გორკიმ უკვე იცოდა, რომ აქ უნდა შეხვედროდენ მას.

— თქვენ არ გიყვართ შეხვედრები, მაგრამ იმ აზრის წინასწარ უნდა შეურიგდეთ. რომ ნავთლუღში მწერალთა კავშირის დელეგაცია შეგხვდება—გავაფრთხილე მე.

— ძალიან სასიამოვნოა. ქართველ მწერლებთან მე საქმე მაქვს, სულ ერთია, მაინც უნდა მომენახა ისინი.

შორიდან გაისმა მუსიკის ხმა. გაჩერდა თუ არა მატარებელი ხალხი მიაწყდა ვაგონს.

მწერალთა და წითელ არმიელთა დელეგატები გორკისთან შევიდნენ.

ხალხმა მაქსიმიჩი ფანჯარასთან მოითხოვა მიესალმნენ, ვაშა შეუძახეს. ვიღაცამ თაიგული მიართვა. სიტყვა უთხრა.

— მადლობელი ვარ შეხვედრისათვის, უპასუხა მაქსიმიჩმა. ძალიან დაღლილი ვარ სიცხით, შეწუხებული მტვერით. ლაპარაკის თავი აღარა მაქვს. მიიღეთ ჩემი გულითადი სალამი და... «Пустите меня ради бога, в баню“...

* *

თბილისში გორკის მიეგებენ ამხ. შალვა ელიავა, მამია ორახელაშვილი, სილოვან თოდრია, დავით კანდელაკი და სხვები. საღამოს ხელოვანთა სასახლეში გაიმართა ბანკეტი.

ვ. ბერაძე.

ბანკეტი გორკის საპატივცემლოდ

23 ივლისს საღამოს, ხელოვნების სასახლეში გორკის საპატივცემლოდ გაიმართა ბანკეტი, რომელსაც დაესწრენ ამხ. მამია ორახელაშვილი, შ. ელიავა, გუსეინოვი, მარია ორახელაშვილი, დ. კანდელაკი, ს. თოდრია, რუბენი და საბჭოთა მწერლების ფედერაციის საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და სხვ.

გორკის საბჭოთა მწერლების ფედერაციის სახელით მიესალმა მიხ. ჯავახიშვილი. თავის მისასალმებელ სიტყვაში მან აღნიშნა გორკის დიდი ღვაწლი, როგორც მწერლობის, ისე საზოგადოებრივ მოღვაწეობის ასპარეზზე და უსურვა მას ხანგრძლივი სიცოცხლე ახალ ქვეყნის — საბჭოთა კავშირის მშრომელთა საკეთილდღეოდ.

ამხ. გორკიმ თავის საპასუხო სიტყვაში, მადლობა უძღვნა რა ქართველ მწერლებს და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს ასეთი თბილი მიღებისათვის. მხურვალე შეხვედრისათვის აღნიშნა, რომ ის თავის ლიტერატურულ შემოქმედებაში ყოველთვის ეძებდა ადამიანს და რომ მისი მასწავლებელი იყო მხოლოდ ცხოვრება.

ეს ცხოვრება ეხლა სულ სხვანაირია, ვიდრე იყო წინათ. ამ ახალ ცხოვრებას ქმნის საბჭოთა კავშირი და ზრდის ახალ ადამიანებს. როგორც მე, ისე თქვენ — ქართველ მწერლებს ვალათ გვაწევს ხელი შევუწყოთ ახალ ცხოვრების განმტკიცებას და ახალი ადამიანის სავსებით ჩამოყალიბებას.

შემდეგ მ. გორკის მეგობრული საუბარი ჰქონდა ხელისუფლების წარმომადგენლებთან და მწერლებთან.

გორკი ზაჰესში

გუშინ, დილით მ. გორკი ამხ. მამია ორახელაშვილის და ვ. სტურუას თანხლებით გაემგზავრა ზაჰესში. იქ მან დაათვალიერა სადგურის ყველა მთავარი ნაგებობანი და ესაუბრა მუშებს.

გორკის აინტერესებდა როდის დაიწყო ზაჰესის აგება, რამდენი დაჯდა მისი მოწყობა და სხვ. შემდეგ მან დაათვალიერა მცხეთის მონასტერი.

მუზეუმში

ზაჰესიდან ჩამოსვლისთანავე მ. გორკი გაემგზავრა სახ. მუზეუმში და დაათვალიერა მუზეუმის მხარეთ-მცოდნეობის საფუძველზე მოწყობილი ზოოლოგიური განყოფილება. გორკი ძლიერ კმაყოფილი დარჩა დათვალიერებით და აღნიშნა, რომ თუ ყველა განყოფილებები ასე მოეწყო, საქართველოს მუზეუმი ერთ-ერთ საუკეთესო მუზეუმი იქნება მთელ საბჭოთა კავშირში.

გორკი კოჯორში

მუზეუმის დათვალიერების შემდეგ მ. გორკი გაემგზავრა კოჯორში. კოჯორში მას თან ახლდენ მისი შვილი ინჟინერი მაქსიმე ალექსის ძე პეშკოვი და შვილობილი სტუდენტი, რომელიც გაზრდილია გორკის სახელობის უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში. გორკისთან ერთად აგრეთვე კოჯორში გაემგზავრენ ამხ. მამია ორახელაშვილი, ს. თოდრია, ვ. ბერიძე და ბ. ბუაჩიძე.

გორკიმ კოჯორში დაათვალიერა ბავშვთა ახალშენები და პირადათ გაეცნო პიონერთა ორგანიზაციებს.

კოჯორის პიონერთა ორგანიზაციამ ახალშენების ყველა ბავშებთან ერთად გორკის გაუმართა საზეიმო შეხვედრა. ბავშვებმა გორკის წაუკითხეს ლექსები და აჩუქეს პიონერთა ხელთნაწერი ჟურნალის უკანასკნელი ნომერი შემდეგი სიტყვებით, „ლენინი ჩვენ გვიყვარს, ლენინი შენც გიყვარს“.

შემდეგ ბავშვებმა გამართეს ცეკვა-თამაში და სიმღერა. როცა ბავშთა გუნდმა დაიწყო „მრავალ ჟამიერ“ გორკის ცრემლები მოერია და წამოიძახა: „ახ, როგორც გავს ეს სიმღერა 35 წლის წინად თბილისში მოსმენილ სიმღერას“. საღამოს ბავშვებმა გორკი ავტომობილამდე მიაცილეს „ვაშას“ და „გაუმარჯოს ძია გორკის“ ძახილით.

საბჭოთა მწერლების ფედერაციის საბჭოს საზეიმო სხდომაზე

გუშინ, საღამოს 8 საათზე ხელოვნების სასახლეში გორკის საპატივსაცემლოდ შესდგა საბჭოთა მწერლების ფედერაციის საზეიმო სხდომა, ხალხით გაჭედილი დარბაზი გორკის გამოჩენას მხურვალე ტაშით შეხვდა.

სხდომა გახსნა ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ს. თოდრიამ.

დღევანდელ ჩვენს სხდომას—განაცხადა ამხ. თოდრიამ — აქვს არა საიუბილეო, არამედ გორკისთან მეგობრული შეხვედრის ხასიათი. ჩვენ გვინდა ამ შეხვედრის დროს ვესაუბროთ მას მწერლობისათვის მტკივნეულ საკითხებზე და მისი დარიგებებით ვიხელმძღვანელოთ, ამიტომ აქ გამოსულმა ორატორებმა საჭიროა თავიანთ სიტყვებს მისცენ შეკითხვების ხასიათი, რაც გაუადვილებს ჩვენ საყვარელ სტუმარს პასუხის გაცემას.

გორკის პირველი სიტყვით მიმართა მიხ. ჯავახიშვილმა, რომელმაც აღნიშნა გორკის მწერლობის მხატვრული ღირსება და ის დიადი ბუნება, რომელიც მთელი ათეული წლების განმავლობაში ზრდიდა მაშინდელ რუსეთის იმპერიის მშრომელებს და აღვივებდა ბრძოლის ცეცხლს მათ გულში.

ორატორი სთხოვს გორკის, განმარტოს კულტურული რევოლიუციის საკითხები და გამოსთქვას თავისი აზრი მის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

შემდეგ სიტყვას ამბობს ტიციან ტაბიძე. ის ვრცლად ეხება გორკის დამსახურებას რუსულ მწერლობაში და შემდეგ ამბობს, რომ საჭიროა გორკიმ თავის ავტორიტეტი გაუწიოს დახმარება ქართულ მწერლობას, რომ მისი გაცნობის საშუალება მიეცეს საბჭოთა კავშირის ფართო მასას და უცხოეთს.

ტიციან ტაბიძის შემდეგ საპასუხო სიტყვით გამოვიდა მ. გორკი.

ოქტომბრის რევოლიუციამ დიდი გარდატეხა მოახდინა მეფის დროინდელ რუსეთის ხალხთა შორის, მათ ყოფაში სრულებით ნიადაგი გამოაცალა ძველ ტრადიციებს და ქვეყანა დააყენა ახალ ცხოვრების გზაზე. ყოველ მუშაკის მოვალეობაა ხელი შეუწყოს ხალხთა ამ გარდაქმნის პროცესს. უწინარეს ყოვლისა კი საჭიროა საკუთარ თავის გადახალისება, ამ დიდ მოძრაობაში გათქვეფა და კოლექტიური სულის შეთვისება. ამ გზით, ასეთი გეგმით ჩვენ უნდა კულტურულათ დავეხმაროთ მასას, რაც ხელს შეუწყობს კულტურული რევოლიუციის მოხდენას.

აგრეთვე საჭიროა საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის კულტურული კავშირის გაძლიერება. ამ მიზნით რა თქმა უნდა უწინარეს ყოვლისა საჭიროა ერთი-მეორის შემოქმედების გაცნობა. ეს შეიძლება მოხდეს ერთი ეროვნების შემოქმედების მეორე ეროვნებების, თუ გინდ რუსულ ენაზე გადათარგმნით და პირიქით.

გორკის საჭიროთ მიაჩნია როგორც ქართულ, ისე სხვა მცირე ეროვნებათა თეატრების გასტროლები მოეწყოს მოსკოვსა, ლენინგრადსა და სხვ.

შემდეგ ის აღნიშნავს საბჭოთა კავშირის მეცნიერების მიღწევებს და გავლენას უცხოეთის მეცნიერებაზე.

დასასრულ გორკი შეჩერდა იმ ჟურნალზე, რომლის გამოცემაც მისი რედაქტორობით განზრახულია მოსკოვში სახელწოდებით: „ჩვენი მიღწევები“. გორკიმ დამსწრეთ გააცნო ამ ჟურნალის ამოცანები და განმარტა მისი მნიშვნელობა.

შემდეგ ილაპარაკეს შემდეგმა ორატორებმა: ამხ. სუტირინმა, მიწიშვილმა, ქურხულმა, მატინოვმა, ნ. ზომლეთელმა, დანილოვმა, ბ. ბუაჩიძემ და სხვ.

საბოლოო სიტყვით გორკიმ პასუხი გასცა ყველა ორატორებს და ვრცლად შეჩერდა მხატვრულ ლიტერატურის ამოცანებზე.

სხდომა დაიხურა ღამის 11 საათზე.

—:—

გორკის გამგზავრება ერევანში

გუშინ, ღამის 12 ს. გორკი გაემგზავრა ერევანში, სადაც დარჩება რამდენიმე დღეს, ერევნიდან ის ისევ დაბრუნდება თბილისში.

მაქსიმ გორკი ზაჰესში

საუბარი მაქსიმ გორკისთან

23 ივლისს ჩვენი გაზეთის თანამშრომელი ესაუბრა მაქსიმ გორკის, რომელმაც საბჭოთა კავშირში მიღებულ შთაბეჭდილებების შესახებ განუცხადა შემდეგი:

მე ჩემს მეორე სამშობლო ქალაქში—თბილისში უკანასკნელად ვიყავი 25 წლის წინათ —1903 წლის ივლისში. მაშინ ჩემთან ერთად იყვნენ ა. ჩეხოვი და მხატვარი ვასნეცოვი.

ამ ხნის განმავლობაში აქაურობა ძლიერ გამოცვლილა, გადასხვაფერებულა. როგორც საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხეს, ისე თბილისსაც სრულებით ახალი, ჯანსაღი იერი აქვს.

საერთოთ მთელ საბჭოთა კავშირში ხალხსაც ეტყობა დიდი ცვლილება. ყველგან ჭარბათ მოსჩანან ახალი ადამიანები ახალ ქვეყნის შესაქმნელად მოწოდებულნი.

რა თქმა უნდა, დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიაც ბევრია ახალგაზრდა ძალები. მაგრამ როგორ განირჩევიან ისინი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა მშენებლებისაგან. რამდენი ენერგია და სიმამაცე ეტყობა საბჭოთა კავშირში არა მარტო ახალგაზრდებს, არამედ მოხუცებსაც.

ეს კი დიდი მიღწევაა, დიდი საწინდარია იმ მიზნების განსახორციელებლად, რისთვისაც ასე თავგამეტებით იბრძვის მთელი საბჭოთა კავშირი.

ზოგიერთი ტიპი სრულებით გამქრალა, ან ისე გადასხვაგვარებულა, რომ მათში აღარ სჩანს ძველი, ფუქსავატი „მოსკვიჩი“-ს ნასახიც. მე განსაკუთრებით ვეცნობოდი წითელ არმიელებს და ფიზკულტურისნებს და შევგრძნობდი თუ რა საიმედო ძალას წარმოადგენენ ისინი საბჭოთა კავშირის სიმტკიცისათვის.

მე პირდაპირ მაოცებს ასეთი ცვლილება. როგორ არ უნდა გაკვირდეს კაცს, როცა საბჭოთა კავშირმა, იმ ქვეყანამ, რომელმაც განიცადა სამოქალაქო ომების მთელი საშინელებანი და გადაიტანა მრავალი უთანასწორო ბრძოლები გარეშე მტრებთან, რაღაც 10 წლის განმავლობაში შესძლო შეექმნა არა მარტო სახალხო დოვლათი, არამედ ახალი ადამიანებიც.

რამდენი ენერგია, რამდენი გატაცებაა საჭირო იმისათვის, რომ აოხრებული ქვეყანა ასეთ აღმშენებლობის გზაზე დააყენო და საუკუნოებით დამონებული, ეკონომიურათ დაბეჩავებული ხალხი გააცოცხლო, ხელმეორეთ დაბადო.

შემდეგ გორკიმ მოიგონა თავისი პირველი ყოფნა თბილისში და აქ გატარებული დრო. გორკიმ განსაკუთრებით სიამოვნებით მოიგონა თავისი მასწავლებელი კალიუჟნი და მაშინდელი თბილისის კომუნის „წითელი მთის“ მონაწილენი.

საბჭოთა კავშირში—განაცხადა გორკიმ—დავრჩები შემოდგომამდე, შემდეგ გავემგზავრები სორენტოში. სორენტოში გამგზავრებამდე მე კიდევ ერთხელ ვინახულებ თბილისს და საქართველოს სხვა კუთხეებს. მომავალ წლის გაზაფხულზე ვფიქრობ დავბრუნდე საბჭოთა კავშირში მუდმივ საცხოვრებლად.

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა აგვისტოსათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

მუშათა ცხოვრება

უთავბოლო მუშაობის შედეგები
(წერილი ქუთაისიდან)

რკ. გზის მოძრაობის დარგის 1-ლ განყოფილებაში 20 პროც. ხარჯების შემცირების გამოსარკვევად, ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოყო სპეციალური კომისია, რომელმაც აღმოაჩინა მრავალი ნაკლოვანებანი: სად. სამტრედიიდან ბაქანის მოლარე, დომნა კუპუნიძე გასულ წელს დათხოვნილი იქნა შტატის შემცირებით. მაგრამ 28 წლის 26 იანვარს, ისევ აღადგინეს იგი სამსახურში და გადმოიყვანეს ქუთაისში იმავე თანამდებობაზე, რისთვისაც მიეცა გადმოსაყვანი ჯილდო 108 მან. 69 კაპ. და გაცდენილი დღეების ხელფასი. სადგურის უფროსი ამაშუკელი, ჩამოყენებული იქნა სადგურის უფროსის თანაშემწეთ—16 თანრიგიდან 13 თანრიგზე სრულიად უდანაშაულოდ და მისცეს გადასასვლელი ჯილდო 185 მან. 26 კაპ. სასამართლომ როგორც უკანონოთ ჩამოყენებული ამაშუკელი, აღადგინა თავის უფლებებში, მის მაგიერ კი გადაყვანილი იქნა სხვა თანამშრომელი, რომელსაც მიეცა გადასასვლელი ჯილდო 113 მან. შეიძლებოდა კი უკანასკნელი თანამშრომლის გადაყვანა დროზე და ზედმეტი ხარჯების თავიდან აცილება. სამმართველოდან გადმოყვანილი იქნა 9 რევიზორი, რომლებმაც მიიღეს გადმოსაყვანი ჯილდო 2108 მანეთი. მათ გადმოყვანას პირველ განყოფილებაში კი, წარმოება არ მოითხოვდა.

გარდა ამისა პირველ განყოფილების უფროსმა, 20 პროც. შემცირებით საერთო ნაწილიდან გადაიყვანა პირველი განყოფილების საგზაო სამქრო განმკარგულებელი (დცს.) ტექნიკურ თანამშრომელად. სტხ. თანამშრომელი კი გადაყვანილი იქნა ქალაქიდში სადგურის უფროსის თანაშემწეთ, რისთვისაც მან მიიღო გადასასვლელი ჯილდო, მაგრამ მის მაგიერ დანიშნულ უვარგის თანამშრომლის მოსამზადებლად, მთელი თვე დასტოვეს განყოფილებაში. ქალაქიდში კი მივლინებულის მაგიერ მუშაობდა კურსანტი, რომელიც ღებულობდა ოთახის ქირას და მივლინების ჯილდოს. ამითაც რკ. გზამ 250 მანეთი იზარალა. მატარებლის რევიზორი რატიანი, დათხოვნილ იქნა სამსახურიდან უკანონოდ. სასამართლომ იგი აღადგინა და მიუსაჯა გაცდენილ დღეების 330 მან. 24 კაპ., მაგრამ ანგარიშის არასწორი გაცემით, დამატებით მისცეს 146 მან. და 16 კაპ. ამის შემდეგ რატიანი, კიდევ იქნა დათხოვნილი. დღეს საქმე კვლავ სასამართლოშია.

საქმეთა მართველის მოვალეობას ასრულებს და მოქ. ცინცაძე. განსხვავება კი გასცეს ცაგარეიშვილზე. სასამართლომ ცინცაძის მოუსაჯა განსხვავება. ისე, რომ განყოფილებამ ორმაგი განსხვავება გასცა. მმართველობიდან გადმოგზავნილი იყო 9 კუპონიანი სასურსათო ბილეთები სათანადო ინსტრუქციით იმის შესახებ თუ ვის უნდა შეევსო ისინი, მაგრამ განყოფილებამ ვერ შეავსო კუპონები წესიერად, რის გამო ბილეთები გადაგზავნილი იქნა უკან. მის მაგიერ გადმოგზავნეს 14 კუპონიანი ბილეთი. აქაც სრულიად უსაფუძვლოდ გაიფლანგა 2.000-ზე მეტი სასურსათო ბილეთი.

ამგვარად რკ. გზის პირველი განყოფილების მესვეურების უგემო და უთავბოლო მუშაობით, რკ. გზამ რამოდენიმე ათასი მანეთის ზარალი ნახა. კომისიამ საჭიროდ სცნო ამ საქმეში დამნაშავენი მიცემული იქნენ პასუხისგებაში.

ცალ-ვარდი.

გავუგრძელეთ დრო!
(თბ. დეპო)

თანახმად დადგენილებისა, მემანქანეებს და მათ თანაშემწეებს საგზო ბარათი უმოწმდებათ საათნახევრით ადრე. ეს შემოიღეს უკანასკნელ ხანებში. წინად ეს ასე არ იყო. თანახმად განწესისა მემანქანეს საგზო ბარათი უმოწმდებოდა ერთი საათით ადრე, თანაშემწეს კი საათნახევრით. ამჟამად მემანქანესაც და მის თანაშემწესაც საგზო ბარათები ერთ დროს უმოწმდებათ, რაც ჩვენის აზრით არ არის სწორი.

მემანქანეს და მის თანაშემწეს ერთნაირი დრო არ სჭირდება. მემანქანე, რომ გამოცხადდება დეპოში, მას ორთქლმავალი მზად უნდა დახვდეს. ის გასინჯავს მარტო, რომ რაიმე შეკეთება არ ესაჭიროებოდეს ორთქლმავალს და სხვა არაფერი. თანაშემწესთვის კი საათნახევარი ძალიან მცირე დროა, რადგან მის ვალდებულებას შეადგენს ორთქლმავლის მთლიანად გამზადება; უნდა გამოიწეროს ყოველივე მასალა, რაც ესაჭიროება მგზავრობისათვის და მიიტანოს ორთქლმავალზე, უნდა გამზოს და გაასუფთაოს და საერთოდ ორთქლმავალი გამზადოს გასასვლელად. ამიტომ თუ მემანქანეს ეძლევა საათნახევარი, თანაშემწეს უნდა მიეცეს ორი საათი მაინც, რომ მოასწროს ყოველივეს გაკეთება და ორთქლმავალი წაიყვანოს წესით.

ამ გარემოებას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება და მემანქანის თანაშემწეებს მოუმატონ დრო ორთქლმავლის მიღება-გამზადებისათვის.

ოზრანელი.

მუშკოოპი ზარალობს

როგორც ვიცით, თბ. აღმასკომი, მუშკოოპის მოთხოვნილებას რომელიმე დარბაზზე პირველ რიგში აკმაყოფილებს. არის შემთხვევა, როდესაც მუშკოოპი თხოულობს ამ დარბაზს, რომელიც უკვე გაცემულია კერძო პირზე, აღმასკომი კერძო მოიჯარადრეს ასახლებს და დარბაზს აძლევს მუშკოოპს. ასეთ შემთხვევაში არ ერიდებიან არც თვითმშრომელთა კავშირის წევრებსაც.

მიმდინარე წლის დასაწყისიდან, მუშკოოპში დარბაზებზე მოთხოვნილება საგრძნობლად გაადიდა; გამრავლდა პურისა და სხვა სავაჭრო წერტებიც, მაგრამ არა იმდენად, რამდენიც აქვს მუშკოოპს აღებული დარბაზი; მუშკოოპის მიერ აღებული დარბები, სანახევროდ არ ხმარდება პირდაპირ მიზანს. სხვაზე გადაცემას, რომ თავი დავანებოდ, ხშირად მუშკოოპი იღებს დარბაზს მაშინ, როდესაც არ ესაჭიროება. დარბაზის იჯარას კი იხდის ორდერის გამოწერის დღიდან.

ამჟამად თბილისში უამრავი დარბაზებია მუშკოოპის მიერ აღებული, რომლებიც თვეობით დაკეტილია: ლვინის აღმართზე დარ. № 70194, რამდენიმე თვეა აღებული აქვს მუშკოოპს და დღემდე დაკეტილია. წყნეთის ქ. დარ. № 10453 და 10454, 16 თებერვლის ორდერით გაცემულია მუშკოოპზე, რომელიც იხდის იჯარას, მაგრამ დარბები ჯერაც არ არის გამოყენებული. ორჯონიკიძის ქ. № 80 დარ. № 00556, ახალი ბაზარში დარ. № — 1503, მალაქნის ქ. № 10 დარ. № 00840 და 008441, აღმასკომის ქ. №-ში მუხრანის ბაზარში დარ. № 30779 და სხვა სამ თვეზე მეტია აღებული აქვს მუშკოოპს სავაჭრო წერტებისათვის, მაგრამ დღემდე უყურადღებოდ არის მიტოვებული. მუშკოპი არ იყენებს მათ საჭიროებისათვის.

თუ ვიანგარიშებთ ყველა გაცდენილ დარბაზების საფასურს თვეურად და გავკეთებთ მას ჯამს, ვნახავთ, რომ მუშკოოპი, ზოგიერთი საქმის უცოდინარ რწმუნებულების საშუალებით, ყოველ თვეურად ზარალობს რამოდენიმე ათას მანეთს. მუშკოოპის რწმუნებული, მოითხოვს აღმასკომიდან ზოგიერთი დარბების განთავისუფლებას მუშკოოპის საჭიროებისათვის. აღმასკომი უყოყმანოთ ასრულებს მუშკოოპის თხოვნას, მაგრამ დაცლილი დარბაზი თვეობით უყურადღებოდაა მიტოვებული და აღმასკომის სალაროში კი შეაქვთ მნიშვნელოვანი თანხები. ამგვარ მოვლენას სისტემატიური ხასიათი აქვს. რა ენაღვლებათ მუშკოოპის რწმუნებულებს, რომ კოოპერაციამ, კერძო ვაჭრების მაგიერ იხადოს თვეურად რამოდენიმე ათასი მანეთი. თავიანთ ჯიბეს ხომ არაფერი აკლდება.

საჭიროა საჩქაროდ იქნეს გამორკვეული ის თუ რატომ იღებენ მუშკოოპის რწმუნებულები იმდენ დარბაზებს, რამდენიც არ ესაჭიროება მუშკოოპს და თუ ესაჭიროება, რატომ არ ხსნიან სავაჭრო წერტებს. სახელმწიფო ფულის უთავბოლოდ და უმიზნოდ მხარჯავებს სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოთ.

კოტე ქვენოგანელი.

მუშკორთა წერილებიდან

რატომ არ გააძევებთ. № 1 საინვალიდო სახლში სცხოვრობს ყოფ. ოფიცერი ვინმე პეტროვი, რომელსაც თავისი ხულიგნობით აკლებული ჰყავს მთელი სახლი. მუშგლეხინის დადგენილებით იგი უნდა გაეძევებინათ საინვალიდო სახლიდან, მაგრამ რატომღაც არ აძევებენ.

ვ. ხ—ძე.

ჩამოართვით სახლები. ხუდადოვის ქუჩაზე მდებარე სახლი № 8 ეკუთვნის ვინმე ს. გეწაძეს, რომელიც გარდა იმისა, რომ ყურადღებას არ აქცევს სახლებს, უდიერადაც ეპყრობა გლეხებს. ამას წინად მან გაყიდა თავისი სახლის ნახევარი, რომელშიაც სცხოვრობს მისი შვილი. აღმასკომო, ჩამორთვით სახლები.

უხმო.

ყურადღება მიაქციეთ. რკ. გზის მთ. სახელოსნოების ტ. მ. ც. კა-ს მუშები სისტემატიურად ყოველდღე ნახევარ საათით ადრე უშვებენ ხელს სამუშაოს. სახელოსნოების ადმინისტრაციამ, მიაქციე ყურადღება.

მუშა.

მუშებს არ აზღვევენ. შრომის კოლექტივის ბუბლიკების საცხობში, რომელიც მდებარეობს ვერის დაღმართზე № 29-ში, მუშაობს 7 მუშა. ამათგან ორი კავშირის წევრია და დაზღვეულებიც არიან, მაგრამ დანარჩენი ხუთი მუშა არც დაზღვეული, და არც პროფკავშირის წევრი. შრ. ინსპექტორო, მიაქციე ყურადღება.

მაგომ.

რად მოატყუეს. თბ. სამშენებლო სასწავლებელში მიიღეს პროვინციიდან გამოგზავნილი რამოდენიმე მოწაფე, რომლებსაც შეპირების თანახმად, სასწავლებელში მიღებისთანავე უნდა დანიშნოდათ სტიპენდია. მაგრამ ჩამოსვლის შემდეგ მოწაფეებს უპასუხეს, რომ სამი თვე უფასოთ უნდა იმუშაოთ. მაშ რად მოატყუეს მოწაფეები?

მოწაფე.

მოუარეთ სახლებს. კომუნალურ ქ. სახლი № 25 ეკუთვნის თბილისის აღმასკომის „უქს"-ს სახლი საგრძნობლად დაზიანებულია და მოითხოვს ძირითად შეკეთებას. აღმასკომო მოუარეთ სახლებს.

გიტ.

სამალარიო კონფერენცია

21 ივლისს, ამხ. გ. ქუთაძის თავმჯდომარეობით გაიხსნა სრულიად საქართველოს სამალარიო კონფერენცია.

პირველი სხდომა

კონფერენციის პირველ სხდომაზე გაკეთებულ იქნა ორი მოხსენება: ერთი ტროპიკულ სნეულებებთან ბრძოლის საქმის უნიფიკაციის და მეორე მალარიასთან ბრძოლის კანონმდებლობის შესახებ. პირველ საკითხზე გამოსულმა მომხსენებელმა ექ. ხ. კანდელაკმა აღნიშნა, რომ მალარია საქართველოში ისეთ მასიურ სნებათ გადაიქცა, რომ მასთან საბრძოლველად საჭირო ხდება ყველა საექიმო ძალების მობილიზაცია. დღემდე მალარიასთან ბრძოლას დამოუკიდებლად აწარმოებდნენ სხვადასხვა დაწესებულებები, როგორიცაა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილება, ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტი და ცალკე ავტონომიურ რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები.

ამიერიდან მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია მალარიასთან ბრძოლა მიენდოს ტროპიკ. სნეულ. ინსტიტუტს, რომელიც ამ საქმეში ხელმძღვანელობას გაუწევს ყველა სამკურნალო ორგანიზაციებს. მალარიასთან ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტმა უნდა დაამუშაოს მალარიასთან და სხვა ტროპიკულ სნეულებებთან ბრძოლის გეგმა, რჩევა-დარიგებები მისცეს ყველა სამკურნალო ორგანიზაციებს საჭიროების დროს და თვითონაც ჩაატაროს გამოკვლევები სხვადასხვა რაიონებში მალარიის გავრცელების გამოსარკვევად.

შემდეგ მოხსენებით სამალარიო სანიტარულ კანონმდებლობის შესახებ გამოვიდა პროფ. ხ. ცირხალაძე. მომხსენებელი საჭიროდ სცნობს აღძრული იქნას შუამდგომლობა მთავრობის უზენაეს ორგანოების წინაშე, რომ დაჩქარდეს მალარიასთან ბრძოლის საკითხების შესახებ სხვადასხვა საკანონმდებლო აქტების გამოცემა, რითაც გაადვილდება როგორც სნეთან ბრძოლა, ისე ამ ბრძოლაში ფართო მასების აქტიურად ჩაბმა.

მეორე სხდომა

მეორე სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა აფხაზეთის ტროპიკ. სნეულებათა სადგურის გამგე ექ. რუხაძე. მომხს.-ლი შეეხო სამალარიო სადგურების მუშაობას აფხაზეთში და აღნიშნა, რომ მალარიასთან ბრძოლაში გარდა სამალარიო სადგურებისა ჩაბმული არიან აგრეთვე სასოფლო-საექიმო პუნქტებიც. სამალარიო სადგურების შტატები საკმარისია იმისათვის, რომ მალარიასთან ბრძოლამ შესაფერი ნაყოფი გამოიღოს.

მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია აფხაზეთის სამალარიო სადგურებთან მოეწყოს სპეციალური პროფილაქტიური რაზმები, რომლებიც ჩაატარებენ მალარიის გამავრცელებელ რაიონების გასაჯანსაღებელ სამუშაოებს. რაზმებმა უნდა აწარმოონ ბრძოლა კოღოების წინააღმდეგ—გამბუზიის ჯიშის თევზების მოშენებით, ჭაობებში მაზუთის მოსხმით, ჭაობების ამოსაშრობათ დაწყებულ სამუშაოებისათვის ხელის შეწყობით და სხვა.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რის შემდეგაც კონფერენციამ დაადგინა მიღებულ იქნას აფხაზეთის წარმომადგენლის ყველა წინადადებები და სათანადო ღონისძიებათა გასატარებლად შემუშავებულ იქნას სპეციალური სამუშაო გეგმა.

მესამე სხდომა

მესამე სხდომაზე პროფ. ხ. ცირხალაძე აკეთებს სამ განცხადებას შემდეგი საკითხების შესახებ: სპეციალური სამკურნალო-პოპულიარულ ჟურნალის გამოცემა ტროპიკულ სნეულებათა საკითხების გასაშუქებლად, სამალარიო კონფერენციების რეგულიარულად მოწვევა და ბრძოლის გაძლიერება ტროპიკულ სნეულებებთან, უმთავრესად ანხილოსტომიზმთან.

კონფერენციამ დაადგინა დაწყებულ იქნეს სპეციალური ჟურნალის გამოცემა, რომელშიაც მალარიის შესახებ დაბეჭდილი იქნება პოპულიარული და სამეცნიერო შინაარსის წერილები. კონფერენციამ საჭიროდ სცნო, რომ შემდეგი რესპუბლიკანური სამალარიო კონფერენცია მოწვეულ იქნეს მიმდინარე წლის ნოემბერში.

დასასრულ, კონფერენციაზე მოხსენებით გამოდის აჭარისტანის ტროპიკულ სნეულებათა სადგურის გამგე, ექ. ი. მჭედლიძე, რომელმაც დაახასიათა ქინაქინის როლი მალარიასთან ბრძოლის საქმეში. მომხსენებელმა მოიყვანა ცნობები, რომ საქართველოსათვის ავტონომიური რესპუბლიკების თან ჩართვით ყოველწლიურად საჭიროა 10.000 კილო ქინაქინი. ასეთი რაოდენობის ქინაქინის შემოზიდვა საზღვარ-გარეთიდან ძალიან ძნელდება და ეს იწვევს მრავალგვარ დაბრკოლებებს მალარიასთან ბრძოლაში.

მომხსენებელს წინადადება შეაქვს, რომ დაწყებულ იქნას ქინაქინის ხის მოშენება შავი ზღვის სანაპიროებზე, სადაც საამისოდ შესაფერისი პირობებია. კონფერენციამ დაადგინა აღძრულ იქნეს შუამდგომლობა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოების წინაშე, რათა გადადებულ იქნეს შესაფერი თანხა ქინაქინის ხის ნერგებისა და თესლის შესაძენად, მის შემოსატანად და დასათესად შავი ზღვის სანაპიროებზე.

რეზოლუციების მიღების შემდეგ კონფერენცია დაიხურა.

თბილისის საქალაქო სამალარიო კონფერენცია

დღეს, საღ. 7 საათზე, მოწვეულია თბილისის საქალაქო სამალარიო კონფერენცია. კონფერენციაზე მოწვეული არიან თბილისის ყველა ექიმები და სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები.

კონფერენცია გაიხსნება სოციალური ჰიგიენის კათედრის შენობაში.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

როგორ მიმდინარეობს დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვა

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით, სას. სამ. გადასახადით დასაბეგრ ობიექტის აღრიცხვას წელს გაცილებით მეტი ყურადღება აქვს მიქცეული, ვიდრე წინა წლებში. აღრიცხვის საქმეში წელს აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ, როგორც სამაზრო, აგრეთვე თემის საბჭოთა, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. რამოდენიმე დღის წინათ ფინანსთა სახ. კომისარიატმა გამოიკვლია, თუ როგორ მიმდინარეობს აღრიცხვა ადგილებზე. დასაბეგრ ობიექტების მთლიანად აღრიცხვის მიზნით ადგილებს მიცემული ჰქონდა დირექტივა—მაქსიმალურათ გამოეყენებიათ ღარიბი მოსახლეობის საერთო კრებები. გამოირკვა, რომ ზოგიერთ ადგილებში ღარიბი მოსახლეობა არა საკმაოდ იყო ჩაბმული დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვის საქმეში. ზოგიერთ მაზრაში ჯერაც არ არის გამოყოფილი საგადასახადო კომისია. ზოგიერთ თემსა და სამაზრო ცენტრს შორის ცოცხალი კავშირი მოისუსტებს, რის გამო ცნობებს აღრიცხვის მსვლელობის შესახებ მაზრის ცენტრი დაგვიანებით ღებულობს და სხ.

ერთ ერთ მნიშვნელოვან დეფექტათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ დირექტივა მდიდარ ფენების მეურნეობათა ინდივიდუალური დაბეგვრის შესახებ ადგილებზე არ არის სწორათ გაგებული.

ამ დეფექტების შემჩნევის შემდეგ ზოგიერთ რაიონში საჭიროთ იქნა მიჩნეული აღრიცხვის ხელმეორეთ ჩატარება. მიუხედავათ ზემოჩამოთვლილ დაბრკოლებებისა, კომისარიატის აზრით, საგადასახადო კამპანია წელს გაცილებით უფრო ნაყოფიერი იქნება, ვიდრე წინა წლებში.

აფთიაქების გადაცემა ადგილობრივ აღმასკომებისათვის

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიურ საბჭოს დადგენილებით სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ყველა აფთიაქები გადაეცა აღმასრულებელ კომიტეტებს.

აფთიაქებისათვის წამლების მიწოდების საქმე დაკისრებული აქვს „სახმედვაჭრობას".

ამჟამად მთელ საქართველოში ითვლება 208 აფთიაქი. აქედან სამეურნეო ანგარიშზე, 172, საფთიაქო სამმართველოს განკარგულებაშია—28 და წითელი ჯვრის—8.

გარდა ამისა ავტონომიურ რესპუბლიკებში არსებობს 80 აფთიაქი. ყველა აფთიაქი სახელმწიფო ორგანიზაციების განკარგულებში იმყოფება, გამონაკლისს წარმოადგენს აფხაზეთი, სადაც 10 აფთიაქი იმყოფება კერძო პირების ხელში.

ჯანმრთელობის კომისარიატის ფარმაცევტიული განყოფილების ცნობით, აფთიაქების ქსელი შედარებით დამაკმაყოფილებელია ქუთაისის, ოზურგეთის, კახეთის, ზუგდიდის და სენაკის მაზრებში.

აფთიაქების რიცხვი მცირეა თბილისის და შორაპნის მაზრებში. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა დუშეთის, ბორჩალოს, რაჭა-ლეჩხუმის, ახალქალაქის და ახალციხის მაზრებში.

გადაწყვეტილია პირველ რიგში მომავალ წლიდან ახალი აფთიაქები გაიხსნას აღნიშნულ მაზრებში.

უღარიბეს მოსახლეობას აფთიაქებიდან წამლეულობა ეძლევა 20 პროცენტის ფასდაკლებით.

ალაზნის ველის მორწყვა

ალაზნის ველი იყოფა ორ ნაწილად—ზემო და ქვემო ზონად. პირველ ზონაში შედის 20.000 ჰექტარი მიწა მეორეში—24.000.

ამ ადგილებზე ამჟამად გაშენებულია: ვენახი—1.100 ჰექტარზე, 8.500 ჰექტარი უჭირავს ბუჩქნარს, 8.500 საძოვრებს, 22.900—სათიბს, ხოლო 24.000 ჰექტარი საყანედაა დატოვებული.

თვით ველზე მოსახლეობა არ არის. მეურნეობას ეწევიან მახლობელ სოფლებში მცხოვრებნი რიცხვით—16000 კომლი.

მორწყვის შემდეგ მთელი ველი გაიყოფა 3 ზონად. პირველ ზონაში მოექცევა 12.000 ჰექტარი, მეორეში—8.000 მ., მესამეში—24.000. პირველ ზონით ისარგებლებს 7.500 კომლი, მეორეთი—3.200 კომლი. მესამე ზონით კი—6.300 კომლი.

სამივე ზონაში მორწყვის შემდეგ გლეხობის წლიური შემოსავალი მიაღწევს 12.651.000 მანეთს (ახლა შეადგენს 1.801.000 მანეთს).

მორწყვის შემდეგ ვენახები გაშენებული იქნება 6.400 ჰექტარზე. ბაღ-ბოსტანი—2.800 ხორბლეული —20.000, ბამბა—7.200 ჰექტარზე. ტეხნიკური მცენარეები—2.600, ლუცერნა და ძირნაყოფა მცენარეები—4.900 ჰექტარზე.

ახალ კულტურების გაშენების მიზნით მოისპობა უვარგისი ბუჩქნარები, სათიბ-საძოვრები და სხ.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ბამბას, ვენახს, თამბაქოს და ბოსტნეულობას, რაც წლიურად გლეხობას მისცემს 8 მილიონ მანეთს.

მომავალში საჭირო შეიქნება ადგილობრივ სხვადასხვა ქარხნების აგება. (ბამბის საწმენდი ქარხანა, მზესუმზირის ზეთის სახდელი ქარხანა და სხ.). მთელ ალაზნის ველს იაფ ელექტრო ენერგიას მიაწვდის ბაკურციხის ჰიდრო-ელსადგური, რომელიც მოეწყობა ალაზნის არხზე.

დღემდე შესრულებულია მაგისტრალურ არხის სამუშაოთა უმთავრესი ნაწილი. არხის გასაყვანად უკვე ამოთხრილია 1.250.000 კუბიკური მეტრი მიწა, ამოსათხრელი დარჩა ნახევარი მილიონი მეტრი. არხის სამუშაოებზე წელს დაიხარჯება 825.000 მანეთი, მომავალ წელს—1.630.000 მანეთი. მთელი სარწყავი სისტემა მზად იქნება 1930—31 წლისათვის. წყალთა სამმართველოს გადაწყვეტილი აქვს მომავალ წლის მაისიდან შეუდგეს 12.000 დესეტინის მორწყვას. ალაზნის ველის სარწყავ სისტემის სავსებით მოწყობა დაჯდება 7.200.000 მანეთი. ასე რომ თითო ჰექტარის მორწყვაზე იხარჯება არა უმეტეს 163 მანეთისა.

სამელიორაციო ხარჯების დასაფარავად სამეურნეო ერთეულები წლიურად ჰექტარზე გადაიხდიან 13 მანეთს, რაც ფრიად უმნიშვნელოდ უნდა ჩაითვალოს იმ შემოსავალთან შედარებით, რომელსაც მორწყვის შემდეგ ჰექტარიდან მიიღებს თვითეული მეურნე.

ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგების შედეგები

ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით ამიერ-კავკასიაში ჩატარებულ იქნა სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება, რომელიც შეეხო მხოლოდ ისეთ დაწესებულებებს, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებიან.

სხვადასხვა ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგების ჩატარება ვერ მოხერხდა განსაზღვრულ ვადისათვის (1928 წ. 15 იანვრისათვის). ეს განხორციელება, ისიც ნაწილობრივ, შესაძლებელი გახდა მხოლოდ მიმდინარე წლის ივნისისათვის.

ამიერ-კავკასიაში სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი უდრის 21.151 კაცს, აქედან ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება შეეხო 15.395 კაცს, რაც შეადგენს მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვის 70 პროცენტს.

ხელფასის სახელმწიფოებრივ ფაქტიურ მოწესრიგების გარეშე დარჩა 5.756 კაცი, უმთავრესად სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სასწავლებლების მასწავლებლობა. მათი ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება სავსებით დამთავრდება მომავალი წლის ოქტომბრამდე.

ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირებისა და სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგების შედეგად მოსამსახურეთა შემადგენლობაში და ხელფასის ფონდებში შემდეგი ცვლილებები მოხდა:

იმ მოსამსახურეთა რიცხვი, რომელთაც შეეხო მოწესრიგება შემცირდა 4,2 პროცენტით, ანუ 16,077-დან დაყვანილი იქნა 15.395-მდე.

ხელფასის საერთო თვიური ფონდი, რომელიც 1927 წლის დეკემბერში 1.237,136 მანეთს შეადგენდა, შემცირდა 1.199.261 მანეთამდე.

ჩამორჩენილი თანამდებობების პირების დაწინაურება და მათი ხელფასის გადიდება მოხდა სხვა თანამდებობათა მეტად გაბერილ ხელფასის შემცირების ხარჯზე და ამ მხრივ თანამდებობათა შორის ერთგვარ წონასწორობის გატარების მიზნით.

ხელფასის გადიდება შეეხო უმთავრესად დაბალი თანამდებობის პირებს: შიკრიკებს, დამლაგებლებს, მემანქანეებს, სტატისტიკოსებს და სხ.

სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს მოსამსახურეთა სამუშაო დღის სიდიდის საკითხი. ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგების დროს გამოირკვა, რომ არანორმალურ სამუშაო პირობებში მყოფ მომუშავეთა რიცხვი შეადგენს 35,8 პროცენტს. ხელფასის სახელ. მოწესრიგების ჩატარებასთან ერთად მიღებული იქნა ზომები სამუშაო დროის ხანგრძლივობის შესაკვეცად. ამის შედეგათ მრავალ დაწესებულებაში დამყარებული იქნა ნორმალური სამუშაო პირობები.

ამ მიმართულებით მუშაობა ეხლაც გრძელდება და ახლო ხანში, ყველა დაწესებულებაში, სადაც ადგილი აქვს სამუშაო დროის გადამეტებას, მტკიცეთ იქნება დაცული ნორმალური სამუშაო პირობები.

იმ დაწესებულებაში, რომლებსაც შეეხო სამუშაო ხელფასის მოწესრიგება, შემდეგში შტატის შემცირება უნდა ხდებოდეს მ.-გ. ინსპექციის ნებართვით. მომავალ წლიდან განზრახულია ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება ჩატარებული იქნეს სამეურნეო ანგარიშზე მყოფ დაწესებულებებშიაც.

წითელ ჯარში მორიგ გაწვევის წინ

გამოქვეყნდა საბჭ კავშირის სახ. რევოლუც. საბჭოს თავმჯდომარის და სამხ. საზღვაო საქმეთა სახ. კომისრის ბრძანება წითელ ჯარში მორიგ გაწვევის შესახებ.

მორიგი გაწვევა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იწარმოებს მიმდინარე წლის 1-ლ სექტემბრიდან 1-ლ ნოემბრამდე.

წითელი ჯარის რიგებში გაწვეული იქნებიან 1906 წელში დაბადებული ახალგაზრდები.

ჯარში გაწვეულ იქნებიან აგრეთვე ის ახალგაზრდები, რომლებსაც გაგრძელებული ჰქონდათ ჯარში გაწვევის ვადა.

ის მოქალაქენი, რომლებსაც ეხება ჯარში გაწვევა და რომლებსაც წინათ უმსახურიათ წითელი ჯარის ნაწილებში არა ნაკლებ ორი წლისა, თავისუფლდებიან ჯარში სამსახურიდან და ჩარიცხული იქნებიან გრძელვადიან შვებულებაში მყოფთა კატეგორიაში.

ამიერ-კავკასიური წითელი არმიის მთავარი სამმართველო განმარტავს, რომ 1906 წ. დაბადებული მოქალაქენი, რომლებიც ცხოვრობენ საზღვარ-გარეთ და რომელთაც სურთ ისარგებლონ ჯარში გაწვევის დროს კუთვნილი შეღავათებით (ოჯახურ ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით), სათანადო განცხადება უნდა შეიტანონ საკონსულოში. განცხადებას უნდა დაერთოს ოჯახის წევრების სია წლოვანების და ჯანმრთელობის მდგომარეობის აღნიშვნით.

მომავალი გაწვევის დროს მეცნიერების მუშაკებს ჯარში გაწვევის ვადა გაუგრძელდება იმ შემთხვევაში, თუ აღძრული იქნება საამისო შუამდგომლობა დაინტერესებულ ორგანოების მიერ.

ასპირანტებს და ორდინატორებს ჯარში გაწვევის ვადა გაუგრძელდება სამი წლით. უმაღლეს სასწავლებლების პროფესორებს, დოცენტებს, ლაბორანტებს, პროზექტორებს და პრეპარატორებს—30 წლამდე.

ხაშურის მუშების დახოცვის 25 წ. თავისათვის

27 ივლისს (ძველი სტ. 14 ივლისს) სრულდება 25 წელიწადი მას შემდეგ, რაც რეაქციამ სისხლში ჩაახრჩო ხაშურის რევოლიუციონური მუშების ისტორიული გაფიცვა, რომლის დროს დაიღუპა 14 კაცი.

ამის გამო, ხაშურის ორგანიზაცია, იგონებს რა 14 ამხანაგის რევოლიუციისათვის თავგანწირვას, აწყობს ამ დღის მოგონების საღამოს. ს. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომი სთხოვს ყველა ამხანაგებს, რომლებსაც მონაწილეობა მიუღიათ გაფიცვაში და იცნობენ 1903 წლის გაფიცვის ისტორიას, მონაწილეობა მიიღონ ამ დღის სათანადო ჩატარებაში.

მოგონების საღამო შესდგება ხაშურში ა. წ. 28 ივლისს, საღამოს 5 საათზე ხაშურის მუშათა კლუბში.

ს. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომი.

ქუთაისი

რაჭა-ლეჩხუმის მაზრაღმასკომების გაერთიანებული პლენუმი

ქუთაისი, 24 ივლისი. კვირას, 22 ივლისს, შესდგა რაჭა-ლეჩხუმის სამაზრო აღმასკომების გაერთიანებული პლენუმი. რაჭა-ლეჩხუმის გაერთიანებული აღმასკომის თავმჯდომარეთ პლენუმმა აირჩია რაჭის მაზრაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **პარმენ წულუკიძე.** მის მოადგილეებათ არჩეულია: ამხ. **გულბანი და შავლაძე.**

რაჭა-ლეჩხუმის სამაზრო ცენტრი ა. წ. 1-ლ ოქტომბრისათვის. გადატანილი იქნება ჭრებალოში. ამ დროისათვის იქ აშენებული იქნება ერთი 40 ოთახიანი სახლი, სადაც მოთავსებული იქნება ადგილობრივი დაწესებულებები.

ხანძარი

გუშინ საღამოს მესამე ინტერნაციონალის ქუჩაზე მდებარე კოოპერატივს გაუჩნდა ხანძარი. ცეცხლის ჩაქრობაზე მუშაობს ადგილობრივი სახანძრო რაზმი.

სამაზრო აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების მუშაობა

მოსახლეობის ეკონომიურ მდგომარეობის გამორკვევის მიზნით, სამაღმასკომის საორგანიზაციო განყოფილება შეუდგა შემდეგ გამოკვლევების ჩატარებას თემებში: რამდენია სათემო და სახელმწიფო მნიშვნელობის ტყე; საფონდო მიწების რაოდენობა (გამოსადეგი და უვარგისი); თვითეულ ოჯახის შემადგენლობის აღწერილობა, რომლის საშუალებითაც გამოირკვევა: ოჯახის წევრთა რაოდენობა, არიან თუ არა კოოპერატივის ან არტელის წევრი, ოჯახის საქმიანობა, ოჯახის სარგებლობაში მყოფი მიწის რაოდენობა როგორც ნათესების აგრეთვე სხ., მუშა-საქონლის რაოდენობა, სასოფლო-სამეურნეო იარაღების რაოდენობა და სხვ.

მიწის საკითხი

სამაღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით მაზრაში ამჟამად მივლინებულია 4 მიწის მზომელი, რომელთაც დავალებული აქვთ გამოარკვიონ ის გაუგებრობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასულ წელში მიწის რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით, როცა ზოგიერთმა ყოფ. მემამულეებმა და კულაკებმა სხვადასხვა მახინაცეობით შეინარჩუნეს მიწის ზედმეტი რაოდენობა. დღემდის ეს საკითხი მოგვარებულია გოდოგნის, კუხის და სხვ თემებში. ზედმეტი მიწები ჩამორთმეული იქნება და გადაირიცხება ფონდში, ღარიბ გლეხობისათვის გასანაწილებლად.

საბუხჰალტერო კურსები

ა. წ. 15 სექტემბრიდან დაიწყება მეცადინეობა სამ. აღმასკომის საბუხჰალტერო კურსებზე. კურსებზე მიღებულ იქნებიან 7 და 9 წლედ დამთავრებულები და აგრეთვე შესაფერი ცოდნის მქონე მსურველი მუშა-მოსამსახურეები.

ბინების შემჭიდროება

მუნიციპალიზაცია ქმნილ სახლებში მცხოვრებ არა მშრომელ ელემენტების ბინების შემჭიდროვების მიზნით გამოყოფილი იყო მუშათა კომისიები, რომელთაც დავალებული ჰქონდათ არა მშრომელ ელემენტების ბინების გამოკვლევა.

კომისიებს ამ თავითვე დავალებული ჰქონდათ 500 სახლის გამოკვლევა.

გუშინ საღამოს თბილისის საბჭოს წითელ დარბაზში შესდგა კომისიების სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა კომისიების მოხსენებები ჩატარებული მუშაობის შესახებ.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ სახლების პირველი პარტია (500 სახლი) თითქმის სულ გამოკვლეულია. გამოკვლევის ოქმები კომისიებს გადაცემული აქვთ ცენტრალურ კომისიისათვის, რომელიც პროფკავშირთან შეთანხმებით გაანაწილებს შესამჭიდროებლათ გამოყოფილ ბინებს.

სახლების გამოკვლევის დროს კომისიებს წინ ეღობებოდათ სხვადასხვა დაბრკოლებები. ხშირი ყოფილა შემთხვევა, რომ არა მშრომელ ელემენტებს, ბინის შენარჩუნების მიზნით, თავის ბინაში ჩაუსახლებიათ ნათესავები და ნაცნობები. გარდა ამისა, კომისიებს ხშირათ უძნელდებოდათ იმის გამოკვლევა, ამა თუ იმ ბინის პატრონი მოსამსახურეა თუ არა მშრომელი ელემენტი.

ზოგიერთ კომისიებს სხვადასხვა მიზეზების გამო ჯერ კიდევ ვერ დაუმთავრებიათ მუშაობა. ამ კომისიებს დაევალებათ უახლოეს ხანში დაამთავრონ სახლების გამოკვლევა და გამოკვლევის ოქმები გადასცენ ცენტრალურ კომისიას, ამ მუშაობის დამთავრების შემდეგ კომისიებს გამოსაკვლევათ გადაეცემათ მუნიციპალიზაციაქმნილ სახლების ახალი პარტია.

როგორ ჩატარდა თავდაცვის კვირეულის უკანასკნელი დღე

მოდელების შეჯიბრი

22 ივლისს, თავდაცვის კვირეულის უკანასკნელ დღეს, დიდუბეში, პურის მოედანზე; შესდგა მოდელების მეორე შეჯიბრი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს მოდელებმა.

შეჯიბრზე წარმოდგენილი იყო 37 მოდელი.

ვინაიდან ამინდი არ იყო ხელსაყრელი, შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ სქემატიურმა მოდელებმა, ფიუზელაჟიანი მოდელების გამოცდა ვერ მოხერხდა ძლიერი ქარის გამო.

პირველი ჯილდო მიიღო ამხ. **სტეპანოვის** (ერევანი) მოდელმა, რომელმაც გაიარა თითქმის ერთი კილომეტრი.

მეორე ჯილდო ერგო ამხ. **გაბრიელიანის** (ერევანი) მოდელს, რომელმაც 6 წუთსა და 1 წამში დაფარა 676 მეტრი, ორივე მოდელი ეკუთვნოდა საინსტრუქტორო ჯგუფს.

მასიური ჯგუფიდან პირველი ჯილდო ერგო ამხ. **კანკანიანის** (ერევანი) მოდელს, რომელმაც 2 წუთსა და 46 წამში დაფარა 896 მეტრი. მეორე ჯილდო მიიღო ამხ. **გრიგორიანის** (ერევანი) მოდელმა, რომელმაც 541 მეტრი გაიარა 1 წუთსა და 30 წამში.

წასახალისებელი ჯილდო მიიღო ამხ. **ზოთიჩიკულაევის** (თბილისი) მოდელმა, რომელიც მონაწილეობდა სტარტის გარეშე.

წასახალისებელი ჯილდო მიეცა აგრეთვე ამხ. **მკრტიჩიანს** (თბილისი) და ამხ. **კრუპინს** (თბილისი) მოდელების სუფთად შესრულებისათვის.

თავდაცვის საღამო

21 ივლისს თავდაცვა-ავიაქიმის ლენინის სარაიონო საბჭომ ამხ. ს. ორჯონიკიძის კლუბში მოაწყო თავდაცვის საღამო.

საღამოზე ნაჩვენებ იქნა ქიმიური ომის ინსცენიროვკა, რომელშიაც მიიღო მონაწილეობა წითელი ჯარის ყველა სახეობამ.

ბაღში მოწყობილ იყო სამხედრო გამოფენა.

5.000 მანეთი

20, 21 და 22 ივლისს თბილისში სწარმოებდა ფულის შეგროვება ყულაბებით, თავდაცვა-ავიაქიმის მასიური მუშაობის ფონდის გასაძლიერებლად.

ქალაქში გამოშვებული იქნა 400 ყულაბა. წინასწარი ცნობებით, სამი დღის განმავლობაში ქალაქში შეგროვილ იქნა 5000-ზე მეტი მანეთი.

სამხედრო ლაშქრობა

22 ივლისს თავდაცვა-ავიაქიმის გორის სამაზრო ორგანიზაციამ მოაწყო სამხედრო ლაშქრობა, რომელშიაც მიიღო მონაწილეობა 3000-ზე მეტმა კაცმა. ლაშქრობას ხელმძღვანელობდა № დივიზიის ნაწილების მეთაურთა შემადგენლობა.

სამხედრო ლაშქრობა მოეწყო აგრეთვე აღბულაღში.

კავკ. წითელდროშოვან არმიის სპარტაკიადა

დამთავრდა კავკასიის წითელ დროშოვან არმიის მეექვსე სპარტაკიადა, რომლის შედეგები ასეთია:

პირველ ადგილზე გამოვიდა კავკასიის მესამე მსროლელი დივიზია, რომელმაც შეაგროვა 48 ქულა; მეორე ადგილი დაიკავა კავკასიის მეორე მსროლელ დივიზიამ—46 ქულა; მესამე ადგილზე გამოვიდა პირველი ქართული დივიზია, რომელმაც შეაგროვა 42 ქულა, მეოთხე ადგილი ხვდა აზერბეიჯანის სამხედრო ბანაკის ფიზკულტურნიკებს. მათ მოაგროვეს 31 ქულა. მეხუთე ადგილზე გამოვიდა ა.-კ. სახ. პოლიტ. სამმართველოს გუნდი, რომელმაც მოაგროვა 28 ქულა; მეექვსე ადგილი აიღო კავკასიის პირველმა დივიზიამ; მეშვიდე—სომხეთის დივიზიამ, მერვე—სურამის სამხედრო ბანაკმა, მეცხრე—საქართველოს მეორე დივიზიამ; მეათე—ვაზიანის სამხედრო ბანაკმა. მეთერთმეტე—ჯავშნიანმა ნაწილებმა და მეთორმეტე ადგილობრივმა ბატალიონმა.

ქართული ჭიდაობა

ქართულ ჭიდაობაში ჩატარებულ შეჯიბრების შედეგები ასეთია:

მსუბუქ წონაში პირველ ადგილზე გამოვიდა **სულიაშვილი** (მეორე ქართული დივიზია); მეორე ადგილი აიღო **ციცქიშვილმა** (იქიდანვე);

საშუალო წონაში გაიმარჯვა **კუსიტაშვილმა** და **ქვლივიძემ** (ქართული დივიზია).

ნახევრათ მსუბუქ წონაში პირველობა აიღო **უსტიაშვილმა** (№ ქართული დივიზია); მეორე ადგილი ხვდა **ლეჩნაძეს** (იქიდანვე).

მძიმე წონაში პირველობა აიღო **ნახტადელაშვილმა** (მეორე ქართული დივიზია); მეორე ადგილი დაიკავა **ქარუმიძემ** (მეორე ქართული დივიზია).

საზეიმო საღამო

დღეს, საღამოს, წითელ არმიისა და ფლოტის სახაფხულო კლუბში შესდგება სპარტაკიადაზე მონაწილეთა საზეიმო სხდომა, სადაც დიპლომები და ჯილდოები დაურიგდებათ სპარტაკიადაზე გამარჯვებულ წითელარმიელებს.

პროლეტარული მოსკოვი *)

რელიგია—აი სად არის მაგრათ საქმე. ათი წელი გავიდა პროლეტარულ რევოლიუციის. რელიგია მაინც არ წაქცეულა,—არამც თუ წაქცეულა, ისე გრძნობს თავს, ლამის ოქტომბრის ხელახალი ქარიშხალი დასჭირდეს. რა თქმა უნდა, რაც იყო წინეთ, არ არის დღეს. მაგრამ რაც არის, დამაფიქრებელია უეჭველად. მართლაც, რელიგია—აი სად არის მაგრათ საქმე.

კულტურულ რევოლიუციის გაღრმავებამ წამოაყენა რელიგიასთან ბრძოლის—დაუნდობელი, პრაქტიკული ბრძოლის—საკითხი. მთელი მოსკოვი ირაზმება რელიგიის წინააღმდეგ. ხდება ურწმუნოთა ყრილობები, კრებები, კეთდება სახალხო მოხსენებები. სერიოზული საქმეა რელიგიასთან ბრძოლა და პროლეტარული მოსკოვი სერიოზულად ემზადება პოზიციურ შეტევასთან.

ერთი თვის წინედ, წითელ არმიის ცენტრალურ კლუბში გაიხსნა ურწმუნოთა პირველი ყრილობა. მოხსენებით გამოვიდა ამხ. ემელიან იაროსლავსკი. ამხ. იაროსლავსკი ხომ „სპეცია" რელიგიის საკითხებში. რამდენი სქელტანიანი წიგნი და ბროშურა დაუწერია მას. რომ შევეკითხე—კერძო საუბარში—ამხ. იაროსლავსკის:

ნუ თუ ტყვილა ხარჯავდით ამდენ შრომას და სწერდით ამდენს, ნუ თუ სიტყვას საქმე არ მოყოლია?

მან მიპასუხა სრულიად სამართლიანად:

— მე, კულტურული რევოლიუციის დროს განა ისე სდგას რელიგიის საკითხი, როგორც დღემდე იდგა?

და მართლაც, ამჟამად სულ სხვა ნიადაგზეა დასმული რელიგიასთან ბრძოლის საკითხი. ეს არის—დაუნდობელი ბრძოლა სულიერ მონობის წინააღმდეგ.

რევოლიუციამ ძირითადი ნაბიჯი იმთავითვე გადასდგა რელიგიასთან საბრძოლველად: ეკლესია ჩამოაშორა სახელმწიფოს, ხაზინას. მაგრამ აქ ხომ არ შეჩერდება პროლეტარული რევოლიუცია. „ეკლესიის ავტოკეფალია" ჩვეულებრივი ბურჟუაზიული ტიპის ღონისძიებაა და მეტი არაფერი. ამერიკაში, მაგალითად, ეს ღონისძიება თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც ცხოვრებაშია გატარებული. მაგრამ განა იზარალა რამე ამით ამერიკის კლერიკალობამ? პირიქით, მოიგო კიდეც. ბურჟუაზიული აზროვნების „ვარსკვლავი"—ვილიამს ჯემსი ჯერ კიდევ 30 წლის წინად სწერდა თავის ცნობილ ორტომიან თხზულებაში „ევროპის გონებრივი განვითარების ისტორია", რომ ეკლესიის ჩამოშორება სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამაგრებას ნიშნავს და ამას ადასტურებს ამერიკის მაგალითით.

მართლაც, არსად არ არის მთელ მსოფლიოში—მოწინავე ქვეყნებში—კლერიკალიზმი ისე განვითარებული და განმტკიცებული, როგორც „დემოკრატიულ განათლებულ" ამერიკაში. აიღეთ თუ გინდ ცნობილი სენსაციური ფაქტი, რომელიც მოხდა ამერიკაში, ეს არის ერთი საწყალი მასწავლებლის გასამართლება. ამ მასწავლებლის „დანაშაული" იმაში მდგომარეობდა, რომ მან სრულიად „კეთილი განზრახვით" და არა წინასწარი მოფიქრებით უთხრა მოწაფეებს:

— იცით მოწაფეებო რისგან წარმოსდგა ადამიანი?—მაიმუნისაგან.

ეს იმას ნიშნავდა, რომ პატივცემული „მამა სულიერი", რომელიც ამ მასწავლებელთან ერთად „ამავე სკოლაში მასწავლებლობდა", ორანგ-უტანის, ან შიმპანზეს ჯიშის იყო და არა მამა ზეციერის—და მეტი არაფერი. რა საშინელი ბრალდებაა და დანაშაული ღვთის წინაშე. გულუბრყვილო—შეიძლება ძალიან გულადი—მასწავლებელი გახდა ამერიკული „მართმსაჯულების", კლერიკალურ იუსტიციის მსხვერპლი. ეკლესია ამერიკაში ჩამოშორებულია სახელმწიფოს. ხაზინა არ ხარჯავს არც ერთ კაპეიკს, მაგრამ სამღვდელოება მილიარდებით ითვლის ქონებას; არა მარტო ქონებას: დიდია მისი „იდეოლოგიური კაპიტალი". აბა წარმოიდგინეთ ასეთი საკვირველ ამბავი: მთელი მეცნიერება სცნობს დარვინიზმს. ევროპაში ზოგან ეკლესიაც არ ებრძვის ამ აშკარა ჭეშმარიტებას. ამერიკაში კი დარვინი და მისი ევოლიუციონური თეორია განდევნილია ოკეანეს გაღმა, განდევნილია სკოლიდან, სასამართლოდან, მეცნიერულ ლაბორატორიებიდან, პროგრესიულ აზროვნებიდან.

რას მოწმობს ეს? განა არა მას, რომ პროლეტარული რევოლიუცია ვერ შეჩერდება—არც შეუძლია შეჩერება—ეკლესიის „ავტოკეფალიის საფეხურზე? 1917 წ. თებერვლის რევოლიუციის პირველ დღეებშივე ჩვენმა წვრილფეხა სამღვდელოებამ დაუყოვნებლივ მოითხოვა ეკლესიის ჩამოშორება სახელმწიფოსაგან მართალია, აქ მას პოლიტიკური მომენტიც ახალისებდა. „სახელმწიფო რუსეთს ნიშნავდა და სახელმწიფოსაგან გამოყოფა კი რუსეთისაგან გამოყოფას. ამ მოთხოვნილებაში საკმაო დოზა იყო ქართული კლერიკალური ნაციონალიზმის. მაგრამ, მეორე მხრით, სამღვდელოება „ამერიკულ ნაყოფს" მოელოდა, თუმცა ორივე შემთხვევაში შესცდა მწარედ და სასტიკად...

საბჭოთა რუსეთში ათი წელია ეკლესია განაგებს საკუთარ ბედ-იღბალს. მაგრამ განა გაკოტრდა ეკლესია რუსეთში? არც იმდენად, როგორც მეგონა. თბილისიდან—3019 კილომეტრიდან მეჩვენებოდა—რა თქმა უნდა, რევოლიუციამ შეარყია, ძალზედაც შეარყია—ეკლესიის დედა-ბოძი: სასულიერო სკოლები დაიხურა, საღვთო სჯულის სწავლება გაიდევნა, სამღვდელოებას და, საერთოდ, სასულიერო წოდებას, შავ არისტოკრატიას მოქალაქეობრივი უფლებები წაერთვა, რაც ნიშნავს მის გამოცხადებას საბჭოთა კანონიერების გარეშე, —პრესაში, ლიტერატურაში გაამასხარავა რელიგია და მისი წარმომადგენლები. შეიძლება გამორჩა ბევრი რამ კიდევ, გამორჩა უნებურად. მაგრამ ერთი რამ ცხადია: რევოლიუციამ შეარყია რელიგიის დედა-ბოძი, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ წაუქცევია ის. და წააქცევს კი დღეს და ხვალ? რომ წააქცევს, განა ამაზეა ლაპარაკი. საქმე იმაშია, რა გზით შეიძლება ამ ბოძის წაქცევა, რა ენერგია დაგვიჯდება და რამდენხანს—ათეულ წელს—გასტანს ეს რთული, მძიმე პროცესი. აი კითხვა, რომელზედაც ფიქრობს დღევანდელი მოსკოვი

რელიგია—აი მართლაც სად არის მაგრად საქმე... შევეჩვიე ფაქტებით ლაპარაკს—ასე უყვარს მოსკოვს—და ფაქტების ენაზე ვილაპარაკებ.

მარტო მოსკოვის გუბერნიაში ამჟამად ირიცხება 10.000 სექტანტი. ბაპტისტების 50 „ობშჩინაა" დაარსებული, სახარების მიმდევრების —17. თვით მოსკოვი ხომ ცნობილია ეკლესიების საკვირველ რაოდენობით. არც ერთი ქალაქი არც ახალ და არც ძველ ქვეყნებში არ ითვლის იმდენ ეკლესიას, როგორც მოსკოვი. მოსკოვში წინდაწინ გამოანგარიშებულია ეკლესიის რიცხვი. ბავშვი ენას რომ აიდგამს, ალბად, პირველ სიტყვად წამოიძახებს: „Сорок—Сороков". ეს არის ორმოცჯერ ორმოცი—1.600 ეკლესია, რომელიც რევოლიუციამდე მოსკოვში ითვლებოდა.

ყოველ საღამოობით გაჩირაღდნებულია ეკლესიები მოსკოვში. ზოგან—სავსეა ხალხით და,—ზოგ საკვირველებაა,—პორტფელიანიც კი ოთხად მოკეცილა „ივერიის ღვთისმშობლის ხატის" წინაშე. საკუთარი თვალით ვნახე ეს, —საქართველოდან ჩამოსულ ორიოდე ამხანაგთან ერთად. უზომო იყო ჩვენი გაკვირვება და კიდევ უფრო უზომო იმ დედაკაცის, რომელიც ალმაცერად გამოიყურებოდა მსუქან ბარძაყებზე დაყრდნობილი და იტანჯებოდა ცნობის მოყვარეობით—რა გვაკვირვებდა ჩვენ?

მოსკოვში შეხვდებით რამოდენიმე მაღაზიას, მეტად ორიგინალურს და განვითარების თანამედროვე პერიოდის დამახასიათებელს. დიდი მაღაზია, შუაში შესავალი, მარჯვნივ და მარცხნივ—მეტად განიერი ვიტრინები. მარცხნივ ვიტრინაზე: რევოლიუციის ბელადების პორტრეტები— მხატვრულად შესრულებული. დროშების ნიმუშები, სახელმწიფო ღერბები, ავიაქიმის ზოგიერთი ნიმუში. ერთი სიტყვით, ყველაფერი რევოლიუციონური. მარჯვნივ.. ხატები, ჯვრები, ანაფორები, საცეცხლურები; ეკლესიის ბაირაღები; ვეებერთელა ემბაზი, ოქროს ყდაში ჩასმული სახარებები, აკლია მხოლოდ მღვდელი და ფოფოდია. მილიონი კაცი ჩაუვლის ამ მაღაზიას, რომელიც კრემლიდან მეოთხედ კილომეტრით თუ იქნება დაშორებული, ჩაუვლის და ყურადღებას, ინტერესის ჭვინჭაც კი არ რჩება აქ. ნამდვილად აქ მოუყრია თავი წინააღმდეგობის იმ მომენტებს, რომლებიც ჩვენს მშენებლობას, ახალი ცხოვრების შექმნას, გარდამავალ საფეხურს ახასიათებს. მართლაც, იშვიათი სურათია ეს, იშვიათი მაგალითი ორი ქვეყნის სიმბოლიურად დაპირისპირების...

მოსკოვის ეკლესია ახალ ცხოვრებას... მიყვება ფეხ და ფეხ. ეკლესია იცვლის კანს, ფერს —თანამედროვეების გამოყენების თვალსაზრისით. არის „ეკლესია ძველი", ტიხონის და ახალი—„ცოცხალი". მართალია, ორივე სცნობს საბჭოთა ხელისუფლებას—ბედნიერება თუ გნებავთ!—თუმცა პირველს ნაკლები სტაჟი აქვს ამ ცნობაში, — მეორეს — უფრო მეტი. „ცოცხალი ეკლესია" მდიდარია მრევლით. მორწმუნე ხალხსაც სწყურია ახალი რამ, ახალი ჰაერზე სუნთქვა. ვაი იმ ეკლესიას, რომელიც ანგარიშს არ გაუწევს ამ წყურვილს, გაკოტრდება ის. „ცოცხალი" ეკლესია ახდენს დიდ „რევოლიუციონურ რეფორმებს". მაგალითად, არც ისე იშვიათია მოსკოვის ეკლესიებში საკმევლის მაგიერ... ადეკალონი. „სუნი კარგი აქვს ორივეს. ადეკალონს კიდევ უკეთესი. გამოხვალ ეკლესიიდან, გაჟღენთილი ადეკალონით, გაერევი ხალხში სვერდლოვის მოედანზე და არავინ შეგამჩნევს, ეკლესიაში იყავი თუ საპარიკმახეროში", ალბად, ასე ფიქრობს—„ცოცხალი" ეკლესია და არც სცდება ის ანგარიშში: ადეკალონის უქონლობა ბევრს მიერეკება სულიერ საპყრობილეში.

საკმევლის ნაცვლად —ადეკალონი. განა არაა ეს ეკლესიის „გამოცოცხლება?".

ამბობენ—და მალე განხორციელდება ალბად,—რომ ეკლესია გადავა... ელექტროფიკაციაზეო. ნუ გაოცდებით, ესეც იქნება აუცილებლად „წმინდა სანთელის" ნაცვლად,—ვოლხოვსტროის, დნეპროსტროის და ზაჰესის ენერგია. განა არ იქნება ეს ეკლესიის „გამოცოცხლება"?. მოსკოვის სამღვდელოებამ ხომ სულ დაკარგა ივანე მრისხანეს დროის გარეგანი ფორმა და გამომეტყველება. მე ვნახე კაცი, რომელიც ინგლისელი ლორდი მეგონა, ნამდვილად კი—„სულის კაპიტონი" აღმოჩნდა. ცოლიანობა? რამდენიც გნებავთ. მღვდელს შეუძლია მეორე ცოლი შეირთოს, უფრო მეტიც. ხუთი ცოლი ერთად იყოლიოს, თუ გაუძლებს ამას ჯიბე და... ხალისი. მოსკოველ მღვდელი შაბათ საღამოს „ღვთისმშობლის" ლამაზ ლოცვებს ჰკითხის—შეიძლება არც ისე გულგრილად, როგორც გულუბრყვილო მორწმუნეს ეჩვენება. ხოლო კვირა საღამოს—დიდ თეატრში მიეშურება და ბალეტის პრიმადონების მოქნილ, საოცრად ჩამოსხმულ ფეხების მოძრაობას თვალს არ აშორებს. განა არ ეწოდება ამას ეკლესიის „გამოცოცხლება"?

„ცოცხალი ეკლესია" განა ამით კმაყოფილდება? გაიზარდა მორწმუნე მასის მოთხოვნილება. ახალმა დრომ ახალი საკითხები წამოაყენა, ახალი საჭიროება წარმოშვა. ავიღოთ, მაგალითად, **Комсомол.** ყველამ ვიცით ამ სიტყვის შინაარსი. „ცოცხალ ეკლესიას" ხომ უნდა ახალგაზრდა მორწმუნე—შემცვლელი თაობა. ახალგაზრდობა კი ამ „წყეულ კომსომოლში" მიდის, იქ ეწერება. რა ქნას ეკლესიამ? და აი „წყალობითა ღვთისათა" და—ნუ გავიკვირვებთ—საბჭოთა წყობილების აღიარების გავლენით,—ვითომც, ეკლესია ეძებს ახალ გაზრდობის მოწამვლის ახალ ფორმებს და საშუალებებს, აარსებს ორგანიზაციებს:

— **Церкомол!**
— **Богомол!**
— **Христомол!**

პირველი ორი—კომპარტიის მიბაძვაა, მესამე კომკავშირის (ლენინის მაგიერ—ქრისტე). და აი ამ „როლებში" ეწერებიან—ვისაც ამის სურვილი აქვს. განა კი ცოტაა ასეთი მოხალისენი? „ცოცხალი ეკლესია" ცოცხლად აკეთებს რეაქციის საქმეს. ის ცოცხალი მტერია რევოლიუციის,—უფრო საშიში მტერი, ვინემ ძველი, დახავსებული ეკლესია, რომელიც ბუნებრივად კვდება, ბერდება და შტაინახის მეთოდებს არ მიმართავს სრულებით. სამწუხაროდ რომ ყველა ამნაირად როდი ფიქრობს მოსკოვში...

ასეა საქმე მოსკოვში. რა იქნება გუბერნიებში, იოლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. მაგრამ რა საჭიროა „წარმოდგენა", განსახება! როცა ცხელი ფაქტები გვიმტვრევს ცხვირსა და პირს?

თერგის ოლქში „ცოცხალი" ეკლესია თურმე... გაკომუნისტდა. რა ქნას ეკლესიამ, დრონი მეფობენ და არა მეფენი. ხალხს უყვარს მაგალითად „ინტერნაციონალი". შრომისა და ბრძოლის ჰიმნია ის. მუსიკაც—გენიალური. „**Господи помилуй**" მობეზრდა ხალხს. ახალგაზრდა მორწმუნე მგალობელთა გუნდს ძალიან მოსწონს „ინტერნაციონალი" და ლამის კომსომოლში წავიდეს. ეკლესიამაც მიმართა ხერხს—საკურთხევლის წინაშე... „ინტერნაციონალი" აგუგუნა. მართალია, მოტივი სრულებით არ შეუცვლია, მაგრამ შინაარსი გადაკეთა, რასაკვირველია. და ზანზარებს საყდრის კედლებში უკვე საკმაოდ გაძლიერებულ გუნდის გუგუნით. (ხაზგასმული სიტყვები სამღვდელოების „პოეტების" შემოქმედებაა:

Вставай, грехом порабощенный,
Весь мир беспомощных рабов,
Иди на бой непримиримый,
И будь на жизнь и смерть готов.
Весь мир насилья мы разрушим
До основания ,а затем,
Любовь и правда воцарятся,
В сердцах не будет зла совсем..

ხუმრობათ ნუ მიიღებთ, ეს ფაქტია გაშიშვლებული. სამღვდელოებას რა ესმის ტერციების და მაჟორების, მან იცის, რომ ახალგაზრდები „**И новый мир мы построим—кто был ничем, тот станет всем**»-ის მაგიერ ყვირიან გამწარებით: „**Любовь и правда воцарятся, в сердцах не будет зла совсем**".

ეკლესიის დამპალ სხეულის ამ მეთოდით მკურნალობამ გამოიღო თავისი ნაყოფი. მაგალითად, კრასნოდარსკის სკოლების გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ მუშის შვილების 40.45 პროცენტი მოწამლულია რელიგიის ბაცილებით, განა ასეთი ფაქტი სხვა ქალაქებში არაა მოსალოდნელი?

ეს კიდევ არაფერი. ეკლესიას „კულტურული ფრონტი" აინტერესებს. რევოლიუციამ დაკეტა სასულიერო სასწავლებლები, აკადემიები. მაშ მღვდლები როგორღა უნდა გაჩნდენ? „განათლებული" სამღვდელოება ხომ დღესაა უფრო საჭირო, როცა რელიგიისა და სოციალიზმის პრობლემები სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებრძოლონ ერთმანეთს? მღვდელი, ისიც გაუნათლებელი, თეოლოგიის ელემენტარულ კურსის უცოდინარი და კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტი, — ბრძოლაა აშკარა უთანასწორო და საბედისწერო რელიგიისათვის. უმაღლესი სასულიერო განათლებაა საჭირო, ეკლესიაც მიმართავს ამ აუცილებელ საშუალებას. ამის მაგალითი, როგორც ვიცით, ჩვენ გადმოგვცა „**Правда**"-მ. სამიოდე კვირის წინეთ „**Правда**"-ში მეტად საყურადღებო წერილი დაიბეჭდა უკრაინიდან, სათაურით „**Живой враг**". ვინ არ წაიკითხავდა ამ წერილს, ვისაც სოციალიზმის და სარწმუნოების შორის გამართულ ბრძოლის მიმდინარეობა აინტერესებს, — თუნდაც მაინც ყოველ შემთხვევაში. მოსკოვი კი შეაძრწუნა ამ წერილმა. მისი სრულებით უცნობი ავტორი ვ. ერმილოვი ცნობილი გახდა მოსკოვის ანტირელიგიურ წრეებსა და საგანმანათლებლო ორგანიზაციებში. საქმე, მოკლედ, შემდეგ საყურადღებო ამბავს შეეხება.

„**Правда**"-ს კორესპონდენტმა, შემთხვევით, „კიევოპეჩერის" ტაძარში პატარა აბრა შეამჩნია, წარწერით: «**Украинска Висща Богословска школа**». კორესპონდენტი დაინტერესა ამ უცნაურმა წარწერამ და გააღრმავა მისი ცნობისმოყვარეობა. მეტად საკვირველი ფაქტი აღმოჩნდა: სკოლა კი არ ყოფილა ეს, მთელი „აკადემია". ცნობილი თეოლოგ-პროფესორები წვრთნიან თურმე „სტუდენტებს", რომლებიც იქვე სცხოვრობენ, პანსიონში, ასწავლიან მღვდელმსახურებას, კიდევ მეტი — ამზადებენ ღრმა და სერიოზულ დისპუტებისათვის. ამჟამად 20 ახალგაზრდა სტუდენტი ითვლება ამ „აკადემიაში". 20 აგიტატორი, პროპაგანდისტი, მაგრამ განა ამით ამოიწურება ამ „**Висша школа**"-ს მიზნები და ამოცანები? აქვე არის სოფლად „მომუშავე" „ღვდლების გადასამზადებელი „კურსები". ყოველი მღვდელი ვალდებულია მოისმინოს ეს კურსები, აღიჭურვოს სოციალიზმთან საბრძოლველ ფარ-მახვილით, გაამჯობესოს საბრძოლველი იარაღი—მიიღოს თეოლოგიური უმაღლესი განათლება. აუარებელი ფული იხარჯება ამ საქმისათვის. პროფესორები ხომ პროფესორულად სცხოვრობენ. კურსებს და სტუდენტებს ხომ უნდათ შენახვა. მაგრამ ფინანსების კრიზისი არ იცის ამ „სკოლამ". მორწმუნენი საკმაო დიდ თანხას იხდიან ამ „ერთად-ერთ უმაღლეს სკოლს" შესანახად.

შემაძრწუნებელი ფაქტია ეს და უნდა დავიჯეროთ. ეს ხდება კიევში, — იმ ქალაქში, სადაც სამოქალაქო ომის ცეცხლმა გამანადგურებელ გრიგალივით გადაიარა. ძველად ხომ კიევი ბუდე იყო რეაქციის, ჯოჯოხეთური რეაქციის, მეტად ღონიერი იყო კიევის სამღვდელოება. აქ შულიგინი თავის „**ДНИ**"-ს თითქმის ყოველ გვერდზე გაიძახის, რომ კიევი ეს დასაყრდენი იყო მონარქიის.. და აა ამ ქალაქში მაინც დარჩა ძველი პარაზიტები —საკმაოდ, როგორც ეტყობა. სამღვდელოება სცდილობს აქ გადაიტანოს სტრატეგიული ცენტრი კომუნიზმთან ბრძოლაში.

რელიგია შეტევაზე გადმოდის, საჭიროა მებრძოლ ძალების უფრო ჩქარი მობილიზაცია..

კიევის მაგალითი გამონაკლისი როდია. ეკლესია სხვაგანაც მიიწევს წინ, იდგამს ფეხს, სცდილობს წელში გამაგრებას. ადესის რაიონში, მაგალითად, ერთ სოფელს შეუგროვებია 100.000 მანეთი (ასი ათასი მანეთი) ტაძრის ასაგებად, მეორე სოფელს — 80.000 მან. და ამ სოფლებში, თურმე, სახელმწიფო დაზღვევის სალაროში ერთი გახვრეტილი გროშიც არ შეუტანიათ. ვერ ვუძლებთ გადასახადს ო, ამბობენ. აი რელიგიის გავლენის პრაქტიკული ნაყოფი.

უზბეკისტანში სამღვდელოება გაცხარებით იბრძვის ახალ ყოფა-ცხოვრების წინააღმდეგ. იბრძვის აშკარად. ლეგალურად. მთელი ენერგიით და შესაძლებლობით. უზბეკის მშრომელი ქალები იხდიან ჩადრს — მონობისა და ჩაგვრის მწარე სიმბოლოს. სამღვდელოება ვერ ითმენს ასეთ „უზნეობას" და ყოველგვარ ზომას მიმართავს, — მკვლელობასაც კი. სათანადო ანგარიშში ასეთ სტრიქონებს ვკითხულობთ: „1927 წლის გაზაფხულზე ტაშკენტში მოკლულ იქნა 14 ქალი ჩადრის მოხსნის ნიადაგზე"., განმარტება არ უნდა გულის . ამრევ ამ სამწუხარო ცნობას.

შეიძლება ვიფიქროთ, ჩამორჩენილი ნაციონალურ რესპუბლიკებში ასეა რა გაეწყობა ო. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ რელიგიის გამოლაშქრება მთელ ფრონტზე სწარმოებს ბრძოლის მთელ ასპარეზზე.

მე ვიყავი ლენინგრადში. მართალია, რამოდენიმე დღით, გავლით, — როგორც იტყვიან, აქაც ვიგრძენი რელიგიის „სამხედრო ოპერაციების", „სურნელება". სამღვდელოება აქ მართავს... ყრილობებს, კონფერენციებს, კრებებს, მართავს მთელი სიმწყობრით, გარეგნული ეფექტით. მორწმუნენი ამ ყრილობებს ისე ეგებებიან, როგორც ჩვენ ვეგებებით პარტიისა და საბჭოების ყრილობას, მოხსენებებს აკეთებენ, საკითხებს იხილავენ, რეზოლიუციებს ღებულობენ, ორგანოებს ირჩევენ — დემოკრატიულად, „სასულიერო დემოკრატიის" მიხედვით, რაც შეიძლება.

ცნობილი „ისაკის ტაძარი" დავათვალიერე. ნახევრად „გასაბჭოებულია" ეს ტაძარი, ნახევრად არა. გასაბჭოებულია ე. წ. „**Вышка**", ზედა ნაწილი, ფასიან ბილეთებით უშვებენ აქ მოქალაქეებს. ვინ იცის, რამდენია ამ ტაძრის სიმაღლე. ერთი კი ცხადია: ტაძრის წვერიდან ჩიტის ბუდესავით მოჩანან სახურავები, ტრამვაი და ავტობუსები კი ჭიანჭველებათ. გგონიათ, მთელ ევროპას ხედავთ. რაღაც ზღაპრულია ამ ტაძრის სიმაღლე. აქ არის საბჭოთა ხელისუფლება, ტაძრის ეს ზედა ნაწილი გასაბჭოებულია.

ქვედა? — აქ ძველებურადაა ყველაფერი. შესვლა უფასოა, ხატები „ძვირფასი სამკაულები", წირვა, ლოცვა, იერუსალიმიდან ჩამოტანილი ეკლიანი გვირგვინი, რომელიც ვითომც „ქრისტეს ეცვა თავზე ჯვარზე გაკვრის დროს იზიდავს მორწმუნეებს. და ხდება საკვირველი ამბავი: ეს ქვედა ნაწილი (მიწა) ეკუთვნის სამღვდელოებას. უფასოა შესვლაც. ხოლო ზედა (ზეცა) — ჩვენს შორის დარჩეს — ლენინგრადის სამუზეუმო კომიტეტს.. ექვსი შაურია ასვლაც. მიწა ეკლესიას, ზეცა სამუზეუმო კომიტეტს. არაა „უცნაური ამბავი"?

მაგრამ განა პირად შთაბეჭდილების გამო. საქვეყნებლად მოვიყვანე მე ეს ტაძარი? აქ საინტერესოა „პაწია" ამბავი, პატარა ფაქტი, რომელიც დიდ ამბებს ახასიათებს. ტაძრის შესავალ კარებთან სპეციალურ დაფაზე თვალი მოვკარ განცხადებას — უბრალოდ დაბეჭდილს, რემინგტონზე:

Делегаты от Исаакиевского собора на предстоящий Епархиальный с,езд 17-го июня с.-г.".

და ქვევით ჩამოთვლილია რიგრიგად ხუთი კაცის გვარი და სახელი. შემდეგ იქვეა მიწერილი: «**И кандидаты к ним**». ჩამოთვლილია სამი კანდიდატი. ჩამოვხიე ეს განცხადება და თან უნებლიეთ გავიფიქრე: ყველაფერი რიგზე არ არის დანიის სამეფოში, ლენინგრადელ ამხანაგებს ვაჩვენე ეს განცხადება, „დოკუმენტად" შევინახე.

კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, არაა საჭირო, განმეორება იქნება ერთი და იგივე შინაარსის. წვრილმანებიც უამრავია, საერთო მდგომარეობის დამახასიათებელი. ერთი სრულებით „პატიოსანი" ინტელიგენტი, — ინტელიგენტი დაიმახსოვრეთ — ქუდმოგლეჯით დარბოდა მოსკოვის მდინარეს ნაპირას და ყველას ეხვეწებოდა, პატარა ჯვარი დამრჩა ბანაობის დროს და ხომ არ გინახავთო. საწყალი „ნათლობის ჯვარი" დაეკარგა თურმე, რომელიც ბებიამ აჩუქა ბავშობის დროს და მის შემდეგ მუდამ ატარებდა პერანგ ქვეშ, — მარჯვენა მხრიდან მარცხენა გვერდზე მაგარ თასმით გადაჯვარედინებულს.. განა ეს წვრილმანი უმნიშვნელო რამეზე ლაპარაკობს? არა, აქ მოცემულია რელიგიასთან ბრძოლის მთელი სიძნელე. ამ „წვრილმანშია" ჩარჭობილი რელიგიის ფესვები, რომლის ამოგდება ადვილად თქმის, ძნელად ხერხდება.

ბურჟუაზიულ ამერიკაში დიდია რელიგიის გავლენა, დარვინის მიმდევარი ეკლესიის წყევლა-კრულვას იმსახურებს იქ. სასამართლოშიც ვარდება. ანდა რა გასაკვირია დარვინიზმის მომხრე მასწავლებლის გასამართლება?! მასწავლებელი ხომ ადამიანია მაინც. ამერიკაში-კი ასამართლებენ.. ძაღლებსაც. ამას წინეთ ერთი ძაღლი გაასამართლეს იქ, რომელმაც თურმე რამოდენიმე კაცი დაკბინა. ძაღლი არ აღმოჩნდა ცოფიანი, ექსპერტიზამ დაადასტურა ეს, მაგრამ საწყალს, პროკურორის გახურებულ სიტყვის შემდეგ, მიუსაჯეს.. დახვრეტა. ასეთ ქვეყანაში, სადაც ფართოდ სწარმოებს ბურჟუაზიულ საფუძვლების ლპობის პროცესი, არაფერია გასაკვირი და მოულოდნელი.

ჩვენში, საბჭოთა კავშირში, მოსკოვსა და ლენინგრადში? მეტად მძიმე და გახრწნილი მემკვიდრეობა გადმოგვცა რომანოვების 300 წ. მთავრობამ — რელიგია, მეფის რეჟიმი ხალხის გაუნათლებლობასა და ეკლესიებს ემყარებოდა. რომანოვების დინასტია ეს სასულიერო დინასტია იყო არსებითად — რელიგიის ექსტაზით გატაცებული, რომელიც რასპუტინი „წმინდანობამდე" დაეშვა უკანასკნელ დღეებში. მილიარდები იხარჯებოდა რელიგიურ საქმეებზე. ისაკის ტაძარი, 80 წლის წინედ, 50 მილიონი დაჯდა მუშა ხელის ღირებულების გამოკლებით.

სასულიერო სამრევლო სკოლებით დაქსელილი იყო ვეებერთელა რუსეთი, თითოეულ ახალ ეკლესიის აგებას ნიკოლოზი განსაკუთრებული აღფრთოვანებით ეგებებოდა. მოწლვავებულ სიხარულის გამოხატველად მას მხოლოდ ერთი ფრაზა გააჩნდა;

Знаменательное явление благодати Божьей».

ახლა იფიქრეთ, როგორ გინდათ აღმოფხვრას რევოლიუციამ რამოდენიმე წლის — და ისიც პირველ წლების — განმავლობაში ის, რაც ყოველდღიურად, მთელი ძალ-ღონით და საშუალებით კეთდებოდა, ყალიბდებოდა, მიწაში ფესვებს ღრმად უშვებდა სამი საუკუნეს (განა მარტო სამის?), მანძილზე..

რელიგიასთან ბრძოლის მხრივ — ტრაბახობათ ნუ ჩამომართმევთ — ჩვენში, საქართველოში, გაცილებით უკეთესად არის საქმე. ამას წინედ მივიღე „ახალი სოფელი". ამ გაზეთის ყოველ ნომერში, მეშვიდე გვერდზე, კუთხეში, თქვენ წაიკითხავთ აუარებელ სოფლის საზოგადო ყრილობათა ერთსულოვან დადგენილებას: „ქალი და კაცი, ახალგაზრდა და ხნიერი ერთხმად ვადგენთ, არ ვიდღესასწაულოთ არც ერთი საეკლესიო დღეობა და ვსთხოვთ ნაცნობ - ნათესავებს სტუმრობით ნუღარ შეგვაწუხებენ". ზოგიერთ მუშაკებს გადავუთარგმნე ერთი ასეთი, განცხადება და არ დაიჯერეს.

მოსკოვი უკვე გადავიდა შეტევაზე რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბრძოლა სწარმოებდა დღემდე, რასაკვირველია, მაგრამ ბრძოლის ტემპი უნდა გაათკეცდეს, დაჩქარდეს, ამას მოითხოვს კულტურული რევოლიუცია.

ამჟამად მოსკოვში გაუგონარი ამბავი ხდება — აქა-იქ ანგრევენ ეკლესიებს, დიახ, ანგრევენ სულიერ მონობას ამ ციხე-სიმაგრეებს. წითელ მოედანზე დასავლეთით, ცას მიბჯენილი ერთი საყდარი საცოდავად წამოაჩოქეს. უფრო დიდი ეკლესია დაანგრიეს. ე. წ. „წითელ კარებთან". ნახევრად დაანგრიეს უკვე ძველთა-ძველი ეკლესია მიასნიცკაიას ქუჩაზე. კიდევ ბევრია ამის მაგალითები.

ეკლესიებს ანგრევენ. ეს ორი სიტყვა მეტის-მეტად დაკუმშული ფორმულაა დიდი შინაარსის გამომხატველი: მოსკოვი მთელი რუსეთი გადავიდა საფუძვლიანად და სერიოზულად, რელიგიის წინააღმდეგ თავდასხმაზე, მთელი თავისი გამბედაობით და პროლეტარული ნებით. ინგრევა ეკლესიები. ღრუბლებამდე ასვეტილი ოქროსფერი გუმბათი იბეჟება კილოგრამიან ჩაქუჩებით, რომელსაც მოსკოვის პროლეტარების კუნთებით ქვეულ ნაგარი მკლავები ვაჟკაცურათ იქნევენ უსაზღვრო სივრცეში. უცნაური თეთრი-მტვერი და ფერფლი ათეთრებს ეკლესიის გალავანთან ატუზულ სასოწარკვეთილ მორწმუნეს, რომელსაც არ სჯერა საკუთარი თვალების და ფიქრობს, ეს მტერი ზეციდან მოდის. სარწმუნოების მტრების ამოსაწყლეტად. აბურძგნული მორწმუნე, სასოებით შეჰყურებს უძველეს ეკლესიას, გულდაწყვეტით უსმენს გუმბათის ძვირფას სახურავის კვილს და ფეხს ვერ იცვლის, სანამ ჰაეროვან მტვერის ნაცვლად ქვისა და კირის ნატეხები არ მოაგონებს ძველი ცხოვრების დასაყრდენის, მუდმივ თანამგზავრის — ეკლესიის ტრაგიკულ სიკვდილს..

დიახ, პროლეტარული მოსკოვი, — მთელი სოციალისტური რუსეთი, გადავიდა რელიგიასთან აშკარა, ხელჩართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაზე.

და გაიმარჯვებს კიდეც, — გაიმარჯვებს უეჭველად და უსათუოდ.

გ. მუშიშვილი.

---

*) დასასრული, იხ. „კომუნისტი" № 168.

ქრონიკა

ამხ. გ. ყურულაშვილის და ჭიჭინაძის გამგზავრება

ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე ამხ. გ. ყურულაშვილი და ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის მოადგილე ინჟ. ბ. ჭიჭინაძე გაემგზავრენ დასავლეთ საქართველოში ახალ საალმშენებლო საშუალებათა დასათვალიერებლათ.

პროფ. ფლოროვის მოწვევა

წყალთა მეურნეობის სამმართველომ იმის გამოსარკვევათ, თუ რა ტექნიკურ მცენარეების გაშენება შეიძლება ფოთის ჭაობიან მიდამოებში, მათი ამოშრობის შემდეგ, მოიწვია პროფ. ფლოროვი, რომელიც თბილისში ჩამოვა ამ დღეებში.

პროვინციიდან ჩამოსულ ავადმყოფთა საყურადღებოთ

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი პროვინციიდან ჩამოსულ დაზღვეულ ავათმყოფთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ 1-ლი აგვისტოდან თბილისში ჩამოსულ ავათმყოფთა განმანაწილებელი პუნქტი გადადის კამოს ქ. № 47 (ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის ყოფ. შენობა).

ჩამოსულმა დაზღვეულმა ავათმყოფებმა ყოველგვარი ცნობების მისაღებათ უნდა მიმართონ აღნიშნული მისამართით.

ბრძოლა მავნებლებთან

სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ქიმიური საშუალებებით ბრძოლის გაძლიერების მიზნით მიწსახკომმა გადასწყვიტა თავდაცვა-ავიაქიმის საზ-გასთან შეთანხმებით გამოსცეს სპეციალური პლაკატები, რომლებზედაც ნაჩვენები იქნება თუ როგორ უნდა სწარმოებდეს ბრძოლა ვენახის, ბაღების და ხეხილის მავნებლებთან.

ტექნიკოსთა კურსები

მიმდინარე წელში რკ. გზ. ტექნიკოსთა ვადასამზადებელ კურსებზე მიღებული იქნება 64 კაცი.

თბილისის აღმასკომში

◆ ახალ წარმოებების მოსაწყობათ ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებას გადაეცა 700.000 მანეთი.

◆ ტრამვაის ხაზი გვირაბამდე. ტრამვაის დირექციას გადაწყვეტილი აქვს გაიყვანოს ტრამვაის ახალი ხაზი ბოტანიკურ ბაღის გვირაბამდე.

პროფკავშირებში

◆ ფეიქართა ყრილობა. 15 სექტემბერს შესდგება ფეიქართა კავშირის ყრილობა.

◆ უმუშევართა კვალიფიკაციის ასაწევათ საბჭოთა მუშაკების კავშირმა გადასწყვიტა გახსნას რამდენიმე სპეციალური კურსები.

სხვადასხვა

◆ ახალი წიგნები. სახელმწიფო უნ. პოლიტექნ. ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ტექნიკური წრე ახლო ხანში გამოსცემს შემდეგ წიგნებს: 1) „ტექნიკური პირობითი ნიშნების და კალიგრაფიის ნიმუშების ალბომი“ პროფ. ა. ბენაშვილის რედაქტორობით, 2) დოც. ინჟ. ა. დიასამიძის „მანქანათა ნაწილების კურსი“, 3) ლექ. ინჟ. ჭრელაშვილის „ღრმა ბურღვა და ნავთის ექსპლოატაცია“.

◆ ჩაუბარებელი დეპეშები. ბახმაროდან —გეგენავას, იქიდანვე—ელიაშვილს, მახაჩკალიდან — ბაქრაძეს, სოხუმიდან — ქოიავას, ჩოხატაურიდან — ზამბახიძეს, სიმფეროპოლიდან—დოლიძეს.

ვის ჩამოერთმევა სახლები

გალინა ამაღლობელს (კლარა ცეტკინის ქ. № 155), ოდანეს თანდოიანცს (ავლიევის შესახვ. № 14), დიმიტრი და დავით ჯმუხაძეებს (ავლიევის შესახვ. № 12), ისაკ ციცუაშვილს (საზოგადოების ქ. № 7-ა), ჟორდანიას და ცაგოკიანს (მეტეხის აღმართი № 14), დ. ნიკოლაიშვილს (ჩახრუხაძის ქ. № 15—14), რ. მირიანაშვილს (ჩახრუხაძის ქ. № 14), აქვსენტი ჯანგველაძეს (ჩახრუხაძის ქ. № 19—20), ტ. ავეტისიანცს (წერეთლის ქ. № 8—10), ეკ. ივანოვს (მარტყოფის ქ. № 23), ე. სარფაკოვს (მარტყოფის შესახ. № 20), ოვ. ბრატანიანცს (ასკანის ქ. № 7—11), დავით ტუტუნჯიანცს (ასკანის 1, ჩიხი № 8), გრიგოლ დუგაშვილს (გრუზინსკის ქ. № 31), ესიტოვს (ნატახტარის შესახვ. № 7), ალექსანდრე ჯაშიტოვს (აზიზბეკოვის აღმართი № 8—7), დარია რუბცოვას (ორჯონიკიძის ჩიხი № 107—2), ს. ა. ოტტოს (კლარა ცეტკინის ქ. № 159), ნადეჟდა მურავიოვას და შანტგაის (ორჯონიკიძის ქ. № 109—19), მარტინ გეურქოვს (ფოთის ქ. ბათომის შესახ. № 8—13), ალექსანდრე ანდრეევს (ბორჯომის ქ. № 16), მიხეილ ანტონოვს (კოოპერაციის ქ. № 14), ჩიქოვანს და ნაროკიძეს (ევდოშვილის ქ. № 2), ბოლქვაძეს შანიძეს და კობიძეს (საგურამოს ქ. № 20), გუკას გუკასოვს (კოოპერაციის ქ. № 12), მაქსიმე და ეფროსინე ლუკუშებს (საგურამოს ქ. № 19) ლაქტიონოვს და ვიდუროვს (გორის № 25), ჯაფარიძეს და ზაკრუევსკის (ბორჯომის ქ. № 9), გენრიხ გილბერს (კლარა ცეტკინის ქ. № 194), დარჩო ღარიბოვს (გორის ქ. № 32), ბაკურაძეს და ჭიჭინაძეს (კლარა ცეტკინის ქ. № 230), ფიცხელაურებს (ბორჯომის ქ. № 12), კონსტანტინე ჩირგაძეს (ბორჯომის ქ. № 8), მ. ცერცვაძეს (ბორჯომის ქ. № 11).

ხელოვნება

პრ. მ. თოიძის სტუდიის სურათების გამოფენა

ექვსი წელიწადია, რაც ეს სტუდია არსებობს. ამ ხნის განმავლობაში მის ყოველ-წლიურ გამოფენებს მუდამ ახასიათებდა სურათების არაჩვეულებრივი სიმრავლე. ამ გამოფენის დამახასიათებელი თვისებაც ეს არის. პროფკავშირების სასახლის ერთი დარბაზის ოთხივე კედელი მთლიანად დაფარულია ნამუშევრებით. თუმცა ამ ნამუშევრებში არ არის არც ერთი დამთავრებული სურათი, ე. ი. ისეთი სურათი, რომელიც ფერების სიმფონიით, სახეების მტკიცე კონსტრუქციით და ცოცხალი, თანდროული სიუჟეტებით იზიდავდეს მაყურებელს, მაგრამ ეს გამოფენა წინანდელებთან შედარებით მაინც უფრო ნაყოფიერია როგორც ტექნიკური დამუშავებით, აგრეთვე სიუჟეტური მიდგომითაც.

ნამუშევრებში არ სჩანს ის ძირითადი გეზი, რაც საფუძვლად უნდა ედოს ყოველ სტუდიურ მუშაობას. ამ ნაკლს ალბად თვით ხელმძღვანელიც გრძნობდა, რომ გამოფენისათვის სპეციალურად გამოუცია ალბომი—დეკლარაცია.

ამ დეკლარაციის განხილვა ჩვენ მიზანს არ შეადგენს, მით უფრო, რომ მას აქვს საპოლემიკო ხასიათი და მის ზოგად სიტყვებში ჩამოყალიბებული მხატვრული გეზი არ მოჩანს. შევეხებით მხოლოდ დეკლარაციის ერთ პუნქტს; იქ სწერია: ა„ხალი ფართო აუდიტორიის შექმნისათვის საჭიროა მხატვრობას უკომპრომისო ლიკვიდაცია ძველი კლასიკების ჩვენებით და თანდათან მიზიდვა საინტერესო თემებით და შინაარსით“.

ახალი აუდიტორიის საკითხი ძალიან მტკივნეულია ჩვენი დროისათვის მაგრამ ერთი ცხადია—ახალი აუდიტორია არ შეიქმნება „ძველი კლასიკების ჩვენებით ან საინტერესო (?) თემების მიზიდვით“. ახალ აუდიტორიას ქმნის ახალი ადამიანი. ამ ახალი ადამიანის საზომით რომ უდგებით გამოფენას, იქ ძალიან ნაკლებად ვხედავთ ჩვენთვის მიმზიდველ და საინტერესო თემებს.

სურათების უმრავლესობა ეტნოგრაფიულ და რომანიულ თემებზეა აგებული. მოწაფეების ყურადღების ცენტრში ისევ „დღეობა“. „ცეკვა“, „ქალის გატაცება“, „ჯვარის წერა“, „ქართველი ქალი“. „თამარის ლაშქარი“ და ამ გვარი სიუჟეტები.

არის აგრეთვე რამოდენიმე პანო „თანამედროვე“ თემებზედაც (უმთავრესად წების ფერებით), მაგრამ ისინი პლაკატურია, ნაკლებ მხატვრული და, რაც მთავარია, მათი სიუჟეტის ტენდენციურობა გვაგონებს 1921 წლის ცუდათ მოფიქრებულ აგიტ პლაკატებს. სრულიად გაუმართლებელია ბიბლიური რეპროდუქციებიდან გადმოხატული სურათი ხუცაძისა ასეთი წარწერით: „ქალაქიდან დაბრუნებული გლეხის ქალი ლენინის პორტრეტით ხელში“. ამ ქალს თუ ჩამოვართმევთ პაკროსკოპიულ პორტრეტს, შეგვრჩება ვიწრე „რებეკა“ მარიამ მაგდალინელი, ან და მისი დობილი.

ზეთის ფერებით ნახატი დიდი ტილო გოგოლაშვილისა: „წითელი არმიის შემოსვლა თბილისში“ თითქოს ისტორიულ დოკუმენტს უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ ასეთი „შემოსვლა“ მოკლებულია სინამდვილეს და წითელი არმიის მნიშვნელობის დედა-აზრის გაგებას. ასეთი თემების გარედ გამოსატანად არ კმარა მარტო ტექნიკური ხელმძღვანელობა.

წმინდა მხატვრული გაგებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს უკანასკნელ კლასის ნამუშევრები. თუმცა ზოგიერთი ამ ნამუშევრების ფერადობა და კომპოზიცია ერთგვარ ეკლესიურ მხატვრობის შთაბეჭდილებას ქმნის, მაგრამ უტყუარი მხატვრებიც მოსჩანან.

აღსანიშნავია სტამბის მუშის **ოქროპირიძის** „ფუნიკულიორი“, ეს სურათი ხედვის სიახლით, კომპოზიციით და ფერების ზუსტი შეხამებით ფრთხიმნიშვნელისებური უბრალოებით ეტყველებს. კარგად არის გაკეთებული მისივე „დაბახანა“.

ძალიან თავისებურია **მხ. გვანცალაძე**. არც ერთი ბჟუტიანი ფერი, არც ერთი დეტალი მის სურათებში არ არის. აშლილი მღვრია ფეროებით და მოძრაობაში დაჭერილ საგნებით ის მხატვრობიდან ნატურასთან მიდის. მისი სურათები არსებობის „ყოველ-დღიურობაა“—რუხი, მძიმე და ნელი. მის სურათებს არ ახასიათებს „სავარეოდ“ გამოწყობა. სურათი ქმნის ცხოვრებას, და არა წინააღმდეგ, რაც მხატვრობის ნამდვილ მიზნად უნდა ჩაითვალოს.

კარგია **იმითხანოვის** „პროვინციის კუთხე“. **ერისთავის** რამოდენიმე აკვარელი, **მოსეხოვის** და **ჟამიერაშვილის** ზოგიერთი ზეთის ფერებით ნახატი და **მაისაშვილის** პანო. სიუჟეტური სიახლით საყურადღებოა სურათი: „ციხიდან გაპარვა“. აგრეთვე მნიშვნელოვნად არის შესრულებული ნატურის კლასის ვარჯიშობა დასასრულ, ძალიან დიდებით მხარეებთან ერთად მხატვრული კულტურის განვითარების საქმეში, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი ამ სტუდიის მუშაობაში. როგორც სჩანს, სტუდიის ყურადღება მთლიანად მიპყრობილია ფერადი წერის კულტურაზე, „კლასიციზმზე“ გეზის აღებით, და ყოველდღიური მხატვრული ცოდნის შეთვისება გამორჩენილია. დღევანდელ მხატვრისათვის და ჩვენი სინამდვილისათვის ბევრად უფრო საჭიროა ფერების ნივთობრივი დამუშავება, ხაზის და განზომილების ბუნების შესწავლა, საჭირო ნივთების კონსტრუქციის მონახვა და, ბოლოს, მხატვრული აპარატების გაცნობა და გამოყენება. ამისათვის კი საჭიროა რაც შეიძლება ნაკლები ფიქრი „გენიოსობაზე“, „რჩეულობაზე“ და რაც შეიძლება მეტი ხელმძღვანელობა ცხოვრებაში გამოსადეგ პრაქტიკის ოსტატების მოსამზადებლად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ მხატვრობას ასეთი გაგება დაიჭერს ერთ-ერთ ძირითად ადგილს სტუდიურ მუშაობაში, მაშინ დაუშრეტელი ენერგია პროფ. მ. თოიძისა უფრო მეტ გამოხმაურებას ჰპოვებს როგორც საბჭოთა საზოგადოებაში, ისე სათანადო სამხატვრო ორგანოებში.

ბ. ბ.

◆ თვითმშრომელთა კლუბში დღეს გაიმართება მიხ. კავსაძის მომღერალთა გუნდის კონცერტი.

◆ მუშათა კლუბებში ამ დღეებში გაიმართება აკადემიურ გუნდის კონცერტები კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით.

◆ მუშათა ახალ კლუბში პროლეტარული სათეატრო სახელოსნო დღეს გამართავს საესტრადო საღამოს.

შემთხვევები

უბედური შემთხვევა რესპუბლიკის საავადმყოფოს შენობაში

დაიღუპა ორი მუშა

გუშინ, ნაშუადღევს, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს (პლეხანოვის პროსპ.), შენობაში ადგილი ჰქონდა შემდეგ უბედურ შემთხვევას.

მუშა **ფილიპე ანდრიასძე ვარლამოვი (17 წლისა) და პავლე თედორესძე ხარიტონოვი (20 წლისა)** აწარმოებდნენ ერთ-ერთ ოთახის გასუფთავებას.

ვარლამოვი ჩავიდა ორთქლის ქვაბში, რომ გაეწმინდა ის, თან ჩაიტანა ელექტრონის ლამპა, მიბმული ზონარზე, რომელიც ერთ ალაგას დაზიანებული იყო.

როდესაც დაზიანებული ზონარი შემთხვევით შეეხო ქვაბის ლითონის კედელს, ქვაბში გაჰქრა მძლავრმა ელექტრონმა. ელექტრონის ძალა აქეთ-იქით ახეთქებდა ვარლამოვს. მაშინ მან გასტეხა ელექტრონის ლამპა, მაგრამ ამით საქმეს ვერ უშველა.

ამ ამბავს თვალი მოჰკრა ხარიტონოვმა, რომელმაც ხელები გადაჰყო ქვაბში ამხანაგის ამოსაყვანად. ამ ზომამ არ გასჭრა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ვიღაცას წინადადებით გადასჭრეს ზონარი და ამოიყვანეს ქვაბიდან ვარლამოვი. იგი უგრძნობო მდგომარეობაში მოათავსეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

პროფ. **მუხაძემ** სცადა ხელოვნური სუნთქვით გაეხანგრძლივებია ვარლამოვისათვის სიცოცხლე, მაგრამ ამაოდ. რამოდენიმე წუთის შემდეგ ვარლამოვი გარდაიცვალა.

ხარიტონოვიც ისე „დატენილი“ აღმოჩნდა ელექტრონით, რომ არავის ახლო მისვლა არ შეეძლო. საჭირო შეიქნა მისი „დაცლა“ ელექტრობიდან.

ხარიტონოვი სასწრაფოდ გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში. მისი გადარჩენა საეჭვოა.

შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ: გამომძიებელი ამხ. **თულაშვილი**, სასამართლო ექიმი **მათიაშვილი**, და სახალხო სამართლის მილიციის ინსპექტორი ამხ. **ცხადაია**.

შესდგა სპეციალისტთა კომისია უბედური შემთხვევის მიზეზების დაწვრილებით გამოსარკვევად.

დახრჩობა

ორშაბათს, 23 ივლისს, დღისით ამხ. ს. ორჯონიკიძის კიობთან მტკვარში ბანაობის დროს დაიხრჩო უცნობი კაცი.

მტკვრის პირას იპოვნეს მაჯის საათი, ერთი ტყავის საფულე, შავი შარვალი, შავი ხალათი, ქამარი, თეთრეული, უბრალო ტუფლები, ორი ცხვირსახოცი და ერთი წიგნი.

ვერისხიდის მახლობლად — ბორანთან მტკვარში ბანაობის დროს დაიხრჩო წითელარმიელი—იმაიმ ჯამა-ოღლი.

ორი დამხრჩვალი კაცის გვამის პოვნა

სადგურ ველის მახლობლად, ნავთლუღის ქვევით, მტკვრის პირას, იპოვნეს ორი დამხრჩვალი მამაკაცის გვამი, რომელთა ვინაობა გამოურკვეველია.

საექიმო შემოწმებით გვამს ძალადატანებითი სიკვდილის ნიშნები არ ეტყობა.

უბედური შემთხვევა

კვირას, 22 ივლისს, ღამით კომუნალურ ქუჩაზე მიმავალ ტრამვაის ვაგონის (მარშრუტი № 6) კონდუქტორმა პროკოფი ენუქიძემ, უცაბედათ ფეხი მოახვედრა გზაზე გაჩერებულ ფურგონს და მსუბუქად დაშავდა. ენუქიძეს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება. ფურგონის პატრონი იოსებ აბესაძე დაპატიმრებულია.

სახლის დანგრევა

გუშინ, ღამით, მაიდანის შესახ. № 8, დაინგრა სამსართულიანი სახლი, ჩამოინგრა 17 ოთახი. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

სასამართლო

ტყის მცველი — მძარცველი

სიკო ალექსანდრეს ძე როსტომაშვილი ტყის მცველად იყო კახეთის ძველი სადგურის მახლობლად მდებარე სატყეო აგარაკში. ტყის მცველი, როგორც ამას თანამდებობის სახელწოდება გვიჩვენებს, ტყეს უნდა იცავდეს განადგურებისაგან. პირველ ხანებში როსტომაშვილი დიდ სიმკაცრეს იჩენდა გლეხების მიმართ.

მაგრამ გასული წლის დეკემბერში როსტომაშვილში დიდი ცვლილებები მოხდა. ტყის დაცვის საქმეს ის უკვე ყურადღებას არ აქცევდა.

მეურმე გლეხები ძალიან ჩააფიქრა ერთმა გარემოებამ. გახშირდა თავდასხმა ჰაეროდრომსა და „პავლიას გორას“ შუა თბილისიდან დაბრუნებულ მეურმეებზე. ერთი კვირის განმავლობაში გაძარცვეს 18 მეურმე. წაართვეს რაც კი რამ გააჩნდათ.

— გადაჭრით შემიძლია ვსთქვა, რომ ერთ-ერთი თავდამსხმელი როსტომაშვილი იყო. აი იქ მოშორებით, რომ იდგა ვინტოვკით და ხანჯლით ხელში. ძალიან გვარიდებდა პირს, მაგრამ მე მაინც შევხედე სახეზე. ხმა ხომ სულ სიკოსი იყო.

— მართალი ხარ, იცი! ეხლა რომ ვიგონებ, მართლაც როსტომაშვილი უნდა ყოფილიყო.

ასე ლაპარაკობდნენ გზაში გაძარცული მეურმეები და ნაღვლიანად ერთმანეთს აჩერდებოდნენ.

გათენდა მეორე დღე. გლეხი ლუკა ბილანაშვილი თბილისიდან სახლში ბრუნდებოდა. ჰაეროდრომსა და „პავლიას გორას“ შუა მას თავს დაესხენ ბოროტმოქმედნი და სიკვდილის მუქარით წაართვეს ფართალი და სხვა საქონელი. თავდამსხმელებს ბილანაშვილისთვის გადაეგდოთ ორი ცალიერი საფულე. ეს საფულეები მხოლოდ სახლში გახსნა ბილანაშვილმა.

სხვათა შორის მანაც როსტომაშვილს ამსგავსა ერთ-ერთი თავდამსხმელთაგანი.

საქმე იმაშია, რომ როსტომაშვილს შეცდომით თავისი ცალიერი საფულე გადაუგდია ბილანაშვილისათვის. საფულეში აღმოჩნდა ორი შავი ფოლაქი, რომელიც ფერითაც და ზომითაც წააგავდა როსტომაშვილის პალტოს ფოლაქებს. როსტომაშვილს კი სწორედ ორი ასეთი ფოლაქი აკლდა პალტოზე.

ტყის მცველი როსტომაშვილი დააპატიმრეს.

მისი საქმე გუშინ გაირჩა თბილისის სამაზრო სასამართლოში ამხ. რ. კალანდაძის თავმჯდომარეობით.

სასამართლოში გლეხებმა გამოიცნეს როსტომაშვილი. შავმა ფოლაქებმაც დიდი როლი ითამაშეს ბრალდების დადასტურებაში.

სასამართლომ როსტომაშვილი დამნაშავედ სცნო წარდგენილ ბრალდებაში და მიუსაჯა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით და ხუთი წლით უფლებების შეზღუდვა.

ალიმენტი

— გასული წლის მაისში გავცარდით მმარში მე და ჩემი [illegible] ლევშინი.

სამ-ოთხ თვეს თანხმობით ვცხოვრობდით. შემდეგ ამითვალწუნა, დამიწყო ლანძღვა-გინება. „საჭირო აღარ ხარ, მიბრძანდიო“, —მეუბნებოდა.

ერთ დღეს გამომაგდო ოთახიდან და მითხრა: აღარ დაბრუნდეო. სად უნდა წავსულიყავი უქმრისუფლო ქალი, — მოუთხრობს სასამართლოს ლევშინის ყოფილი ცოლი, რომელსაც ხელში უჭირავს პაწია ბავშვი.

— მე მასთან ცხოვრება არ მინდა, მხოლოდ ვითხოვ ამ ბავშვის გამოსაზრდელად სარჩო დააკისროთ ლევშინს, — მისუსტებული ხმით ლაპარაკობს ქალი.

— ეს ბავშვი ჩემი არ არის. ისეთი „დურაკი“ არა ვარ, რომ სხვისი შვილი ვარჩინო,— ლაპარაკობს რიხიანად ქმარი.

სასამართლო გადის განაჩენის გამოსატანათ

„ლევშინს პატარა ბავშვის ასაზრდელად გადახდეს ყოველთვიურად ჯამაგირის ერთი მესამედი, მასვე დაეკისროს სასამართლოს ხარჯები“, — გამოცხადდა განაჩენი.

ლევშინმა ჩაიქნია ხელი და აღელვებული გავარდა სასამართლოს დარბაზიდან.

მიკიტან-ექსპლოატატორების გასამართლება

მიკიტნები—ზოდიკო გრძელიძე, ნიკოლოზ გიკაშვილი და არსენ ასიტოვი ხარჯების შემცირების მომხრე არიან, მხოლოდ მუშების ხარჯზე.

გრძელიძეს და მის კომპანიას არაფრად მიაჩნია, არც კოლექტიური ხელშეკრულება, არც კავშირი და არც ადგილკომი. რომ ეს ასეა, სჩანს შემდეგიდან: გრძელიძეს და მის კომპანიას რესტორანი „თელავი“ ჰქონდა ლენინის ქუჩაზე. ოფიციანტებათ მსახურობდნენ: სიმონ მაჩაიძე, ჩალაძე და ჩლაიძე (სახალხო კვების კავშირის წევრები).

რესტორანის მეპატრონეები მათ არ აძლევდნენ არც სპეცტანისამოს, არც შვებულებას და არც შრომის ხელფასს, ტერორის ქვეშ ჰყავდათ მოსამსახურეები და სამსახურიდან დათხოვნით ემუქრებოდნენ, როცა უკანასკნელნი რაიმე მოთხოვნილებას წარუდგენდნენ.

შრომის სასამართლომ ამხ. ი. გაბუნიას თავმჯდომარეობით გრძელიძეს მიუსაჯა 6 თვის ციხე. დანარჩენ ბრალდებულებს კი თითო თვით დაპატიმრება.

სასამართლომ გრძელიძისა და მის კომპანიას დააკისრა 3.027 მანეთის გადახდა მოსამსახურეთა სასარგებლოდ.

თ.

ბიბლიოგრაფია

მიხა კახიანი.

ჩვენი ნაკლოვანებანი და საქართველოს კომპარტიის ამოცანები

სახელგამი—1928 წ.

ამხ. მ. კახიანის წიგნში განხილულია ჩვენი პოლიტიკური, ეკონომიური და იდეოლოგიური მუშაობის მთავარი დარგები და შეეხება მთელ იმ პერიოდს, რომელმაც განვლო საქ. კომპარტიის (ბ) მეხუთე ყრილობის შემდეგ. პირველ რიგში ავტორი ჩერდება იმ ნაკლოვანებებზე, რომელსაც ადგილი აქვს მრეწველობაში.

ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია უგეგმო მუშაობის ის ფაქტები, რომელიც ადუნებს მრეწველობის განვითარების ტემპს და უდიდეს ზარალს აყენებს სახელმწიფოს. დღეს ყველასათვის ცხადი უნდა გახდეს, ის უდაო ჭეშმარიტება, რომ გარეშე გეგმიან მუშაობისა და მეურნეობის რაციონალური მართვის, შეუძლებელია სოციალისტური მშენებლობა, წარმოების განვითარება და საერთოდ—პროლეტარიატის ეკონომიური პოზიციების განმტკიცება. გეგმიანობის პრინციპის სავსებით გატარება, აი რა უნდა იქნეს მტკიცედ დაცული სამეურნეო საქმიანობაში.

შემდეგ, ამხ. კახიანი ეხება სპეცების საკითხს. ჩვენი მეურნეობის განვითარებისათვის, სპეციალისტთა ახალი კადრების გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჯერ კიდევ არსებობენ ისეთი ტიპის სპეციალისტები, რომლებიც მტრულად არიან განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. ისინი ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ, რომ ხელი შეუშალონ მუშათა კლასს სოციალისტურ მშენებლობის საქმეში.

შახტის ამბები მაჩვენებელია იმისა, რომ კლასობრივი მტერი საერთაშორისო ბურჟუაზიის დახმარებით, ცდილობდა გადაეჭრა ჩვენი მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი ძარღვი —დონბასი.

როგორც გამოირკვა, ასეთი ტიპის სპეციალისტები ტყიბულის მაღაროებშიდაც მუშაობდნენ.

რა თქმა უნდა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ გვყავდეს ისეთი სპეცები, რომლებიც კეთილსინდისიერათ არ ასრულებდენ თავის მოვალეობებს. ასეთი სპეცები ჩვენთან მუშაობენ და მათ საბჭოთა ხელისუფლება აფასებს. ამხ. კახიანი სავსებით სამართლიანად შენიშნავს, რომ საჭიროა ვიზრუნოთ სპეციალისტთა ახალი კადრების შექმნაზე.

იხილავს რა ვრცლად პროფმუშაობის ნაკლოვანებებს, მასიური მუშაობის საკითხებს და სხვა, ამხ. კახიანი გადადის სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საკითხებზე. სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის ერთ-ერთ მთავარ საშუალებას წარმოადგენს კოლმეურნეობათა მშენებლობა, რომელშიდაც ფართოდ უნდა იქნეს ჩაბმული ღარიბი და საშუალო გლეხობა. მეურნეობის კოლექტიურ ფორმებზე გადასვლა, შეუძლებელია ბრძანებით, დაკვრითი წესით. ეს გადასვლა უნდა შეეხოს არა მარტო გლეხობის ცალკე მოწინავე ფენებს, არამედ გლეხთა მასების ფართო ფენებსაც. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების განვითარებას, რომლებიც სოფლად სანიმუშო მეურნეობებს უნდა წარმოადგენდნენ.

მოჯამაგირეთა შორის მუშაობას ამხ. კახიანი პირველხარისხოვან ამოცანად სთვლის. მოჯამაგირეთა შეკავშირება, მათი მიზიდვა პარტიის რიგებში—აი, ის უდიდესი საქმე, რომელიც უნდა გააკეთოს პარტიამ.

სახელმწიფო ვაჭრობის ფრონტზე, კერძო კაპიტალის წინააღმდეგ სისტემატიური ბრძოლა, ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. „საჭიროა უფრო მაგრად შევუტიოთ, უფრო ენერგიულად ვებრძოლოთ კერძო ვაჭრობას, ვებრძოლოთ „ქებაძევშჩინას“ და ყოველგვარ სხვა „ვშჩინას“, რომელიც თავს იჩენს ღვინის ფრონტზე—იქნება ეს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების, ხორცისა თუ სხვა ფრონტზე“, ამბობს ამხ. კახიანი.

შემდეგ თავებში ამხ. კახიანი ვრცლად ეხება მუშაობის იდეოლოგიურ დარგს და განსაკუთრებით ხაზს უსვამს ლიტერატურის სფეროში შოვინისტური ტენდენციების გაძლიერებას. ამან თავისი გამოსახულება ჰპოვა ლიტერატურულ დაჯგუფების „არიფიონის“ გამოსვლაში. ეს ხალხი აბუჩად იგდებს ჩვენი პარტიის და ხელისუფლების ხაზს.

„ასეთ კონტრ-რევოლიუციონურ ლიტერატურას ჩვენ ყოველთვის აღმოვაჩენთ და ვისაც საჭიროა მოვსპობთ“ ამბობს ამხ. კახიანი. თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. კახიანი, კიდევ უფრო ფართოდ ეხება იმ ამოცანებს, რომელიც სდგას პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე.

წიგნს თანდართული აქვს ცეკას პლენუმის რეზოლიუცია ამხ. კახიანის მოხსენების გამო. ამ მოხსენებაში ნათელი გამოხატულება ჰპოვა იმ ხაზმა, რომელსაც ატარებს ჩვენი პარტია.

პლენუმის რეზოლიუციაში გამოთქმულია ის აზრი, რომ საჭიროა დაუნდობელი ბრძოლა იმ დეფექტების წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენი მუშაობის ყოველ სფეროში.

თვითკრიტიკის ლოზუნგის მტკიცე და სწორი გატარება, ფართო მასების სისტემატიური კონტროლის განხორციელება—აი ის მთავარი გზა, რომლითაც უნდა წარიმართოს ჩვენი მუშაობა.

ლ. მ—ძე.

ფეხბურთი

სომხური დივიზია—ქალაქის მილიცია

კვირას, 22 ივლისს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა ამხანაგური შეჯიბრება სომხური დივიზიის და თბილისის ქალაქის მილიციის გუნდებს შორის (მილიციის გუნდში შედიან ყოფ. „სატყეო მრეწველობის ტრესტის“ და „არსრაიონის“ მოთამაშეები).

მატჩი დამთავრდა მილიციის გამარჯვებით 2:1.

სურამის სამხედრო ბანაკი—მესამე დივიზია

იმავე დღეს იქვე გაიმართა კავკასიის წითელ დროშოვან არმიის სპარტაკიადაზე მონაწილე გუნდების საფინალო შეჯიბრება, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა პირველობის საკითხი. უკანასკნელ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ სურამის სამხედრო ბანაკი და მესამე მსროლელი დივიზია.

აღსანიშნავია სურამელების მეტად სწრაფი, გაბედული და ლამაზი თამაში. გუნდში თანაბარი ტექნიკის და ერთნაირი სტილის მოთამაშეებია თავმოყრილი.

შეჯიბრება დამთავრდა 6:0 სურამის სამხედრო ბანაკის სასარგებლოდ.

ამრიგად, კავკასიის წითელ დროშოვან არმიის პირველობა ფეხბურთში დარჩა აღნიშნულ გუნდს, რომელიც გაემგზავრება მოსკოვში წითელი არმიის საკავშირო სპარტაკიადაზე მონაწილეობის მისაღებათ.

„ნაკრები არმია“—„გემო-კვების მუშაკები“

ორშაბათს საღამოს კავკასიის წითელ დროშოვან არმიის ნაკრები გუნდი შეხვდა გემო-კვების მუშაკთა კავშირის გუნდს. უკანასკნელისთვის ეს პირველი გამოსვლა იყო თბილისში საგასტროლო მოგზაურობის შემდეგ.

ამ შეჯიბრებაში გუნდი არ გამოსულა მთლიანად იმ შემადგენლობით, რომლითაც იგი მოგზაურობდა რუსეთში, ამიტომ გუნდის მიღწევებზე ლაპარაკი ამ მატჩის მიხედვით ძნელია. თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს რომ თავდამსხმელთა სამეულის თამაშის კლასი საგრძნობლად გაუმჯობესებულია.

სამხედრო გუნდი ძლიერი მეტოქე გამოდგა გემო-კვების მუშაკებისათვის. ორივე ტაიმში თამაში თითქმის თანაბრად მიმდინარეობდა. უპირატესობა მხოლოდ მეორე ტაიმის ბოლოში დაეტყოთ გემო-კვების მუშაკებს. როდესაც მათ ზედიზედ გაიტანეს ორი გოლი და თავი დააღწიეს დამარცხებას.

შეჯიბრება დამთავრდა 3:3.

ფოთის ფეხბურთელთა გუნდის გამგზავრება

ფოთის ფეხბურთელთა გუნდი „დინამო“ შეჯიბრებების გასამართავად გაემგზავრა ბაქოში, დონის როსტოვში, დონბასში და მოსკოვში.

სტადიონის გახსნა ბათომში

5 აგვისტოს ბათომში იხსნება ახლად აგებული სტადიონი. სტადიონი აგებულია აჭარისტანის პროფსაბჭოს მიერ ზღვის პირას. სტადიონის მოწყობით ფიზკულტურის და სპორტის განვითარებას აჭარისტანში მკვიდრი საფუძველი ეყრება. აჭარისტანის ფიზკულტურნები აქამდი მოკლებული იყვნენ რიგიანათ მოწყობილ სტადიონს.

სტადიონის გახსნაზე თბილისიდან მიემგზავრება გემო-კვების მუშაკთა კავშირის ფეხბურთელთა გუნდი, რომელსაც შეჯიბრება ექნება ბათომის „დინამო“-სთან.

ბათომიდან გემო-კვების მუშაკთა გუნდი გაემგზავრება აფხაზეთში, სადაც შეჯიბრებებს ჩაატარებს სოხუმში და გაგრაში.

თბილისის „დინამო“-ს მოგზაურობა

თბილისის ფეხბურთელთა გუნდმა „დინამომ“ ჯერ ჯერობით ჩაატარა სამი შეჯიბრება. პირველი მატჩი როსტოვის გუნდთან დამთავრდა თბილისელების დამარცხებით 3:4 (აღსანიშნავია, რომ ოთხივე გოლი „პენალტი“-დან იქნა გატანილი), მეორე შეჯიბრება ტაგანროგის გუნდთან დამთავრდა 3:3, ხოლო მესამე მატჩი ჩრდილოეთ კავკასიის ნაკრებ გუნდთან, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საკავშირო სპარტაკიადაზე, მოიგო თბილისმა 3:1.

ავიაქიმში

სატრანსპორტო კომიტეტი

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმთან შესდგა ტრანსპორტზე მომუშავე კომიტეტი, რომელშიაც შედიან ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის, „ავტოგზა“-ს. გზატკეცილების სამმართველოს და რკინის გზელთა პროფკავშირების წარმომადგენლები.

კომიტეტის პირველი საორგანიზაციო კრება შესდგება 29 ივლისს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ბინაზე.

„თავდაცვის სადარაჯოზე“

გამოვიდა და დაეგზავნა ადგილებს ა. წილოსანის წიგნი „თავდაცვის სადარაჯოზე“. წიგნი გამოცემულია საქართველოს თავდაცვა ავიაქიმის მიერ.

მიღება სამხედრო თეორეტიულ სკოლაში

სამხედრო-საჰაერო ძალების სამხედრო-თეორეტიულ სკოლაში მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში.

სკოლაში საქართველოს დათმობილი აქვს 16 ადგილი, ე. ი. ორჯერ მეტი გასულ წელთან შედარებით.

იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც სურთ სკოლაში შესვლა და აქვთ სათანადო მომზადება, განცხადებით უნდა მიმართონ თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებს.

მეცნიერება და ტექნიკა

გვირაბი გიბრალტარის სრუტეს ქვეშ

გვირაბი ჰიბრალტარის სრუტეს ქვეშ

ესპანელმა ინჟინერმა **იბერომ** შეიმუშავა პროექტი გვირაბის გაყვანისა ჰიბრალტარის სრუტეს ქვეშ. გვირაბი ვაკეროსის ყურეს (ესპანეთის ნაპირზე) შეაერთებს ქალაქ კალია-გრანდესთან (მაროკო). გვირაბის საერთო სიგრძე იქნება 50 კილომეტრი და გაივლის (ზოგან) 400 მეტრის სიღრმეზე. გვირაბი შესდგება სამი მილიდან, რომელთაგან ერთი იქნება „დამხმარე“, ორი—„სამუშაო“. მუშაობის დასრულების შემდეგ „დამხმარე“ მილი გადაიქცევა ორ დანარჩენ მილში შესულ წყალის გადასაშვებ ადგილად. გვირაბში ივლის ელექტრონის მატარებლები და მგზავრობას ესპანეთიდან მაროკომდი სამი საათის ნაცვლად მოუნდება ნახევარი საათი. ინჟინერების გამოანგარიშებით გვირაბით შესაძლებელი იქნება 700.000 ტონა ტვირთის გადაზიდვა დღეში.

ესპანეთის მთავრობა ძლიერ დაინტერესდა იბეროს პროექტით. გვირაბს ჰიბრალტარის ქვეშ, სპეციალისტების აზრით უდიდესი მნიშვნელობა ექნება კავშირის გამოსაცოცხლებლად ევროპასა და ჩრდ. აფრიკის შორის. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია გვირაბი სტრატეგიული თვალსაზრისით. მისი გაყვანა დაჯდება 30 მილიონი მანეთი და დასრულებული იქნება 6 წელიწადში.

ჯიბის მიკროსკოპი

გერმანიაში გასაყიდათ გამოუშვეს ჯიბის მიკროსკოპი, რომელიც გარეგნულად „მარად კალმისტარს“ წააგავს. მისი სიგრძე უდრის 13 სანტიმეტრს. მიუხედავად თავისი სიპატარავისა, ჯიბის მიკროსკოპი იძლევა გადიდებას 200-ჯერ და შეუდარებელია ბიოლოგიური ექსკურსიების დროს, სადაც შეუძლებელია ნორმალური და რთული მიკროსკოპების წაღება.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი 25 ივლისი

დღეს, 25 ივლისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მარქსის ანბანი—განმარტება რუსულ ენაზე.

ტყის ექსპლოატაცია—მოხს. ქართულ ენაზე.

ადამიანის წარმოშობა—საუბარი ქართულ ენაზე.

მუშათა რადიო გაზეთი—ქართულ ენაზე.

საერთო შეხედულება ომზე —მოხს. ქართულ ენაზე.

მასიური აგიტპროპ-მუშაობა—მოხს. რუსულ ენაზე.

ბრძოლა დეფექტების აღმოფხვრისათვის კომუნისტურ ყოფა-ცხოვრებაში—მოხს. თურქულ ენაზე.

საქ. გეოფიზ. ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე.

მოხსენებების შუა—მუსიკალური ნომრები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა ხელზე

დღეს, 25 ივლისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევართ: **კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან:** ანნა მაჩაბერიძეს, ვლადიმერ ჯულუგინს, ანეტა ხანოიანცს, ალექსი ლისაჩენკოს, სამსონ ავაქოვს, სისაკ ავაქიანს, ვახტანგ სტეფანოვს და ეფრემ ზიმუხინს; **გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან:** ვერა მელაძეს, ვერა ნიკიშევას, მარიამ სტეფანოვას, ავთანდილ ღამბაშიძეს, გაბრიელ მიმინოშვილს, ილია ხარაძეს, პეტრე სანიკიძეს, სერგო ოგანეზოვს, მაქსიმე სვანიძეს, კონსტანტინე საყაძეს, მიხეილ გულიჩევს, გიორგი ლორთქიფანიძეს, არჩილ სულაქველიძეს, მიხეილ მირზაშვილს, ილია ჭყონიას, მიხეილ კევრიშვილს, იოსებ უნაფქოშვილს, დავით ნაიიშვილს, პავლე ცინცაძეს, საშა კვინტრიძეს. სერგო გრიგორიანს, ვართან შუბაბინს, კლარა კოსტანოვსკაიას, სირა პლევანოვას, თამარ მირიანაშვილს, თ. ტორონჯაშვილს, ნატალია ქინქლაძეს, ქსენია კილურაძეს, თამარ ნადარეიშვილს, ელენე მალიაევსკაიას, გრიგოლ ზარიშვილს, სოფიო კუნოვას, თამარ კვერნაძე-ხუნდაძისას, ნადეჟდა ფირცხალავას, ალექსანდრა აბესაძეს, მიხეილ გაბუნიას, არჩილ კაშიას, მარიამ ჯავრიშვილს, სოფიო გიასაშვილს, მიხეილ სახუაძეს და მარიამ გრიშევას, **მედიცინის მუშაკთა სექციიდან:** ზაქარია შარაშიძეს, თამარ ვადაჭკორიას, და ოლღა შაგრიარსკაიას; **საგარანტიო დაზღვევის სექციიდან:** დავით ჩაგრაკანიძეს, ჰაიგან ესიტოვს, ივანე კოკილაშვილს, შალვა სვანაძეს, არტაშეს ბალაგეზიანს, აბგარ ხახანოვს, მელიქ ახპელოვს და ივანე სამსონიას.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 25 ივლისს, საღამოს 6 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომში შესდგება რაიკომის მიმღები კომისიის სხდომა. სავალდებულოა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: ვასილ ამიროვი, ნინო ახალკაციშვილი, ზინაიდა ვასილიევა, გიორგი ჯაფარიძე, ოჰანეს ზარევი, არშაკ ფრანგოვი, დავით გორშაშვილი, ალექსანდრე ბარლინი, ადამ ჯავახიშვილი, სერგო კარხმაზოვი, ლ. სარიბეგოვი, ალექსანდრე ჯავახიშვილი, ალექსანდრე შიშოვი, გრიგოლ მერაბოვი, სერგო აკოპჯანოვი, აკაკი იმნაძე, ვართან გულევი, თედორე სხირტლაძე, ნინო ასათიანი, ნიკოლოზ ბაქრაძე, გიორგი იაშვილი, მარტიროს მურადოვი, გრიგოლ ტერტეროვი, სტეფანე ვართანოვი, იშხან მარუთოვი, სერგო ოსიპოვი, ნიკოლოზ კუკუშვილი, ნიკო ასლამაზაშვილი, ლ. რინენბერგი, ვიქტორ კიოფმანი, საკ აბრამოვი, ნიკოლოზ კვინტრაძე, პეტრე ოსიპოვი, არტემ სალუქვაძე, ასტხიკ მელქანოვა, ილია ინასარიძე, მარიამ ზამოლჩევა და ლონგინოზ ბარდაველიძე.

საქართ. პროლეტარულ სტუდენტთა ცენტ. ბიურო იუწყება, რომ სახ. უნივერსიტეტის და პოლიტექნიკურ ინსტიტუტის ყველა სტუდენტები, რომლებიც ამჟამად იმყოფებიან ქ. თბილისში, უნდა გამოცხადდენ სტაჟიორთა და პრაქტიკანტთა საქალაქო კრებაზე დღეს, 25 ივლისს, საღამოს 6 საათზე საქ. პროფსაბჭოს დიდ დარბაზში.

საქ. ახ.ლ.კ.კ. ცეკას სამხედრო ფიზკულტურული საშეფო კომისია აცხადებს ამხ. ფრუნზე და ამხ. ძერჟინსკის სახელ. სამხედრო-საზღვაო სასწავლებლებში შესვლის მსურველთა საყურადღებოთ, რომ განცხადებებს მიღება შესწყდება ა.წ. 3 აგვისტოს.

ის ამხანაგები, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადებები უნდა გამოცხადდენ საქ. ახ.ლ.კ.კ. ცეკას სამხედრო ფიზკულტურულ საშეფო კომისიაში 5 აგვისტოს დილის 9 ს.

საქ.ახ. ლ.კ.კ. ცეკას საკონფლიქტო კომისია იტყობინება, რომ დღეს, 25 ივლისს საღამოს 5 საათზე საქ. ახ. ლ.კ.კ. ცეკას შენობაში (რუსთაველის პროსპ. № 20) შესდგება აღნიშნული საკონფლიქტო კომისიის სხდომა. კომისიის წევრთა და სამეურნეო მუშაკთა დასწრება აუცილებელია. სხდომაზე გაირჩევა ალექსი კუპატაძის, ილიკო ლაშხის, ვასო დემეტრაძის, არჩილ მარგალიტაშვილის და ვალერიან მეშარნიშვილის საკონფლიქტო საქმეები.

დღეს, 25 ივლისს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის შენობაში მოწვეულია საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონის მორიგი გაფართოებული პლენუმი.

პლენუმს სავალდებულოა დაესწრონ: რაიკომის და სარევიზიო კომისიების ყველა წევრ კანდიდატები, უჯრედების მდივნები, საქარხნო-საფაბრიკო ადგილკომების თავმჯდომარე კომუნისტები და ადმინისტრატორები—სამეურნეო მუშაკები — კომუნისტები.

შვილები: ნინა კახაბერისა, ქეთო ნაცვლიშვილი, ნიკოლოზი, ალექსანდრე ჯიქიები, რძლები: ნიურა, თამარა, სიძე შალვა კახაბერი, შვილიშვილი მიშიკო აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ გარდაიცვ ლა მათთვის დაუვიწყარი

მარიამ პავლეს ასული თურქია-ჯიქიასი

დაკრძალვა 26 ივლისს, 4 საათზე. 3118

სახელმწიფო გამომცემლობა
მოითხოვეთ ახალი წიგნები

ი. ზ. ანდრონიკაშვილი—საამშენებლო ხელოვნება (უმაღ. სკოლ. სახელმძღვანელო) გვ. 218. ფ. 6 მან.

ბრეზნევი— რა ცუდია უსწავლელობა (პიესა სოფლის თეატრებისათვის) გვ. 32. ფასი 20 კაპ.

ს. კ. პ. (ბ) ცეკას და საქ. კომ. პლენუმის შედეგები (ამხ. ი. სტალინის მოხსენება და ც. ს. კ. პლენუმის რეზოლიუციები) გვ. 94. ფ. 40 კაპ.

ნის. 1835

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	„სამი მუშკეტერი“ დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით.
საზაფხულო ეთერი	ხატვრული სურათი „გარდატეხილი ზამბახი“ დ. გრიფიტის დადგმა
საზაფხულო დარბაზი	ოსი ოსვალდ სურათში „ნინიშ“
საზაფხულო პალასი	კინო-რომანი „რობინზონ კრუზო“ 1 და 2 სირია ერთად
პროლეტარი ავლაბარი	სეზონის საუკეთესო სურათი „ნარვალები“

ანონსი: მალე ნ. კოლინის სურათში „საყვარელი მაწანწალა“ 0-46

საბჭოთა სავაჭრო მუშაკების საზაფხულო კლუბი
დღეს, 25 ივლისს,
სიმფონიური კონცერტი
დირიჟორ **ხეიფეცის** ხელმძღვანელობით
პროგრამაში: სკრიაბინი და ვაგნერი. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
ცუდი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის.
ბაღში კინო. სიმფონიურ კონცერტზე აღებული ბილეთები გამოდგება კინოშიაც.
შემოღებულია მოწაფეთა ბილეთები.
ხვალ 26 ივლისს, კონცერტი ორჯონიკიძის სახელობის კლუბში. ნ. 1415

მალე
საყვარელი მაწანწალა
ნ. კოლინის მონაწილეობით
2
ქირვეული დედაკაცი
მთავარ როლებში: რუფ კლიფორდი, გასტონ გლას და სხვ.
ახალი სურათი
ნ. 1425

ამით ცხადდება ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ ორგანიზაციათა და სხვა ჩვენი კლიენტურის საყურადღებოთ, რომ
საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის („გრუზგოსტორგი“-ს)
გამგეობა ა. წ. 24 ივლისიდან თავისუფლების მოედანი № 2-დან
გადავიდა ახალ ბინაზე, კეცხოველის (ყ. ლორის-მელიქოვის) ქ. № 5 პრომბანკის შენობაში.
ნ. 1421. გამგეობა.

დღეს, 25 ივლისს, საღამოს სრულ 6 საათზე საქართველოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში მოწვეულია:
ქ. თბილისის წარმოება-დაწესებულებათა
სტუდენტ-პრაქტიკანტების და სტაჟიორების
საქალაქო კრება
პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად.
დასწრება ყველა პრაქტიკანტების და სტაჟიორების სავალდებულოა.
საქ. პროლეტარულ სტუდენტთა ცენტ. ბიურო.
ნ. 1424

ქ. თბილისის მე-4 უბნის სასამართ. აღმასრულებელი
ა. გიორგაძე
ამით აცხადებს, რომ ის 28 ივლისს 1928 წ. დღის 12 საათზე სახლში № 4 ყაზბეგის ჩიხში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ვარლამ ბერიძის მოძრავ ქონებას: წიგნების შკაფს, ნიკელის სამოვარს, ბარომეტრს, სხვადასხვა სურათებს ჩარჩოებში, მაგიდას, ნარდს და შიფონერკას შეფასებულს 240 მანეთად, მოქ. სიმონ ხოშტარიას ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის 1-ლი უბნის სახალხო სასამართლოსაგან 30 სექტემბერს 1928 წ. თარიღით, № 1285 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3114

თბილისის შრომის ბირჟის კოლ. გაერთ. სამმართველო
მანქანებზე ბეჭდვის და სტენოგრაფიის
კურსები
სრული თეორია და ყოველმხრივი პრაქტიკა კვალიფიკაციურ მბეჭდავთა სტენოგრაფიის მცოდნეთა მოსამზადებლად.
საწერ მანქანებზე გადაბეჭდვა და მინოგრაფია. თარგმანი, შედგენა საქმიან ქაღალდებისა სასამართლოს, ადმინისტრატიული, გადასახადთა და სხვა.
წერითი დამხმარე კოლ.-შტაბის ქ. № 2. 3117

მათემატიკის მასწავლებელი
ი. მაჩაიძე
ამზადებს
ქართულ და რუსულ ენაზე
უმაღლეს სასწავლებ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., სამხედრ. აკად., 9 წლ. ყველა ჯგუფ. (რუსულსა და მათემატიკაში) საშემოდგომო მისაღებ და განმეორებითი გამოცდებისათვის, აგრეთვე 7 წლედისათვის ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევის ქ. № 5) 8—1 ს., 2—6 ს. ორ მოწაფეს ვღებულობთ სრულ კმაყოფაზე და ბინით. 6—1 2974

ქ. ონსა და მის რაიონში
გაზ. „კომუნისტ“-ზე
ხელისმოწერა და განცხადებები
მიიღება სახელგამის განყოფილებაში
ამხ. **ს. ბერიშვილთან**
5—1. მთავარი კანტორა

ქალ. ქუთაისში
გაზ. „კომუნისტი“-ზე **ხელისმოწერა**
ბინაზე მიტანით **მიიღება კონტრაგენტ**
მინა ტყაბლაძესთან
როზა ლიუქსემბურგის ქ. № 64
3—3 „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებ.
ა. ა. გეგეჭკორი
ამით აცხადებს, რომ ის 31 ივლისს 1928 წ. დღის 12 საათზე სახლში № 3 რუსის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ვასო ჯანაშვილის და ოჰანეზ მიკირტუმოვის მოძრავ ქონებას: ერთ კასრა კახურ ღვინოს, 70 ვედროს, შეფასებულს 400 მანეთად, კასრიანად, ივანე მეხაშიშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-3 სახელმწ. სანოტარო კანტორისაგან 12 მაისს 1928 წ. თარიღით, № 1038 გაცემულ აღმასრულებელ წარწერისა თამასუქზე. 3115

თბილისის შრომის ბ. კ. გაერთ. სამმართველო
სწორი მექანიკოსის
ბიურო
შტაბის ქ. № 2.
სრული შეკეთება საწერ მანქანებისა, არიფმომეტრებისა, საკონტროლო სალაროებისა, გეოდეზიურ და სახაზავი იარაღებისა, კინო და ფოტო აპარატებისა და სხვა.
მოთხოვნილება და წინადადება მყიდველ-გამყიდველებისაგან ყოველგვარ ტეხნიკურ ნივთებზე (მანქანების, აპარატების, იარაღების და სხ.) 3117

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები.
ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

დაკარგვა: კორწინების მოწმობა ანტონ თოფურიას და სონია ბევნაზაროვის სახელზე, ჩ. გ. 3113

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8
ქალების: დილით —8—9 საღ.—4—5
მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—2

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) ჩასახვევი ოლღის ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 7—9 კაცებს, 6—7 ქალებს.

ექიმი
ს. ა. გალუსტიანი
შინაგანი, კანის და ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) სიფილისის მუწუკები. ავადმყოფების მიღება დილის 9-დან ნაშუადღევის 1 საათამდე, ქალების დღის 11-დან 1 საათამდე და საღამოს 5—7-მდე. კლარა ცეტკინის ქ № 77 (ყოფ. ელისაბედის ქ.) ფოსტის გვერდით. 25—1

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11. ტელ. 4—82. 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 3. 25—1.

კბილის ექიმი
დ. ს. რიქინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უტკივნელოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე

თმის მკურნალობა
საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეთი
ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ლოგოპედი
ტ. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედ [illegible]
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ.
მისამართი: კ. ცეტკინის ქუჩა № 132

დაკარგვა: კავშირის წიგნაკი № 17304 ნიკოლოზ დიმიტრის-ძე კოზიევის სახელზე, ჩ. გ. 3109

დაკარგვა: სლომბარდი ქვითარები № 81477, 81.849, 81850 სარა მათეს ასული ბაკურაძეს სახელზე, ჩ. გ. 3110

დაკარგვა: სამხედრო წიგნაკი № 2269 და სამსახურის მოწმობა № 302 ნიკოლოზ ზანგურაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3111

დაკარგვა: შეშისა და ნავთის მოთხოვნილება გაცემული ა.-კ. რკ. გზის სამმართველოს ციერ მებარგეთა კოლექტივის სახელზე, ჩ. გ 3112

მთავლიტი № 904.
პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, კამოს ქ. № 68.